# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 იანვარი **სამშაბათი** 2013 №010 (13 926) ფასი 80 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა




# შვიდი წლის შემდეგ

## შაშიაშვილი ისევ დინამოელია

↳2



## ჰაინკესი თუ... ვინმე სხვა

ბაიერნში მწვრთნელის საკითხი იანვარში გადაწყდება. პირველი კანდიდატი ხოსეპ გვარდიოლაა

↳6

## ავსტრალიაში ფავორიტების დღე იყო



დიდი სლემის პირველ ტურნირზე 32 განთესილიდან მხოლოდ ორი გამოეთიშა ბრძოლას

↳14



## კონტრაქტის ბოლომდე რეალში

ინტერვიუ კრიშტიანო რონალდოსთან

↳9

## დღეს ტატიშვილის ჯერია: ქართველი იაპონელ მორიტას გავლას ეცდება

## სევილია ემერისია



„ვალენსიასა" და მოსკოვის „სპარტაკის" ყოფილი დამრიგებელი **უნაი ემერი** „სევილიას" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ეს ინფორმაცია ანდალუსიური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა.

ემერიმ „სევილია" **მიჩელ გონსალესისგან** ჩაიბარა, რომელიც არადამაკმაყოფილებელი შედეგებისთვის გაანთავისუფლეს. ემერის კონტრაქტი ახალ კლუბთან წელინადნახევარი იქნება ძალაში. მისი ოფიციალური წარდგენა დღეს გაიმართება. ამ მომენტისთვის, „სევილია" მე-13 ადგილზეა ლა ლიგას ცხრილში.

## ლეჩკოვი ციხეში გაუშვეს



ლეგენდარულ ბულგარელ ფეხბურთელს **იორდან ლეჩკოვს** ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს იმ დანაშაულისთვის, რომელიც მან ქალაქ სლივენის მერის სტატუსით ჩაიდინა. ლეჩკოვი დამნაშავედ სცნეს ქალაქისთვის წამგებიანი დოკუმენტების ხელმოწერაში, აგრეთვე საგადასახადო ორგანოებზე ზეწოლაში.

45 წლის ლეჩკოვი ცნობილია მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე ბულგარეთის ნაკრების რიგებში თამაშით, როცა მისმა გოლმა გერმანიის ნაკრების კარში ნახევარფინალში გაიყვანა ბულგარელთა გუნდი. სხვათა შორის, ლეჩკოვი ბულგარეთის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტია. მან საფეხბურთო კარიერა 1998 წელს დაასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

12-თა საბჭო

# გაიზიარებენ კლუბები ქეცბაიას ინიციატივას?

## ეროვნულის თავკაცი ახალგაზრდების დასაქმებას ითხოვს



თემურ ქეცბაია — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში 12—თა საბჭოს წევრები შეიკრიბნენ. სხდომა სტადიონების ლიცენზირების თემით ფედერაციის პრეზიდენტმა გახსნა. მისი თქმით, უეფამ ძალზე გაამკაცრა წესები, მაგრამ სფფ-ის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, რამდენიმე კლუბს სტადიონების ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი აქვს.**

*"უეფაში ლიცენზირების პერიოდი თებერვლიდან აპრილამდეა. საუბარია იმ სტადიონების ლიცენზირებაზე, სადაც ევროთასებზე გასულმა გუნდებმა უნდა ითამაშონ. მოთხოვნები ჩემპიონატშიც გამკაცრდება, რაზეც კლუბები ჯერ კიდევ აგვისტოში გავაფრთხილეთ. მიუხედავად ამისა, რამდენიმე სტადიონზე სერიოზული პრობლემებია. უკვე გავუგზავნეთ წერილები "სიონს", "ჩიხურას", ფოთის "კოლხეთს", ქობულეთის სტადიონს და მარტვილის "მერანს". ლაპარაკია ვიპ-ადგილებზე, გასახდელებზე, უსაფრთხოების ნორმებზე და ა.შ ასე რომ, თუ პრობლემები ჩემპიონატის განახლებამდე არ მოგვარდება, ამ არენებზე თამაშს ავკრძალავთ და მატჩებს ნეიტრალურ მოედნებზე დავნიშნავთ"* - განაცხადა ზვიად სიჭინავამ.

**12-თა საბჭოს წევრებს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ ორიოდე დღის წინ წამოყენებული იდეა გააცნო, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელების მეტ დასაქმებას გულისხმობს. საამისოდ, უმაღლესი ლიგის გუნდების ძირითად შემადგენლობაში 21 წლამდე 2 ახალგაზრდის თამაშის დაკანონებას ითხოვს.**

ამას გარდა, 12-თა საბჭოს დეკემბრის შეხვედრაზე კლუბებმა მოითხოვეს, რომ მათ სამი ლეგიონერის დამატების უფლება უფასოდ მიეცეთ. აქამდე კლუბები თითოეულში 15 ათას ლარს იხდიდნენ.

შეხვედრის მონაწილეების კომენტარებიდან ირკვევა, რომ ჯერ ყველა საკითხზე ვერ შეთანხმდნენ.

**ირაკლი ქავთარაძე**, რუსთავის "მეტალურგის" გუნდის უფროსი: *"ლეგიონერზე გუნდი 15 თას ლარს აღარ გადაიხდის, თუ სამზე მეტი უცხოელი არ ჰყავს. მე რომ მკითხოთ, ეს ქართული ფეხბურთის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს. მაგრამ "ზესტაფონის" პრეზიდენტის მოსაზრება იყო, როდესაც ლეგიონერები გვეყოლება, ადგილობრივებს კონკურენციისთვის მეტი სტიმული გაუჩნდებათო. ჩვენ ლეგიონერები, ფაქტობრივად, არ გვყავს და ეს პრობლემა ნაკლებად გვაწუხებს.*

*მაგრამ დღეს უფრო მეტად იყო ლაპარაკი 19 და 21-წლამდელთა ნაკრებების მოთამაშეთა დასაქმება-გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, 18-კაციან განაცხადში ორი ასეთი მოთამაშე მაინც რომ შევიყვანოთ. მაგრამ ჯერ ვერ დავინახეთ, ეს არის თუ არა გამოსავალი. ამიტომ უნდა განვიხილოთ, რა და როგორ აჯობებს. შესაძლოა, ამან უხერხულობა გამოიწვიოს გუნდებში."*

ამ საკითხზე კომენტარი საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელსაც ვთხოვეთ.

### თემურ ქეცბაია: მთავარი ქართული ფეხბურთის ინტერესია

- საინტერესო საუბარი გვქონდა. ჩვენი სურვილია, ასაკობრივი ნაკრებების კანდიდატები რაც შეიძლება მეტად დასაქმდნენ და სათამაშო პრაქტიკა მიიღონ. თუ ეს ინიციატივა დამტკიცდება, კლუბი სათადარიგოებში კიდევ ორ კაცს მაინც დასვამს, რათა მათი შემცვლელი ჰყავდეს.

კლუბები ამბობენ, რომ ასეთი ახალგაზრდები თითქმის ყველა კლუბში თამაშობენ, მაგრამ ერთია, რომ თამაშობენ, მეორეა, როდესაც ამას კანონის ძალას აძლევ და ახალგაზრდების გაზრდას ავალდებულებ. ასეთი გადაწყვეტილება ახალგაზრდებს სტიმულს მისცემს, რადგან აქ ლაპარაკია მინიმუმ 24 მოთამაშეზე.

აილეთ კონკრეტული მაგალითები: ვხედავთ პროგრესს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში. ისინი ბოლო სამი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, ყველა შესარჩევიდან ელიტ-რაუნდში მოხვდნენ. მაგრამ მეორე მხრივ, ვხედავთ იმასაც, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში ძალიან ბევრ ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა აკლია. ეს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს საქმეს გაუადვილებს, გუნდში ყოველ კვირას ნაკრების 24 ფეხბურთელი დასაქმდება, დანარჩენი 24 კი სათამაშოდ მზად იქნება.

**- კლუბები ამ პოზიციას ფრთხილად ეკიდებიან.**

- რა თქმა უნდა, ზოგისთვის საკუთარი ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია და მათი გარკვეულწილად მესმის. იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ნაკრებების პოზიცია არ აინტერესებთ, მაგრამ ბოლოდროინდელი ტენდენცია უნდა გაითვალისწინონ და ასაკობრივ ნაკრებებში გარკვეულ პროგრესს ყველამ ხელი უნდა შევუწყოთ. ინიციატივის გაზიარებით ის ნეგატიური ტენდენციაც შემცირდება, 18-19 წლის ბავშვებს უცხოეთში რომ არბენინებენ.

**- ლეგიონერებზე გადასახადის მოხსნას როგორ შეაფასებდით?**

- კლუბს ლეგიონერის ჩამოყვანა 15 ათასი ლარი თუ არ ულირს, ან მოთამაშე საქართველოს ჩემპიონატში ძირითად შემადგენლობაშიც რომ ვერ ხვდება, ასეთი ფეხბურთელის ჩამოყვანას რა აზრი აქვს? უცხოელთა სკამზე დასმას განაცხადში ისევ ქართველების შეყვანა აჯობებს, ამაზეა ლაპარაკი. რა დასამალია, ხშირად ეროვნული ნაკრების შეკრებაზე მოთამაშეების ჩამოსვლა სახვეწარი გვიხდება, რადგან კლუბებში პრობლემები ექმნებათ. ასეთ დროს, იდეალური ვარიანტი ადგილობრივ ჩემპიონატში დასაქმებულთა გამოძახებაა.

ჩემპიონატში წინსვლა არ არის და რალაც ჩვენი მხრიდანაც უნდა გავაკეთოთ. ჩვენი პოზიცია იციან, ახლა მათი ჯერია.

**- ანუ ჯერ კლუბებს წინადადებაზე საბოლოო უარი არ უთქვამთ?**

- არა, მხოლოდ მოსაზრებები გამოხატეს. ცხადია, შეუძლებელია ამ გადაწყვეტილების ყველა შედეგის განსაზღვრა, მაგრამ ის მაინც გვეცოდინება, რომ ახალგაზრდების დასაწინაურებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით. და მეორეც: იდეალური გადაწყვეტილება არ არსებობს და ის ყველას ინტერესსაც ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ მთავარი ქართული ფეხბურთის ინტერესია. დანარჩენს თავად კლუბები გადაწყვეტენ.

**მერაბ მამულაშვილი**



ირაკლი ქავთარაძე — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ინტერვიუ



დავით დილმელაშვილი (მარჯვნივ) — ფოტო: www.fcdinamo.ge

# დავით დილმელაშვილი: 70 პროცენტი მწვრთნელია

**დავით დილმელაშვილი 32 წლისაა და საჩხერის „ჩიხურას" ფეხბურთელი გახლავთ. ის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და სახელიანი მოთამაშეა საქართველოს ჩემპიონატში. დილმელაშვილმა გზა „ვიტ ჯორჯიადან" დაიწყო, მერე თბილისის „დინამოში" გადავიდა, შემდეგ ისრაელში წავიდა, „ჩიხურაში" მისვლამდე კი ქუთაისის „ტორპედოში" თამაშობდა. ცენტრალური ნახევარმცველია, ლიდერის თვისებები აქვს, თავის პოზიციაზე მყარად დგას, რითაც თანაგუნდელებსაც აგულიანებს, ყოველივე ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ფეხბურთში.**

**დილმელაშვილს აქეთურ-იქეთურზე ვესაუბრეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ საინტერესო რესპონდენტია....**

**- სეზონის წინ „ჩიხურას" მიზანი ზედა ექვსეულში მოხვედრა იყო, რაც შეასრულეთ კიდეც და მეოთხე ადგილით ხვდებით მეორე ეტაპს - ალბათ ბოლომდე კმაყოფილები ხართ...**

- კმაყოფილები კი ვართ, მაგრამ მეტიც შეგვეძლო, მესამე ადგილზე გასვლა ჩვენთვის მიუღწეველი ნამდვილად არ იყო.

**- „ჩიხურაში" ბევრი გამოცდილი ფეხბურთელია: სომხიშვილი, ოდიკაძე, გოცირიძე... გუნდის სიძლიერესაც პირველ რიგში ალბათ ეს განაპირობებს...**

- მასე არ ვიტყოდი. მხოლოდ გამოცდილებით, ან მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელებით მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა წარმოუდგენლად მიმაჩნია. „ჩიხურა" გამოცდილი და ახალგაზრდა მოთამაშეების კარგი სინთეზია, ბალანსი 50/50-ზეა.

**- დილმელაშვილი „ვიტ ჯორჯიაში" სულ სხვანაირი იყო, ახლა კი უფრო გამოცდილების და კლასის ხარჯზე თამაშობს, უწინდელივით ბევრს აღარ მოძრაობს - ეთანხმები ასეთ შეხედულებას?**

- „ვიტ ჯორჯიაში" სხვა ფუნქცია მქონდა და შედარებით ცოტა მოძრაობა მიწევდა, მას აქეთ 7-8 წელი გავიდა. „დინამოში" რომ გადავედი, უფრო მეტი მოძრაობა მევალებოდა, ვიდრე „ვიტ ჯორჯიაში", „ტორპედოში" კი უფრო დაიხვეწა ჩემი ფუნქციები მას შემდეგ, რაც მწვრთნელად გია გეგუჩაძე მოვიდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ფუნქციაზეა დამოკიდებული. ახლა „ჩიხურაში" იგივე ფუნქცია მაქვს, რაც „ვიტ ჯროჯიაში" მქონდა - შეტევის ორგანიზება, გუნდის დალაგება.

**- თბილისის „დინამოდან" ცოტა არ იყოს, უცნაურად გაგიშვეს...**

- უცნაურად კი არა, ყველაფერი ცუდად მოხდა, ბატონმა ბუბა ტყავაძემ ჩირქი მომცხო. თუ რატომ მოხდა ყველაფერი ასე, ვერ გეტყვით, რადგან ამის მიზეზი არ ვიცი. მე ფეხბურთელი ვარ და ნაკლები უფლებები გამაჩნია - საქართველოში ასეთი ტენდენციაა...

**- ამ დროისთვის ყველაზე უფრო რომელი ქართული გუნდის თამაში მოგწონს?**

- ქუთაისის „ტორპედოსი", ამ გუნდს ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს და როგორც ვიცი, ისევ ახალგაზრდების დამატებას აპირებს. „ტორპედოს" ძალიან ძლიერი მწვრთნელი ჰყავს და გუნდს სწორ ფეხბურთს ათამაშებს.

**- ჩემპიონატს „დინამო თბილისი" ლიდერობს - როგორ ფიქრობ, პირველ რიგში რის ხარჯზე მოახერხა ეს ამ გუნდმა?**

- „დინამოს" თამაშში ისეთს ვერაფერს ვხედავ, რომ ვთქვა, რალაც განსხვავებულია-მეთქი. „დინამოს" ჰყავს ჩისკო, ის გუნდის ლიდერია, რომ არა ეს ფეხბურთელი, ვფიქრობ, „დინამოს" ასეთი კარგი შედეგი არ ექნებოდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ „დინამოს" ჩისკოს გარდა არ ჰყავს კარგი მოთამაშეები, მაგრამ მხოლოდ ფეხბურთელი საკმარისი არ არის - მწვრთნელი დიდ როლს ასრულებს. ჩემი აზრით, გუნდის შედეგის 70 პროცენტს სწორედ მწვრთნელი განაპირობებს. „დინამოს", მაგალითად, გეგუჩაძე რომ ჰყავდეს მწვრთნელად, ბევრად უკეთესი გუნდი ეყოლებოდა. კარგი ფეხბურთელი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორ წაიყვან გუნდს, რა ხედვა გექნება - ეს ხომ უკვე მწვრთნელის გასაკეთებელია.

**- გორის „დილაში" ჯერაც გაურკვევლობაა, გუნდი უკვე დატოვა რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა. როგორ ფიქრობ, ყოველივე ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ „დინამო" უპრობლემოდ შეინარჩუნებს პირველობას და ჩემპიონი გახდება?**

- ზედა ექვსეულში ყველა თამაში დაძაბული იქნება და არა მგონია, რომ სეზონის მეორე ეტაპი „დინამოსთვის" უპრობლემო გამოდგეს. იმედია, გორის „დილა" ერთი ხელის მოსმით არ დაიშლება, თუმცა, ფაქტია, რომ „დინამოს" უკვე ძალიან დიდი ნაბიჯი აქვს გადადგმული ჩემპიონობისთვის.

**- „ვიტ ჯორჯიაში" ჩამოყალიბდი ფეხბურთელად და ამ გუნდზეც გვითხარი ორიოდე სიტყვა...**

- გულდასაწყვეტია, „ვიტ ჯორჯია" ასეთ სიტუაციაში რომ არის, ეს ამ გუნდს არ შეეფერება. „ვიტ ჯროჯიაში" არაერთი კარგი ფეხბურთელი თამაშობს, გიორგი ჯანელიძის გარდა იქ კიდევ არიან ისეთები, საქართველოს წამყვან გუნდებში წარმატებით რომ ითამაშებდნენ.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გია ცეცაძესთან

# საკუთარი თავის უნდა ვირწმუნოთ

**კახა კაჭარავამ ქვეყნის ჩემპიონი "ზესტაფონი" დეკემბერში ჩაიბარა და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა.**
**ორიოდე დღის წინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების მწვრთნელების საგანგებო, გაფართოებულ შეხვედრაზე შევიტყვეთ, რომ 19-წლამდელების გაწვრთნა გია ცეცაძეს მიანდეს, რომელსაც ელიტრაუნდში ზაზა ბაკურაძე, თემურ ლორთქიფანიძე და გრიგოლ ჭანტურია დაეხმარებიან.**
**ცეცაძის კანდიდატურა, წესით, არავის უნდა გაკვირვებოდა – გორის "დილაში" ჯერ კიდევ მთავარ მწვრთნელად მუშაობის პერიოდში მის გუნდს მაყურებელი ჰყავდა, რადგან შინ თუ გარეთ გუნდი აზრიან, შემოქმედებით და ჯიგრიან ფეხბურთს აჩვენებდა. მერე "დილაში" თემურ შალამბერიძის ასისტენტად მუშაობდა და გუნდმა ევროპის ლიგის პლეი ოფამდე გააღწია.**


გიგა ცეცაძე თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**- ასაკობრივ ნაკრებში დანიშვნა სასიხარულოც არის და საპასუხისმგებლოც.**

- ეს პასუხისმგებლობა არ მაშინებს და მჯერა, რომ ფეხბურთელებთან და ჩემს შტაბთან ერთად საქმეს გავაკეთებთ და ქართველ ხალხს კიდევ ერთ პატარა სიხარულს მოვუტანთ. სხვათა შორის, ნაკრების ამ თაობას კარგად ვიცნობ, მაგალითად, ბაჩანა არაბული და კიდევ რამდენიმე ჩემთან იზრდებოდა, სხვებსაც კარგად ვიცნობ. კახა კაჭარავას მუშაობის დროსაც ამ ბავშვებს ვარჯიშებზე და თამაშებზე სულ ვაკვირდებოდი. ასე რომ, ინფორმაცია მაქვს, ვინ რას წარმოადგენს. სხვათა შორის, სულაც არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ჩემს ნაკრებში ნიჭიერი თაობა არ არის.

**- ბირთვი შენარჩუნდება თუ სიახლეები იქნება?**

- ბირთვის შეცვლა სისულელე იქნება, ახალ ფეხბურთელებს ვერ შევქმნით, თუმცა ცვლილებები ყოველთვის და ყველა ნაკრებშია და გამორიცხული არც ჩვენს შემთხვევაშია. უფრო სათამაშო სქემა შეიცვლება.

**- ელიტ რაუნდში გასული ქართული ნაკრებების უმრავლესობა პრაგმატულად, დაცვიდან თამაშობდა. თქვენი "დილაში" მუშაობიდან კი ის უნდა დავასკვნათ, რომ მხოლოდ შემტევი ფეხბურთი გიყვართ. არადა, მიიჩნევენ, რომ დაბალ დონეზე მყოფი ქართული ფეხბურთისთვის ეს დამღუპველია.**

- მე ასე სულაც არ მივიჩნევ. გიორგი დევდარიანი 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში აქცენტს შეტევაზე აკეთებდა და წარუმატებელი გუნდი ჰყავდა? სხვათა შორის, მინახავს თამაში, სადაც ე.წ. "მეორე ნომერი" გუნდი დომინირებდა, მაგრამ ბურთს საკუთარ მოედანზე ათამაშებდა, ანუ თავის დაცვას ბურთის ფლობით ცდილობდა. გააჩნია მეტოქეს, საკუთარი შესაძლებლობებიც სწორად უნდა შეაფასო, მაგრამ ფილოსოფია ერთია – ფეხბურთში კარგად, სწორად და დროულად უნდა შეუტიო, მხოლოდ დაცვაში "ჯდომით" შედეგს ვერასოდეს მიაღწევ.

საერთოდ, ჩვენ საკუთარი ძალების რწმენა გვაკლია, საკუთარ შესაძლებლობებსაც ვერ ვაფასებთ და ეს არის ყველაფრის თავი და თავი. მაგრამ ვასილ მაისურაძის ჩინებულმა გუნდმა დაამტკიცა, რომ ქართველებს მაღალ დონეზე თამაში და წარმატების მიღწევა შეუძლიათ. ადრე ეს რეზო გაგუას, ვახტანგ კოპალეიშვილის, კობა ჟორჟიკაშვილისა და გიორგი დევდარიანის ნაკრებებმა დაამტკიცეს. საქართველოში სულ იყვნენ ნიჭიერი თაობები, მთავარია, სასურველ კალაპოტში მოვაქციოთ. აბა, ესპანეთსა და ინგლისს შესარჩევ ჯგუფში რომ ჩატოვებ, ევროპის ჩემპიონატზე კი საფრანგეთს, მეტი რა უნდა მოახერხოს პატარა საქართველომ? არ დაგვავიწყდეს, ვასილ მაისურაძის წარმატების დროს არავინ ახსენებს უკრაინას, რომელიც ინგლისისა და ესპანეთის ჩრდილში მოხვდა, თორემ ძლიერი საფეხბურთო ქვეყანაა, მისი პირობები ჩვენ არც დაგვესიზმრება.

**- 19-წლამდელებს ელიტ რაუნდში ინგლისი, შოტლანდია და ბელგია შეგხვდათ – არც ერთია საჩუქარი...**

- საჩუქარი ჩვენც არ ვიქნებით და ვიმეორებ, ვასილ მაისურაძის ნაკრებმა ჩვენს მოთამაშეებსა და მწვრთნელებში დიდი მუხტი გააღვიძა. შანსი გვაქვს და რატომ უნდა ვიფიქროთ ცუდზე და არა კარგზე? მთელმა ევროპამ დაინახა, რომ საქართველო ხელწამოსაკრავი არ არის. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ქართველებს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს. მაგრამ 19 წლამდე იზრდებიან და მერე იკარგებიან. სხვათა შორის, თემურ ქეცბაიასთან შეხვედრაზე ამ თემაზე საინტერესო ლაპარაკი გვქონდა. თემურის იდეაა, რომ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბების შემადგენლობაში აუცილებლად ითამაშოს ორმა 21-წლამდელმა ფეხბურთელმა, ახალგაზრდები რომ გავზარდოთ. მათ სკამზე კიდევ ერთი ან ორი ამ ასაკის ფეხბურთელი მოჰყვება, რადგან უცხოელს თადარიგში ვერ დასვამ. დღეს ბევრი ნიჭიერი მოთამაშე ასაკოვანი უცხოელების ჩრდილში ხვდებიან და გასაქანი არ აქვთ. მეც მირჩევნია, რომ ქართველმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ ითამაშოს, რაც ისევ ჩვენი ნაკრების მომავალს წაადგება.

**- უმაღლესი ლიგის 12 გუნდში 24 ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა გეგულებათ?**

- თითო გუნდში 3-4 ძალიან ნიჭიერი მართლაც მოიძებნება. ხოლო იმ კლუბებს, სადაც ახალგაზრდების გაზრდაზე არ ფიქრობდნენ, ახლა ამაზე დაფიქრება და შესაბამისი მოქმედება მოუწევთ.

**- მაისურაძის 17-წლამდელები ახსენეთ. არის ცდუნება, ნიჭიერი თაობა მიიწვიოთ, მაგრამ მაინც ერთი წლით პატარები არიან, რაც ბავშვებში ბევრს ნიშნავს.**

- ბევრს ნიშნავს, მაგრამ სხვაობა 15 და 16 წელს შორის უფრო საგრძნობია, ვიდრე 17 და 18 წლის ბიჭებს შორის. მაისურაძის თაობამ თავი კარგად წარმოაჩინა და მათი გამოუყენებლობა უფრო ცუდი იქნება.

**- რატომღაც არის მოსაზრება, როდესაც ფედერაცია ნაკრებში მწვრთნელს ნიშნავს, პირობას მხოლოდ ის უყენებს. საინტერესოა, კონტრაქტი როგორ გააფორმეთ, რამე მოითხოვეთ?**

- ეს ორმხრივი შეთანხმებაა და მწვრთნელიც თავის სამუშაო პირობას ითხოვს. სხვათა შორის, კახა კაჭარავამ და ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა ნიკა ჩხეიძემ ნაკრების მომზადების ისეთი სამუშაო გეგმა დამახვედრეს, ვიფიქრე, ჩემი დაწერილია-მეთქი. მაისამდე ლამის ყველა თვეში 2-2 გასვლითი თამაშია დაგეგმილი. ეს მხოლოდ თებერვალში ვერ ხერხდება, რადგან მოთამაშეთა დიდი ნაწილი თავის კლუბში შეკრებაზე იქნება. მარტის დასაწყისში თბილისში პატარა შეკრება გვექნება და შუა რიცხვებში პოლონეთში იმ ქვეყნის 19-წლამდელებთან ვითამაშებთ. აპრილში ორი თამაში კვიპროსში გველის, მაისში კი სერბეთში ამ ქვეყნის 19-წლამდელებთან და კიდევ ერთ გუნდთან. იქიდან გავემგზავრებით ბელგიაში, სადაც ელიტ რაუნდის თამაშები გაიმართება.

სხვათა შორის, ნიკა ჩხეიძისგან ძალიან კარგი ამბავი შევიტყვე. თურმე, ფედერაციამ "ვაისკაუტის" პროგრამა შეიძინა, რომლითაც ნებისმიერ ვიდეომასალას მიიღებ, ვინ სად ითამაშა ოფიციალურად თუ ამხანაგურად. მთლიან თამაშებს ვუყურებ, ცალკეულ მოთამაშეებზეც შეიძლება ინფორმაციის მოპოვება და მათი მინუს-პლუსების გარკვევა. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია. მეტოქეს თუ არ იცნობ, ეს იგივეა, ბორბლის გარეშე მანქანის გატარება მოინდომო. ჩანაწერის დამალვა კი გამორიცხულია, რადგან ფეირ პლეის პრინციპით, ეს არ შეიძლება.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო

# გიორგი შაშიაშვილი დინამოს დაუბრუნდა


გიორგი შაშიაშვილი ფოტო: www.fcdinamo.ge

შვიდწლიანი განშორების შემდეგ "დინამო თბილისს" **გიორგი შაშიაშვილი** დაუბრუნდა. 33 წლის მცველმა "დინამოში" სადებიუტო მატჩები 1996/97 წლების სეზონში ჩაატარა. გიორგი შაშიაშვილმა, რომელიც ოთხი სეზონი კაპიტნის სამკლავურით უძღვებოდა გუნდს, "დინამოს" მაისურით ზედიზედ რვა სეზონი ჩაატარა. საქართველოს ჩემპიონატში 189 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 6 გოლი გაიტანა. ევროასპარეზზე ნათამაშებ 20 მატჩში კი ორი ბურთი ტალინის ტვმკ-ს გაუტანა. გიორგი შაშიაშვილს საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურით 30 თამაშში აქვს მონაწილეობა მიღებული. გიორგი შაშიაშვილს სხვადასხვა დროს უთამაშია: რუსეთის "ალანიაში", უკრაინის "ჩერნომორეცში", ავსტრიის "შტურმში", საბერძნეთის "ერგოტელისში" და გორის "დილაში".

**გიორგი შაშიაშვილი:** "დინამოს" მაისურით გამოსვლა ჩემთვის ყოველთვის სასიხარულოა. ამ გუნდის აღზრდილი ვარ, როგორც ფეხბურთელი "დინამოში" ჩამოვყალიბდი. ჩემს კარიერაში ყველა დიდი წარმატება სწორედ "დინამო თბილისთან" ასოცირდება. შეიძლება ითქვას, რომ დღეს სახლში დავბრუნდი. იმ პერიოდში, როდესაც "დინამოდან" წავედი, სულ სხვა სიტუაცია იყო, ახლა კი სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა. ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა, თუნდაც დიღმის საწვრთნელი ბაზა ავიღოთ - ასეთი პირობებით ბევრი ევროპული გუნდიც ვერ დაიტრაბახებს. შესაბამისად, დღეს "დინამო" კვლავ ჩემპიონობისთვის იბრძვის, ეს ფაქტორი ყველას დამატებით მოტივაციას მატებს და არც მე ვარ გამონაკლისი. მართალია "დინამო" ჩემი მშობლიური გუნდია, ოთხი წელიწადი კაპიტნის სამკლავურით ვთამაშობდი, თუმცა დღეს ყველაფერი თავიდან იწყება. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ "დინამოს" წარმატებაში ჩემი წვლილი შევიტანო.

www.fcdinamo.ge

# დღეს მზადება იწყება

ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი, თბილისის "დინამო" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას დღეს დაიწყებს. გუშინ კი დინამოელებმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ბაზასთან არსებულ კლინიკაში სამედიცინო შემოწმება დაასრულეს.

**მერაბ ვარძუკაშვილი** (თბილისის "დინამოს" მთავარი ექიმი): *"დღევანდელი სამედიცინო შემოწმების შედეგები დამაკმაყოფილებელია. ეს შედეგები შესაბამისობაში მოდიოდა იმ სპეციალურ ინდივიდუალურ მოსამზადებელი პროგრამასთან, რომელიც ფეხბურთელებს შეკრების დაწყებამდე სამწვრთნელო-სამედიცინო შტაბის ერთობლივი გადაწყვეტილებით დაურიგდათ."*

www.fcdinamo.ge


მარცხნიდან: ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი ლორია, ლევან ხმალაძე

დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!
დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1 მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი
გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge
ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.
დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2
რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.
მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. I ეტაპის შეჯამება — მერანი (მარტვილი). ადგილი VIII

# უცვლელი ხელწერა და დამსახურებული სიმპათიები



მალხაზ ჟვანია

"მერანი" წინა სეზონის აღმოჩენად იქცა. უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა და იქაურობის ერთ-ერთმა ყველაზე ნაკლებადბიუჯეტიანმა კლუბმა უძლიერესთა შორის ადგილი დამაჯერებლად შეინარჩუნა და რამდენიმე ხმაურიანი სენსაციის შემოქმედიც გახდა. მარტვილელებმა წინა ჩემპიონატი მერვე ადგილზე დაასრულეს და საკუთარი თამაშის მანერით არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ნეიტრალური გულშემატკივარიც მოხიბლეს.

| მერანის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე | | |
|---|---|---|
| I ტური | ზესტაფონი-მერანი | 3:1 |
| II ტური | მერანი-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| III ტური | მეტალურგი-მერანი | 1:0 |
| IV ტური | მერანი-ჩიხურა | 1:0 |
| V ტური | ტორპედო-მერანი | 4:0 |
| VI ტური | მერანი-სიონი | 1:0 |
| VII ტური | დინამო (ბთ)-მერანი | 4:0 |
| VIII ტური | მერანი-ზუგდიდი | 1:2 |
| IX ტური | კოლხეთი-მერანი | 0:1 |
| X ტური | მერანი-დინამო (თბ) | 0:4 |
| XI ტური | დილა-მერანი | 2:1 |
| XII ტური | მერანი-ზესტაფონი | 0:3 |
| XIII ტური | ვიტ ჯორჯია-მერანი | 0:0 |
| XIV ტური | მერანი-მეტალურგი | 0:0 |
| XV ტური | ჩიხურა-მერანი | 1:0 |
| XVI ტური | მერანი-ტორპედო | 3:0 |
| XVII ტური | სიონი-მერანი | 2:1 |
| XVIII ტური | მერანი-დინამო (ბთ) | 3:1 |
| XIX ტური | ზუგდიდი-მერანი | 3:2 |
| XX ტური | მერანი-კოლხეთი | 4:0 |
| XXI ტური | დინამო (თბ)-მერანი | 3:1 |
| XXII ტური | მერანი-დილა | 2:3 |

მეკარე: ჯონი შეროზია – 22;

მცველები: კიჭი მელიავა – 20, გივი ქარქუზაშვილი – 19, ვალერი იობაშვილი – 18 (1), ლევან გეგეჭკორი – 17, გიგა ჟვანია – 14, გიორგი მჭედლიშვილი – 10, ბორის გელაჭეიშვილი – 4, რომან კიკალიშვილი – 1, გიორგი გეგია – 1;

ნახევარმცველები: ნოდარ ნოზაძე – 22 (2), პაპუნა ფონიავა – 21, გივი დიდავა – 20 (1), ცოტნე ბუკია – 19, ლაშა კუჭუხიძე – 14, გიორგი გაბისონია – 1, ნიკა დარჯანია – 1, ირაკლი მონიავა – 1;

თავდამსხმელები: საბა ლომია – 22 (13), გიგა ამბროლაძე – 20 (2), მამუკა ტორონჯაძე – 17 (2), გიორგი რეხვიაშვილი – 12 (1), ბექა ჩხეტიანი – 6.

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია (I- XXII)

"მერანისთვის" არ არსებობს ავტორიტეტები – მარტვილური კლუბი ნებისმიერ მეტოქესთან ლაღად და კომბინაციურად ცდილობს თამაშს და მწვრთნელთა ჩანაფიქრის მოედანზე განხორციელება ხშირ შემთხვევებში წარმატებით ხერხდება.

მარტვილელები კოლექტიურ თამაშშიც ძლიერები არიან და გამორჩეული ინდივიდუალისტებიც ჰყავთ. წინა სეზონში ნაჩვენებმა შედეგმა "მერანის" ფეხბურთელთა მიმართ დიდი ინტერესი გამოიწვია და რამდენიმე მათგანმა კარიერა უფრო მაღალ დონეზე გააგრძელა. მხოლოდ **ელგუჯა გრიგალაშვილის** ხსენებაც საკმარისია, რომელიც ქუთაისის "ტორპედოში" გადავიდა და მის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. "მერანის" შემადგენლობაში მის გარდა, კიდევ არაერთი მზარდი და საინტერესო ფეხბურთელი წარმოჩნდა, რომელთათვისაც პატარა ქალაქის მოკრძალებულ, მაგრამ ავტორიტეტების არმცნობ კლუბში თამაში კარგ ტრამპლინად იქცა.

"მერანს" ნამდვილი "მეთორმეტე მოთამაშეც" ჰყავს. მარტვილში თამაში რომ არავისთვის არის სასიამოვნო, ეს მოედნის ცუდ საფართან ერთად, იქაური გულშემატკივრებიც არიან, რომლებიც საყვარელ გუნდს ერთგულად ქომაგობენ და "მერანის" წარმატებებში წონადი წვლილი შეაქვთ.

"მერანი" მიმდინარე სეზონშიც ანგარიშგასაწევ ძალად რჩება და კიდევ უფრო გაახალგაზრდავებული შემადგენლობით აგრძელებს ასპარეზობას. უშუალო კონკურენტებთან ბრძოლაში მარტვილელებმა ქულათა საკმაო მარაგს მოუყარეს თავი და არც უფრო ძლიერ მეტოქეებთან გამოიყურებოდნენ ურიგოდ. წესით, ასეთი თამაშით "მერანს" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს. კლუბის ბიუჯეტი კვლავ მოკრძალებულია, მაგრამ რამდენიმე უმაღლესლიგელისგან განსხვავებით, "მერანში" ხელფასები და პრემიები შეუფერხებლად გაიცემა და შესაბამისად, გუნდის ნორმალურ რეჟიმში არსებობას საფრთხე არ ემუქრება.

აუცილებლად ცალკე უნდა აღვნიშნოთ სამწვრთნელო შტაბის როლი. **მალხაზ ჟვანია** და მისი ასისტენტი **არჩილ ჩხაბერიძე** "მერანის" წარმატებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ და მათ მიერ გაწვრთნილ გუნდს თავისი ხელწერით ადვილად გამოარჩევთ. ეს დუეტი "მერანში" წლებია, მუშაობს და ბევრი კოლეგისგან განსხვავებით, ის უპირატესობაც აქვს, რომ კლუბის ხელმძღვანელობისგან სრული ნდობითა და მხარდაჭერით სარგებლობს, რაც ქართულ რეალობაში მეტად იშვიათი მოვლენაა.



საბა ლომია

მეორე სეზონია, "მერანი" უმაღლეს ლიგას დამატებით ხიბლს სძენს. იმედი გვაქვს, ქართულ საფეხბურთო რუკაზე ეს კლუბი კიდევ დიდხანს დარჩება.

**მეკარე**

ზედიზედ მეორე სეზონია, 22 წლის **ჯონი შეროზია** "მერანის" ძირითადი მეკარის სტატუსს არავის უთმობს. მალხაზ ჟვანიას გუნდს საკმაოდ საიმედო გოლკიპერი ჰყავს, რომელსაც ნამდვილად აქვს იმის შანსი, რომ წარმატებული კარიერა გაიკეთოს.

**დაცვა**

"მერანის" ოთხკაციან დაცვაში ადგილს ყველაზე ხშირად ამ ხუთეულში შემავალი უკანახაზელები იკავებდნენ - **კიჭი მელიავა, გივი ქარქუზაშვილი, ვალერი იობაშვილი, ლევან გეგეჭკორი** და **გიგა ჟვანია**. განსაკუთრებით 18 წლის გეგეჭკორის პროგრესი უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მყარად დამკვიდრდა.

**ნახევარდაცვა**

როგორც ვთქვით, "მერანი" ახალგაზრდული გუნდია, თუმცა იქ გამოცდილი ფეხბურთელებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი 36 წლის **გივი დიდავაა**, რომელიც სოლიდური საფეხბურთო ასაკის მიუხედავად, სისტემატურად და სტაბილურად თამაშობს ძირითად შემადგენლობაში. "მერანს" კარგად შეეწყო გორის "დილადან" დამატებული **ნოდარ ნოზაძე**, სასტარტო თერთმეტეულში მყარად დაიმკვიდრეს ადგილი **პაპუნა ფონიავამ** და **ცოტნე ბუკიამ**, რომლებიც შესაბამისად, მხოლოდ 18 და 19 წლისანი არიან.

**თავდასხმა**

"მერანმა" ჩემპიონატის პირველ ეტაპზე 23 გოლი გაიტანა, აქედან ნახევარზე მეტი, 13, **საბა ლომიას** ანგარიშზეა. 22 წლის ფორვარდი მარტვილურმა კლუბმა "ზესტაფონიდან" ინათხოვრა და ლომია სწორედ "მერანში" "გაიხსნა". გამტანი ფორვარდის პრობლემა მარტვილელებს მან მოუხსნა. ჯერ გაურკვეველია, სად გაატარებს ლომია სეზონის მეორე ნახევარს. თუ "ზესტაფონმა" მისი დაბრუნება გადაწყვიტა, საბას შემცვლელის პოვნა "მერანის" სამწვრთნელო შტაბს ძალიან გაუჭირდება.

**საუკეთესო მატჩი**

მე-16 ტურში "მერანმა" ქუთაისის "ტორპედოს" უმასპინძლა და ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტს სამი უპასუხო გოლი გაუტანა. მალხაზ ჟვანიას გუნდმა წინა სეზონში არაერთი ფავორიტი გაამწარა, მიმდინარე ჩემპიონატში კი "მერანის" შესრულებით ყველაზე ხმაურიანი შედეგი ეს იყო.

**ლიდერი**

კვლავ საბა ლომია უნდა ვახსენოთ, რომლის ბომბარდირულმა თვისებებმაც დიდად განაპირობა ის ფაქტი, რომ "მერანი" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლთა შორის ერთ-ერთი ფავორიტია.

**მიზანი**

ფინანსური შესაძლებლობებიდან, ინფრასტრუქტურული პრობლემებიდან და ახალგაზრდული შემადგენლობიდან გამომდინარე, "მერანი" ხმაურიან მიზნებს ვერ დაისახავს. მარტვილელთა პროგრამა-მინიმუმიცა და პროგრამა-მაქსიმუმიც მკაფიო და კონკრეტულია – უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საამისოდ "მერანს" ყველანაირი წინაპირობა აქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 22 | 16 | 4 | 2 | 63 | 19 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 43 | 11 | 33 | 11 | 5 | 4 | 2 | 20 | 8 | 19 |
| 2 | დილა | 22 | 16 | 1 | 5 | 36 | 15 | 49 | 11 | 7 | 0 | 4 | 18 | 9 | 21 | 11 | 9 | 1 | 1 | 18 | 6 | 28 |
| 3 | ტორპედო | 22 | 14 | 3 | 5 | 41 | 18 | 45 | 11 | 9 | 1 | 1 | 25 | 7 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 16 | 11 | 17 |
| 4 | ჩიხურა | 22 | 13 | 4 | 5 | 35 | 21 | 43 | 11 | 8 | 2 | 1 | 18 | 5 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 17 | 16 | 17 |
| 5 | ზესტაფონი | 22 | 11 | 4 | 7 | 30 | 20 | 37 | 11 | 6 | 2 | 3 | 11 | 7 | 20 | 11 | 5 | 2 | 4 | 19 | 13 | 17 |
| 6 | ზუგდიდი | 22 | 10 | 5 | 7 | 27 | 26 | 35 | 11 | 8 | 2 | 1 | 19 | 10 | 26 | 11 | 2 | 3 | 6 | 8 | 16 | 9 |
| 7 | მეტალურგი | 22 | 9 | 4 | 9 | 21 | 26 | 31 | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 14 | 17 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 12 | 14 |
| 8 | მერანი | 22 | 7 | 2 | 13 | 23 | 36 | 23 | 11 | 6 | 1 | 4 | 16 | 13 | 19 | 11 | 1 | 1 | 9 | 7 | 23 | 4 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 22 | 5 | 7 | 10 | 15 | 29 | 22 | 11 | 1 | 5 | 5 | 7 | 12 | 8 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 17 | 14 |
| 10 | სიონი | 22 | 4 | 6 | 12 | 14 | 38 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 5 | 18 | 8 | 11 | 3 | 1 | 7 | 9 | 20 | 10 |
| 11 | დინამო (ბთ) | 22 | 3 | 4 | 15 | 22 | 47 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 11 | 21 | 7 | 11 | 1 | 3 | 7 | 11 | 26 | 6 |
| 12 | კოლხეთი | 22 | 0 | 4 | 18 | 11 | 43 | 4 | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 19 | 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 5 | 24 | 1 |

● სამზადისი



სოსო ფრუიძე — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## ჩიხურა დედაქალაქში გადმოდის

საჩხერის „ჩიხურა", რომელმაც სეზონის პირველი ეტაპი მეოთხე ადგილზე ჩაამთავრა, ხვალ თბილისში შეიკრიბება და სეზონის განახლებისთვის მზადებას დაიწყებს.

**სოსო ფრუიძის** გუნდს ორჯერადი ვარჯიშები ექნება, დილით სირბილი ვერის პარკში, საღამოს კი წვრთნა ხელოვნურსაფრიან მოედანზე - ან „ბენდელაზე", ან 35-ე საფეხბურთოს სკოლის „მარაკანაზე".

„ჩიხურადან" ჯერ არავინ არ წასულა, **დავით დილმელაშვილს, რევაზ გოცირიძეს, გიორგი სომხიშვილსა** და **ედიკ საჯაიას** კონტრაქტი კი დაუსრულდათ კლუბთან, მაგრამ შეთანხმებული ამბავია, რომ ეს ოთხეული ისევ „ჩიხურაში" ითამაშებს.

სოსო ფრუიძის გუნდი თბილისში რვა დღეს დაჰყოფს, თუ ამინდმა ხელი შეუწყო, კიდევ ამდენ ხანს გააგრძელებს დედაქალაქში მზადებას, მერე კი ანტალიაში აპირებს წასვლას.

**დავით თავართქილაძე**

● დანიშვნა

## ბურდული სიონის სპორტული დირექტორია

ორიოდე დღის წინ ვწერდით, რომ ბოლნისის „სიონში" **ლადო ბურდულის** გამოჩენას ელოდნენ. გუშინ ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაგვიდასტურეს: საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი ბოლნისური კლუბის სპორტულ დირექტორად დაინიშნა.

კლუბის გენერალური დირექტორი **მალხაზ მაღრაძე** იქნება, მანამდე ამ პოსტზე დასაქმებული **ნუგზარ ლომთაძე** "სიონში" რჩება, თუმცა კლუბში სხვა თანამდებობა ექნება.

დეკემბერში კონტრაქტები დაუსრულდათ კლუბის მენეჯმენტის წევრებს, **ლევან ბაჯელიძესა** და **სანდრო ბურნაძეს**. ამ ეტაპზე უცნობია, დარჩებიან თუ არა ისინი კლუბში.

**მერაბ მამულაშვილი**



ლადო ბურდული

● ბარსელონა


ანდრეს ინიესტა „მტრის ზურგში“

# ლიდერთა ლიდერი ბარსელონა

## ეკვატორიდან დანახული გრანდი

### პარსკვლავი, რომელმაც მესი დაჩრდილა

I წრის უკანასკნელ მატჩში **ტიტო ვილანოვას** გუნდმა საუცხოო გუნდური შემართება აჩვენა - ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონის „კერკეტი კაკალი“, „მალაგა“ უბრალოდ უშანსოდ იყო. კარგი იყო **ლიონელ მესი**, რომლის ანგარიშზეც გოლი და 2 საგოლე პასია, თუმცა „ბარსას“ ოფიციალურმა საიტმა „ოქროს ბურთის“ მფლობელზე წინ ამ ტიტულისათვის ბრძოლაში ფინალისტი **ანდრეს ინიესტა** და **სერხიო ბუსკეტსი** დააყენა. მართალია, ინიესტას არც გოლი გაუტანია, არც საგოლე პასი მიუთვლია, მაგრამ ფეხბურთის გულშემატკივარს საოცარი მომენტები აჩუქა.

თამაშის შემდეგ 28 წლის ფეხბურთელმა თქვა: *„ჩვენ შევეცდებით, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩეთ დაუმარცხებლები. გუნდს მხოლოდ ეხმარება ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობა, რადგან თითოეული ჩვენგანი მხოლოდ „ბარსას“ წარმატებაზე ფიქრობს. ამას ემატება დიდი შრომა და თავგანწირვა, შედეგად კი მივიღეთ 19 მატჩში 18 გამარჯვება და 1 ფრე. პირველი წრე ფანტასტიკური გამოგვივიდა, მაგრამ ასეთი ციფრები მნიშვნელოვანია, მხოლოდ სეზონის გადამწყვეტ ნაწილში - მაისში“*

სხვათა შორის, ლიდერმა სულ რაღაც 4-ჯერ დაარტყა **ვილი კაბალიეროს** კარში ზუსტად, მაგრამ სამი გოლი გაიტანა. თუმცა არგენტინელ გოლკიპერს ანდალუსიელთა გადარჩენა არ შეეძლო.

### პედროს ხუთიანი

„მალაგასთან“ მატჩის წინა დღე განსაკუთრებული იყო **პედრო როდრიგესისთვის** - 5 წელიწადი შესრულდა, რაც 25 წლის ფორვარდის დებიუტი შედგა „ბარსელონას“ პირველ გუნდში. 2008 წლის იანვარში **ფრანკ რაიკაარდმა** დებიუტანტი „მურსიასთან“ თამაშში შეიყვანა მოედანზე. პედრიტომ **სამუელ ეტოო** შეცვალა და მოედანზე ზუსტად წუთი დაჰყო.

### ისტორიანი და აწმანი

პირველი წრის 19 ტურიდან „ბარსელონამ“ 10 სტუმრად გამართა და 9 შინ. სტუმრად ყველა შეხვედრა მოიგო, შინ კი „რეალს“ დაუზავდა, დანარჩენი 8 დაპირისპირება კი მოიგო. შედეგად, 57 შესაძლებელიდან 55 ქულა მოაგროვა, რაც ესპანეთის ჩემპიონატის ახალი რეკორდია. წინა რეკორდი 2010/11 წლების სეზონზე მოდის და ასევე „ბარსელონას“ ეკუთვნის - 52 ქულა პირველ წრეში.

პირველი წრის მოგება კი, როგორც წესი, ტიტულის მოპოვებას ნიშნავს: „ბარსელონამ“ პირველი წრე 18-ჯერ მოიგო. საბოლოოდ კი გამარჯვებული 11 შემთხვევაში დარჩა. ბოლოს პირველი წრის ტიტული „ბარსამ“ საბოლოო გამარჯვებაში 2006/07 წლების სეზონში ვერ ასახა - მაშინ ჩემპიონი „რეალი“ გახდა.

### წრე ციფრებში

**1** ამ სეზონში „ბარსამ“ მხოლოდ ერთხელ ვერ მოიგო, შინ „რეალთან“ 2:2 ითამაშა.

**10** პრიმერა დივიზიონის ისტორიაში ვილანოვას გუნდი პირველია, რომელმაც პირველი ათი საგარეო მატჩი მოიგო

**11** პირველი წრის მერე ამდენი ქულით უსწრებს მდევარ „ატლეტიკოს“

**18** კიდევ უფრო დიდია სხვაობა უშუალო კონკურენტ „რეალთან“.

**55** ქულა 57 შესაძლებლობიდან, თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე.

**110** თუკი ასეთი ტემპით გააგრძელა, ამდენ ქულას დააგროვებს „ბარსა“ სეზონში (114 შესაძლებელიდან). „რეალმა“ შარშან 100 ქულას მიაღწია.

### ბარსა და დანარჩენი სამყარო

18 მოგება, 1 ფრე, 64-20 ბურთების სხვაობა - „ბარსას“ დიდებული ციფრებია. გუნდმა მოიგო თამაშების 96,5%, თამაშში კი საშუალოდ 3,37 გოლი გაჰქონდა.

ამ მაჩვენებლით „ბლაუგრანა“ ბევრად სჯობს ინგლისის, იტალიის, საფრანგეთისა და გერმანიის ჩემპიონატების ლიდერებს.

მაგალითისთვის, „პარი სენ-ჟერმენი“ საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერია და „ბარსაზე“ 17 ქულით ნაკლები აქვს. „მანჩესტერ იუნაიტედს“, პრემიერლიგის ლიდერს ბურთების შეფარდება +20 აქვს, „ბარსას“ +44-თან შედარებით.

| გუნდი | თ | ქულა (%) | მ | ფ | წ | გ | გ ტოლ | სხ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 19 | 55 (96,5%) | 18 | 1 | 0 | 64 (3,37) | 20 (1,05) | +44 |
| მანჩესტერი | 19 | 46 (77,9%) | 15 | 1 | 3 | 48 (2,5) | 28 (1,47) | +20 |
| იუვენტუსი | 19 | 44 (74,5%) | 14 | 2 | 3 | 40 (2,1) | 13 (0,68) | +27 |
| ბაიერნი | 17 | 42 (82,3%) | 13 | 3 | 1 | 44 (2,58) | 7 (0,41) | +37 |
| პსჟ | 19 | 38 (64,4%) | 11 | 5 | 3 | 36 (1,9) | 12 (0,63) | +24 |

■ „ბარსელონა“ ერთადერთია ტოპ-5-ეულის ლიდერთა შორის, რომელსაც არ წაუგია.

■ „ბარსელონა“ ერთადერთია იმ ხუთეულში, რომელსაც საშუალოდ 3 გოლზე მეტი გააქვს მატჩში.

■ აბსოლუტურად ყველა კატეგორიაში „ბარსელონა“ სჯობს სხვა ქვეყნების ჩემპიონატების ლიდერებს, გარდა დაცვისა. დაცვაში გაცილებით უკეთ თამაშობენ: „ბაიერნი“, პსჟ და „იუვენტუსი“.

როგორც „ბარსა“ სჯობს ევროკონკურენტებს, ასევე სჯობს ლეო მესი სხვა ქვეყნების ჩემპიონატების ლიდერ კლუბთა ბომბარდირებს. არგენტინელის ანგარიშზე 28 გოლია, რაც საშუალოდ თამაშში 1,5 გოლია.

| ფეხბურთელი | თ | გ | საშ. |
|---|---|---|---|
| ლეო მესი (ბარს) | 19 | 28 | 1,5 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ) | 16 | 18 | 1,1 |
| რობინ ვან პერსი (მანჩ) | 18 | 13 | 0,7 |
| მარიო მანჯუკიჩი (ბაი) | 15 | 9 | 0,6 |
| ფაბიო კვალიარელა (იუვ) | 14 | 6 | 0,4 |

* ლიდერთა ხუთეულიდან ყველაზე სუსტი ბომბარდირი „იუვენტუსს“ ჰყავს - **ფაბიო კვალიარელას** თამაშში საშუალოდ 0,4 გოლი გააქვს, რაც მესის მაჩვენებლის მესამედიც არაა.

# ტიტო ვილანოვა: ამაზე ვერ გავჩერდებით



„ბარსელონას“ 44 წლის მწვრთნელს, **ტიტო ვილანოვას** ურჩევნია ყურადღების ცენტრში თავისი ავადმყოფობის გამო კი არა საქმის გამო მოხვდეს

ესპანეთის ჩემპიონატის მე-19 ტურის მატჩის შემდეგ, რომელშიც „ბარსელონამ“ სტუმრად 3:1 სძლია „მალაგას“, ტიტო ვილანოვა ჟურნალისტებს გაესაუბრა.

*„11 ქულით ვუსწრებთ უახლოეს კონკურენტს, მადრიდის „ატლეტიკოს“. ჩემპიონატის დასაწყისში ასეთი უპირატესობა, უბრალოდ, წარმოუდგენელია, მაგრამ ჩვენ არ ვართ დაუმარცხებლები. ყველაფერს, რასაც აქამდე მივაღწიეთ, წინ დიდი შრომა და მოგებების უდიდესი წყურვილი ახლდა. იმ დღეს, როცა ჩვენ დავივიწყებთ ამ შემართებას და მაღალ დონეზე არ ვითამაშებთ, დავმარცხდებით. ამიტომ მთავარი ამ ფორმის შენარჩუნებაა“.*

### პირველ წრეზე

„ძალიან კმაყოფილი ვარ სეზონის პირველი ნახევრით. წარმოიდგინეთ, სტუმრად 10 მატჩი მოვიგეთ“!

### რატომ იგებს „ბარსა“?

რა არის „ბარსას“ წარმატების მიზეზი? ფეხბურთელები! ისინი ძალიან კარგები არიან, მათ 4-წლიანი წარმატებული ციკლი უმაგრებთ ზურგს და იციან „ბარსელონას“ სათამაშო კონცეფცია თვალდახუჭულებმა“.

### მეორე წრეზე

„სეზონის მეორე ნახევრის ასევე ჩატარება გაგვიჭირდება. ლა ლიგის ტიტული არ მოგვიგია, მთელი მეორე წრე წინაა, წინაა ძნელი ვიზიტები „ვისენტე კალდერონზე“ და „სანტიაგო ბერნაბეუზე“, მაგრამ ჩვენ მიღწეულზე გაჩერებას არ ვაპირებთ“.

### „მალაგასთან“ სათასო დაპირისპირებაზე

„მალაგას“ ახლა თასზე ვხვდებით, თუმცა თითოეული მატჩი ცალკე სალაპარაკო თემაა. და შეიძლება სულ სხვანაირად განვითარდეს მოვლენები“.

### დავიდ ვილიაზე

„ვილია არსადაც არ მიდის. ჩვენ ყველაზე კარგად ვიცით, რა საჭირო ფეხბურთელიცაა დავიდი გუნდისთვის“

### თავის ავადმყოფობაზე

„მალაგელთა მადლიერი ვარ საჯაროდ გამოხატული მხარდაჭერისთვის, თუმცა მირჩევნია ჩემი ავადმყოფობის გამო, ყურადღების ცენტრში არ მოვექცე. მირჩევნია თითით საჩვენებელი ჩემი საქმის გამო ვიყო“.

● რეალი

# იკერმა დაკარგული დაიბრუნა

## ჟოზე კაპიტნის სკამზე დასმას აღარ აპირებს

„მარკა“ იუწყება, რომ მომავალში „რეალში“ სამეკარეო კრიზისი მოსალოდნელი აღარ არის - **ჟოზე მოურინიომ** გადაიფიქრა **იკერ კასილიასის** სკამზე დასმა.

31 წლის მეკარე აქამდე გუნდში „ხელშეუხებლად“ მიიჩნეოდა, თუმცა 2012 წლის ბოლო მატჩში ჟოზემ კაპიტანი სათადარიგოთა სკამზე დასვა და მის მაგივრად „სამეფო კლუბის“ კარში **ანტონიო ადანი** დააყენა. ამის შემდეგ კასილიასისა და მოურინიოს ურთიერთდამოკიდებულება საფეხბურთო ესპანეთის მთავარი თემა იყო.

სამწვრთნელო შტაბი მიიჩნევს, რომ იკერზე ასეთი უცნაური სახით წარმოებულმა ზეწოლამ შედეგი მოიტანა და კასილიასმაც იგრძნო, რომ შეიძლება დაემუქროს კონკურენცია, თუკი მოეშვება. „მარკას“ ცნობით, „სელტასთან“ მატჩის მეორე ტაიმი გადამწყვეტი იყო კასილიასისთვის, იკერმა ჩვეულ დონეზე ითამაშა და ჟოზეს დაუმტკიცა, რომ ისევ ტოპ-კლასის გოლკიპერია.

„რეალის“ უახლოესი მატჩი „სამეფო თასზეა“ დღეს, „ვალენსიას“ წინააღმდეგ და კარში კასილიასი ჩადგება. არადა, თავიდან ჟოზე ისევ ადანის დაყენებას აპირებდა. მაგრამ პორტუგალიელს სურს პირმართალი იყოს კასილიასთან, რადგან კასილიასი სათანადოდ შეხვდა „განსაცდელს“ და სწორი დასკვნებიც გამოიტანა, მოურინიოს ნდობაც დაიბრუნა.



### ლა ლიგა. XIX ტური

**ხეტაფე-გრანადა 2:2**

**გოლები:** 1:0 ხ. როდრიგესი (19), 1:1 სიკეირა (28-პენ), 2:1 ალკასერი (42), 2:2 სიკეირა (92-პენ)

**ხეტაფე (4-4-2):** მოია - ვალერა, ალექსისი, რაფა, აბრაამი - დ. კასტრო, ტორესი, ხ. როდრიგესი, გავილანი (89. ბორხა) - კოლუნგა (74. ა. ვასკესი), ალკასერი (68. სარაბია).

**გრანადა (4-2-3-1):** ფერნანდესი - ნიომი (73. ორელიანა), დიახატე, მაინსი, სიკეირა - ირინეი (55. რესიო), მ. რიკო - ტორჟე, ბრაიმი, ანგულო (55. რომერო) - იგჰალო.

**გაფრთხილება:** კოლუნგა, კასტრო, გავილანი, რაფა - ირინეი, მაინსი

**კუთხური:** 1-7; **ჯარიმა:** 15-21; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 8-10 (8-3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 8 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 19 | 18 | 1 | 0 | 64-20 | 55 |
| 2. ატლეტიკო | 19 | 14 | 2 | 3 | 40-18 | 44 |
| 3. რეალი | 19 | 11 | 4 | 4 | 45-20 | 37 |
| 4. ბეტისი | 19 | 11 | 1 | 7 | 30-29 | 34 |
| 5. მალაგა | 19 | 9 | 4 | 6 | 29-16 | 31 |
| 6. ვალეკანო | 19 | 10 | 1 | 8 | 27-34 | 31 |
| 7. ვალენსია | 19 | 9 | 3 | 7 | 27-27 | 30 |
| 8. ლევანტე | 19 | 9 | 3 | 7 | 24-27 | 30 |
| 9. სოსიედადი | 19 | 7 | 5 | 7 | 28-25 | 26 |
| 10. ვალიადოლიდი | 19 | 7 | 4 | 8 | 27-25 | 25 |
| 11. ხეტაფე | 19 | 7 | 4 | 8 | 24-30 | 25 |
| 12. სევილია | 19 | 6 | 4 | 9 | 23-28 | 22 |
| 13. სარაგოსა | 19 | 7 | 1 | 11 | 21-28 | 22 |
| 14. ბილბაო | 19 | 6 | 3 | 10 | 23-39 | 21 |
| 15. სელტა | 19 | 5 | 3 | 11 | 19-24 | 18 |
| 16. ესპანიოლი | 19 | 4 | 6 | 9 | 20-30 | 18 |
| 17. გრანადა | 19 | 4 | 5 | 10 | 16-29 | 17 |
| 18. მალიორკა | 19 | 4 | 5 | 10 | 18-33 | 17 |
| 19. დეპორტივო | 19 | 3 | 7 | 9 | 23-40 | 16 |
| 20. ოსასუნა | 19 | 3 | 6 | 10 | 14-20 | 15 |

**ბომბარდირები:** 28 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 18 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 16 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ბაიერნი

# გვარდიოლას მრჩეველი მიუნხენში!

## კიკერის ცნობით, ბაიერნში სამწვრთნელო საკითხი ამ თვეში გადაწყდება!




ხოსეპ გვარდიოლა გადაწყვეტილებას მარტში მიიღებს

**სამწვრთნელო საკითხი ბუნდესლიგის არაერთ კლუბშია გასარკვევი - სეზონის ბოლოს კონტრაქტები შემდეგ მწვრთნელებს უმთავრდებათ: იუპ ჰაინკესი (ბაიერნი), იენს კელერი (შალკე), ბრუნო ლაბადია (შტუტგარტი), არმინ ფეე (აინტრახტი), მაიკ ბიუსკენსი (ფიურტი) და მიხაელ ვაიზინგერი (ნიურნბერგი). ცხადია, ყველაზე საინტერესო „ბაიერნია". გუშინ „კიკერი" წერდა, რომ ყინული დაიძრა: რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე ჰაინკესს ამ დღეებში უნდა შეხვდეს.**

როცა მწვრთნელს კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, გერმანული კლუბები დამრიგებლებთან მოლაპარაკებებს იანვარში იწყებენ ხოლმე, მაგრამ **ჰაინკესმა** არაერთხელ თქვა, შეფებს სავარაუდოდ მარტში დაველაპარაკები, მანამდე კი საჩქარო არაფერიაო. როგორც ჩანს, რალაც შეიცვალა, რადგან „კიკერი" გუშინ წერდა, რომ „დონ იუპისა" და „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** შეხვედრა მინიმუმ ამ დღეებში და მაქსიმუმ იანვრის ბოლომდე შედგება. „კიკერი" იმასაც იუწყება, რომ სწორედ 2-3 კვირაში გადაწყდება, ვინ იქნება „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი მომდევნო სეზონიდან - ისევ ჰაინკესი, თუ ვინმე სხვა.

პრეზიდენტი **ული ჰიონესი** და სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** ჰაინკესს მუდმივად აქებენ და გაიძახიან, რაც არ უნდა მოხდეს, „ბაიერნს" მომდევნო სეზონშიც ბრწყინვალე დამრიგებელი ეყოლებაო. თუ ჰაინკესი რუმენიგეს ეტყვის, რომ მუშაობის გაგრძელება უნდა, მერე ბოსები ერთმანეთში მოილაპარაკებენ, როგორ უნდა მოიქცნენ, ხოლო თუ პენსიაზე გასვლას მოისურვებს, ჰიონესს, რუმენიგეს და ზამერს ყველა შემთხვევაში ახალი სპეციალისტის მიწვევა მოუწევთ. „კიკერის" ინფორმაციით, დღეისათვის „ბაიერნში" სერიოზულად მხოლოდ სამი კანდიდატურა განიხილება: **ხოსეპ გვარდიოლა, რობერტო დი მატეო** და **მეჰმეთ შოლი.**

## პირველი კანდიდატი: გვარდიოლა

მიუხედავად იმისა, რომ გერმანული ენა არ იცის, 41 წლის გვარდიოლა რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებს მაინც სერიოზულად აინტერესებთ. მეტიც: „კიკერი" წერს, რომ ჰაინკესის წასვლის შემთხვევაში „ბარსელონას" ყოფილი თავკაცი ყველაზე სასურველი კანდიდატია. თუმცა „ბაიერნს" პეპისთვის ბრძოლაში „ჩელსის" და „მანჩესტერ სიტის" სახით სერიოზული კონკურენტები ჰყავს.

გუშინ, „მიუნხენერ თაგესცაითუნგმა" ძალიან საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა: ხსენებულ გამოცემაში ვკითხულობთ, რომ გვარდიოლას მრჩეველი **ხოსეპ მარია ორობიტგი** რამდენიმე დღის წინ მიუნხენში იმყოფებოდა და „ბაიერნის" ხელმძღვანელებს შეხვდა. გაზეთი წერს, რომ ეს ინფორმაცია სანდო წყაროს მეშვეობით მოიპოვა. „თაგესცაითუნგი" იმასაც იტყობინებოდა, რომ გვარდიოლას მიუნხენური გრანდის ბოსებისთვის შეუთვლია, გადაწყვეტილებას მარტში მივიღებო.

გაგახსენებთ, რომ შარშან, მაისში, გვარდიოლას კიდევ ერთ მრჩეველს და ძმას, პერეს, მიუნხენური კლუბის ყოფილი სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** შეხვდა. ინგლისური პრესა წერდა, პეპს ინგლისში მუშაობა უნდა და გადაწყვეტილებას ან „სიტის", ანაც „ჩელსის" სასარგებლოდ მიიღებსო, გერმანული „თაგესცაითუნგი" კი ირწმუნება, რომ ინგლისი პეპის პირველი არჩევანი არ არის.

## მეორე კანდიდატი: დი მატეო

„კიკერის" ცნობით, გვარდიოლას შემდეგ ბავარიელები 42 წლის დი მატეოს კანდიდატურას განიხილავენ, რომელმაც წინა სეზონში „ჩელსის" ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, „ბაიერნს" კი „ალიანს არენაზე" საოცნებო ფინალი ჩაუშნარა. დი მატეო შვეიცარიაშია დაბადებული და გერმანულად საუბრობს. სხვადასხვა წყაროს ცნობით, დი მატეო პირადად ზამერის ფავორიტია - თუ, რა თქმა უნდა, გვარდიოლას ვერ დაითანხმებენ.

## მესამე კანდიდატი: შოლი

გვარდიოლასთან და დი მატეოსთან ერთად, ბოლო დროს „ბაიერნთან" მიმართებაში ყველაზე ხშირად ექსბაიერნელი მეჰმეთ შოლის გვარს ახსენებენ. 42 წლის მეჰმეთმა კარიერა 2007 წელს დაასრულა, 2008 წელს კი „ბაიერნის" 13-წლამდელთა ბავშვთა გუნდში დაინიშნა. 2009 წელს შოლს „ბაიერნის" მეორე გუნდი ჩააბარეს, 2010-ში გაათავისუფლეს, მაგრამ მიმდინარე სეზონში ისევ დანიშნეს და ახლა კვლავ რეკორდმაისტერის მეორე, რეგიონალლიგის გუნდის დამრიგებელია.



იუპ ჰაინკესის ბედი ამ დღეებში, მაქსიმუმ იანვრის ბოლომდე გაირკვევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

### სემს შალკეში [illegible]

24 წლის **სიდნი სემი** „შალკეში" არ გადავა! „კიკერის" ინფორმაციით, „ლევერკუზენის" ხელმძღვანელებმა მის ტრანსფერს ვეტო დაადეს. ცნობილი გახდა, რომ თვითონ სემმა გელზენკირხენულ კლუბში გადასვლა მოისურვა, მაგრამ შეფებმა მის გაშვებაზე უარი თქვეს. მიზეზი პირველ რიგში ისაა, რომ „ლევერკუზენს" წინა ხაზისთვის ისედაც არ ჰყავს ბევრი ფეხბურთელი და რაკი არც გაძლიერებას გეგმავენ, სემის ტრანსფერი დიდ რისკად შეფასდა. ფეხბურთელმა ბოსების გადაწყვეტილება მშვიდად მიიღო და თქვა, რომ „ლევერკუზენისთვის" მაინც ბოლომდე დაიხარჯება.

### ჰამბურგი და ახალგაზრდები

„ჰამბურგმა" დორტმუნდის „ბორუსიადან" თურქული წარმოშობის მქონე გერმანელი ტალანტი **ქერემ დემირბაი** დაიბევა. ეს ინფორმაცია გუშინ ჩრდილოგერმანული კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** დაადასტურა. 19 წლის ნახევარმცველი ჰამბურგში ზაფხულში, უფასოდ გადავა და 4-წლიან კონტრაქტს მიიღებს. ამასთან, ჰამბურგის ბოსმა განაცხადა, რომ ნიჭიერი ფეხბურთელების შენარჩუნება სურს. საუბარია შემდეგ ტოპ-ტალანტებზე: **ლევინ იოზთუნალი**, რომელიც ლეგენდარული **უვე ზეელერის** შვილიშვილია და **ჯონათან თაა.**

*„ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ნიჭიერმა ფეხბურთელებმა არ დაგვტოვონ,"* - აღნიშნა არნესენმა კლუბის ყოველწლიურ შეკრებაზე. ხსენებულ ფეხბურთელებს კონტრაქტები სეზონის ბოლოს უმთავრდებათ და ცნობილია, რომ მათი გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედს", „არსენალს" და „ბაიერნს" სურთ.

### ვაგნერ ლავი მოსკოვში ბრუნდება

რუსული გაზეთების ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ბრაზილიელი თავდამსხმელი **ვაგნერ ლავი** მოსკოვის ცსკა-ში დაბრუნდება. შეგახსენებთ, რომ 28 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი რიო დე ჟანეიროს „ფლამენგოში" ზუსტად ერთი წლის წინ გადავიდა. ჩვენი რუსი კოლეგების ცნობით, ცსკა-მ „ფლამენგოს" ყველანაირად მისაღები წინადადებით მიმართა. აქვე გეტყვით, რომ ვაგნერ ლავი რუსეთის ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო უცხოელი ბომბარდირია.

### მხითარიანი: დორტმუნდი უნდა გავიაროთ!

დონეცკის „შახტარის" შემტევი ნახევარმცველი **ჰენრიხ მხითარიანი** დორტმუნდის „ბორუსიას" ურთულეს მეტოქედ მიიჩნევს, მაგრამ ფიქრობს, რომ უკრაინულმა გრანდმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გერმანიის ჩემპიონის ბარიერი უნდა გადალახოს.

*„დორტმუნდი" ბრწყინვალე გუნდია, მაგრამ ჩვენ ამ გუნდის გაგდება შეგვიძლია. ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს. გუნდში ყველამ ვიცით, რომ „ბორუსიასთან" ორი ურთულესი მატჩი გველის, მაგრამ ჩვენ ამ ბარიერის გადალახვა შეგვიძლია,"* - განუცხადა 23 წლის სომეხმა ფეხბურთელმა საინფორმაციო სააგენტო AFP-ს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ჯეკოს ბუნდესლიგაში დაბრუნება უნდა!

## ბოსნიელს ჯოკრის როლი არ აკმაყოფილებს




ედინ ჯეკო „მანჩესტერ სიტიში" უბედური არაა, მაგრამ არც ბედნიერია

კვირას, „არსენალთან" უმნიშვნელოვანეს მატჩში „მანჩესტერ სიტის" თავკაცმა **რობერტო მანჩინიმ ედინ ჯეკო** ძირითად შემადგენლობაში გაამწესა და ბოსნიელმაც იმედი გაუმართლა: „სიტიმ" ლონდონში 2:0 მოიგო და მეორე გოლი სწორედ ჯეკოს ანგარიშზეა. ამ მატჩის შემდეგ ჯეკო აზრს სავარაუდოდ არ შეიცვლიდა, წინა დღეს კი გაზეთ „სანდეი მირორს" ინტერვიუ მისცა, რომელშიც კიდევ ერთხელ გამოხატა უკმაყოფილება იმის გამო, რომ მანჩინი სასტარტოში იშვიათად ათამაშებს ხოლმე. ამასთან, ჯეკომ არ დამალა, რომ ბუნდესლიგაში დაბრუნება უნდა და არ გამორიცხა, რომ კარგი წინადადების მიღების შემთხვევაში მანჩესტერიდან ახლავე აიბარგოს.

პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში ჯეკოს 19 მატჩი აქვს ჩატარებული, 10 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი გააკეთა. ეს ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის, მაგრამ ბოსნიელი თავდამსხმელისთვის პრობლემა ისაა, რომ 19 შეხვედრიდან ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 8-ჯერ იყო. შეცვლაზე შესვლის შემდეგ მან 6 გოლის გატანა მოახერხა, რის გამოც 26 წლის თავდამსხმელს ინგლისში „სუპერ-ჯოკერს" უწოდებენ, მაგრამ ჯეკოს ეს როლი არ აკმაყოფილებს და აღარ მალავს, რომ „სიტიდან" წასვლაზე სერიოზულად ფიქრობს.

## ჯეკო: არ ვარ სუპერ-ჯოკერი!

*„რაც უნდათ, ის მიწოდონ, მაგრამ მე „სუპერ-ჯოკერი" არ ვარ და არც არასდროს ვიქნები!* - აცხადებს ჯეკო ხსენებული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში, *- მართალია, მოედანზე შესვლის შემდეგ რამდენიმე გოლი გავიტანე, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში თამაში მირჩევნია. სათადარიგო ფეხბურთელის რანგში წნეხს ვერ ვგრძნობ, რაც ჩემთვის ცუდია. „მანჩესტერ სიტიში" უკმაყოფილო ან უბედური ნამდვილად არ ვარ, აქ ყველაფერი შესანიშნავადაა და ვფიქრობ, ჩემ მიერ გატანილი გოლების რაოდენობაც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მწვრთნელი, ხელმძღვანელები და ქომაგები ჩემით კმაყოფილები იყვნენ, მაგრამ ეს სიტუაცია ჩემთვის არაა დამაკმაყოფილებელი."*

შეგახსენებთ, რომ ედინი „სიტიში" ორი წლის წინ გადაბარგდა და ამ ხნის მანძილზე გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერაფრით დაიმკვიდრა - მანჩინი მას უმეტესად შეცვლაზე ათამაშებს ხოლმე. შესაბამისად, ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა ბოსნიელი უკმაყოფილებას გამოხატავს. „სანდეი მირორისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჯეკო არ ამბობს, „სიტიდან" გაქცევა მინდაო, მაგრამ ხაზგასმით აცხადებს, რომ ბუნდესლიგაში დაბრუნებაზე ოცნებობს.

*„გულახდილად ვამბობ, კონკრეტულ კლუბებზე ნამდვილად არ მიფიქრია, მაგრამ დასამალი არაფერია: გერმანიაში სიამოვნებით დავბრუნდებოდი. ჩემთვის აქ არავის მოუცია იმის საბაბი, რომ წასვლაზე ვფიქრობდე, მაგრამ მირჩევნია, რომ ძირითად შემადგენლობაში უფრო ხშირად ვთამაშობდე. ჩემთვის ეს ყველაფერზე მნიშვნელოვანია. ბუნდესლიგა კი მართლაც ძალიან მიყვარს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ „სიტიდან" ახლავე, იანვარში წავიდე. ვცდილობ, ამაზე არ ვიფიქრო, მაგრამ ძალაუნებურად მეფიქრება,"* - აცხადებს ჯეკო.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XX ტურის შეჯამება

# კრიზისია თუ არა?

## ანტონიო კონტე: ჩვენ დახმარება არ გვჭირდება, ისედაც ძლიერები ვართ

გასული უქმეების შემდეგ, იტალიურ საფეხბურთო სამყაროში მთავარი სალაპარაკო თემა მაინც „იუვენტუსის" კიდევ ერთი წაფორხილება და შესაძლო კრიზისია. ფაქტია, ტურინულმა გრანდმა ბოლო ორ მატჩში ხუთი ქულა დაკარგა და თანაც, ცუდად ითამაშა. ამასთან, აღნიშნული შეხვედრები „ვეკია სენიორას" გრანდებთან სულაც არ ჩაუტარებია - ჯერ „სამპდორიას" გაატანა ტურინიდან სამივე ქულა, შემდეგ კი „პარმასთან" ფრეს დასჯერდა. მოკლედ, პრობლემები სახეზეა და მთავარი კითხვა აქ შემდეგში მდგომარეობს: არის თუ არა ეს კრიზისი?



ანტონიო კონტე

### ემოციური კონტე

**ანტონიო კონტეს** თითქოს ერთიანად დაატყდა თავს პრობლემები - **ჯორჯო კიელინი** დაშავდა, **კვადვო ასამოა** აფრიკის ეროვნებათა თასზე სასპარეზოდ გაემგზავრა, **კლაუდიო მარკიზიოც** დაიმტვრა, ფორვარდებსაც ჩავარდნა აქვთ, ველარც **არტურო ვიდალია** ძველებურად პროდუქტიული და თითქოს ველარც **პოლ პოგბაა** ისეთი ნიჭიერი, **ალექს ფერგიუსონს** რომ ორი ქვა უნდა ეჭიროს ხელში, ეს ვინ გავუშვიო. შესაძლოა, ცოტა გადავამეტეთ კიდეც, მაგრამ ფაქტია, რომ „იუვე" ქულას ქულაზე კარგავს და ისეთი თავდაჯერებული ველარ არის, როგორიც აქამდე იყო.

*„ის, რასაც ორი წელია ვაკეთებთ, ფანტასტიკურია, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ყოველთვის ასე ვერ იქნება. სერია A ძალიან რთული ტურნირია, სადაც ნებისმიერი კალიბრის გუნდს შეიძლება ორ შეხვედრაში ფეხი დაუცდეს. მესმის, რომ „იუვესგან" ეს მოულოდნელია, მაგრამ ჩვენც ადამიანები ვართ. კი ბატონო, ორ თამაშში ხუთი ქულა დავკარგეთ, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ პირველ ადგილზე ვართ და ჩემპიონობისთვის ვიბრძვით. არანაირ გამოსავალს არ ვეძებთ, უნდა დავმშვიდდეთ და ჩვეულებრივად გავაგრძელოთ მზადება თითოეული შეხვედრისთვის. მომდევნო ტურში, „უდინეზეს" ვმასპინძლობთ და აუცილებლად სამი ქულა უნდა მოვიპოვოთ, რათა ეს ხშირ შემთხვევაში უსაფუძვლო კრიტიკა თავიდან ავიცილოთ".*

„პარმა"—„იუვენტუსის" შეხვედრაში იყო რამდენიმე ეპიზოდი, რომელშიც მსაჯმა საკამათო გადაწყვეტილება მიიღო და უმეტესობა „იუვენტუსის" სასარგებლოდ... მედიაში კიდევ ერთხელ წამოიწია წინა პლანზე ტურინელთათვის არბიტრთა დახმარების თემამ და კონტემ ამის შესახებაც ისაუბრა: *„უკვე ყელში ამოვიდა იმის მოსმენა, რომ „იუვენტუსს" ეხმარებიან. იყო არაერთი შეხვედრა, სადაც პირიქით, ჩვენს საწინააღმდეგოდ შეცდნენ, მაგრამ მაშინ, ხმა არ ამოგვიღია. როდესაც გვჩაგრავენ, ვერავინ ამჩნევს და თუ ჩვენს სასარგებლოდ შეცდნენ მსაჯები, უმალ თავის მართლება მიწევს - ეს უსამართლობაა, რომელსაც ბოლო უნდა მოელოს. „იუვენტუსს" დახმარება არ სჭირდება, ისედაც საკმარისად ძლიერები ვართ".*

### სირაქლემას პოზა

„მილანმა" კიდევ ერთხელ დაკარგა ქულები და კიდევ უფრო დაშორდა ჩემპიონთა ლიგის ზონას. **მასიმილიანო ალეგრის** შეგირდები „სამპდორიას" ესტუმრნენ და თანაბარ ბრძოლაში 0:0-ს დასჯერდნენ. ლომბარდიელთა თავკაცმა გარკვეულ ექსპერიმენტებს მიმართა და ძირითად შემადგენლობაში **ბოიან კრკიჩთან** და **სტეფან ელ შაარავისთან** ერთად, 18 წლის **მბაიე ბაბაკარ ნიანგი** გაამწესა. თვითონ ნიანგი აქტიური იყო, მაგრამ მთლიანობაში, „მილანის" იერიშები შორს იყო იდეალურისგან და ანგარიშიც ამის ნათელი დადასტურებაა. იტალიელმა ჟურნალისტებმა ლომბარდიული გრანდი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, თუმცა კიდევ უფრო მეტი კონკრეტულად მასიმილიანო ალეგრის პრესკონფერენციაზე გაკეთებული კომენტარისთვის მოხვდა - მაინც რა თქვა ასეთი ალეგრიმ:

*„ორი ქულა დავკარგეთ? - იქნებ ერთი მოვიპოვეთ, ჩვენ ხომ იმ გუნდს ვეპაექრებოდით, რომელმაც „იუვენტუსი" გასვლაზე დაამარცხა. პირველ ტაიმში, მეტოქე უკეთ ირჯებოდა და გატანაც შეეძლო, აი მეორეში კი უკვე ჩვენ ჩავიგდეთ უპირატესობა ხელთ და მოგებასთანაც ახლოს ვიყავით. რაც მთავარია, გოლი არ გავუშვით და ეს უკვე კარგის ნიშანია. თუ უკანა ხაზი დავალაგეთ, შეტევაში თამაშიც მნიშვნელოვნად გაგვიადვილდება".*

მოკლედ, ალეგრიმ მონახა რაღაც პოზიტივი და პრესკონფერენციაც ამაზე ააგო, რაც ჟურნალისტთა აზრით, პრობლემებისგან გაქცევას, ანუ სირაქლემას პოზაში ყოფნას ნიშნავს. „მილანი" ჩემპიონთა ლიგის გარეშე რჩება, რაც ყველა უბედურებასთან ერთად, დიდ ფინანსურ ზარალსაც ნიშნავს. ტიფოზებს იმედი აქვთ, რომ გენუური მატჩის შემდეგ, კლუბის მესვეურები სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურდებიან, ვნახოთ...



მასიმილიანო ალეგრი კმაყოფილია, რომ „მილანმა" კარი მშრალად შეინახა

### ქულები ქულებად და ...

„ინტერმა" „პესკარას" სძლია, **ანდრეა სტრამაჩონიმ** კი ფრთები გაშალა და წარმატებულ რელსებზე დაბრუნების შესახებ ხმამაღალი განცხადებები აკეთა. თუმცა, იქვე დაამატა, საკადრო პრობლემები გვაქვს და სანამ სატრანსფერო ფანჯარა გახსნილია, გაძლიერება არ გვაწყენდაო. „დელფინებთან" შეხვედრაში მილანელები უპირატესობას ფლობდნენ და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ტექნიკური წუნი მაინც დიდი ჰქონდათ... განსაკუთრებით ნახევარდაცვაში, სადაც ლომბარდიელებს ბურთის დაჭერა და იერიშების წამოწყება მართებთ... თქვა თუ არა ეს სტრამაჩონიმ, პრესაში უმალ გაჩნდა რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია, რომლებზეც ნამდვილად ღირს ყურადღების გამახვილება.

ერთი ვერსიით, მილანელები **ფრანჩესკო ლოდის** გადაბირებას აპირებენ, რომელიც „კატანიას" ღირსებას იცავს და მიმდინარე სეზონში კარგად ასპარეზობს. ლოდი ტიპური ათი ნომერია, ლიდერი და გამთამაშებელი, რომელიც სტანდარტულებსაც მშვენივრად ასრულებს. ფრანჩესკო 28 წლისაა და როგორც ამბობენ, ბოლო პერიოდში **ჩეზარე პრანდელის** ყურადღებაც მიიპყრო. **ვესლი სნეიდერის** გარშემო დატრიალებული მოვლენების ფონზე, გამთამაშებლით დაინტერესება ლოგიკური ჩანს.

არის კიდევ ერთი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც მილანელებს „რივერ პლეიტის" 20 წლის ნახევარმცველის, **ესეკილ ჩირილიანოს** გადაბირება სურთ და მზად არიან, მის სანაცვლოდ არგენტინულ გუნდში **რიკი ალვარესი** გაუშვან. თუ „რაი სპორტს" დავუჯერებთ, მილანელები მალევე მიმართავენ ბუენოს აირესელებს და დანარჩენს უკვე მოლაპარაკების პროცესი გვიჩვენებს. მოკლედ, „ინტერმა" მოიგო და თან, გაძლიერების აუცილებლობაში დარწმუნდა - ხშირად, კლუბის მესვეურებს უიმედო მარცხი უბიძგებთ სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურებისკენ. ანუ, „პესკარას" ძლევით „ინტერმა" ორმაგი სარგებელი მიიღო.

### რომაული პარადოქსი

რომაული გუნდები მიმდინარე სეზონში აშკარად გვაკვირვებენ, ოღონდ სხვადასხვანაირად - „ლაციოსგან" ამდენს არავინ ელოდა, „რომასგან" კი აშკარად მეტს ველოდით. „ბიანკოჩელესტეს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** ზამთარ-ზაფხულს მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე საუბრობს და შესაბამისად, სატრანსფერო ბაზარზე პასიურობასაც ამით ამართლებს. ეს კი იმ ფონზე, როდესაც „რომას" იტალიური წარმოშობის ამერიკელი ბიზნესმენი, მილიარდელი **ტომას დი ბენედეტო** უდგას სათავეში ამბიციური პროექტებით და ტრანსფერებისთვის გადადებული მილიონებით - მართალია, ინგლისურ კლუბებს დაპატრონებული შეიხებივით და ოლიგარქებივით არ იწეწება, მაგრამ ძალისხმევას რომ არ იშურებს, ესეც ფაქტია. ერთი შეხედვით, „რომას" დღეს ბარე ორ გუნდზე უკეთესი შემადგენლობა ჰყავს და შესაბამისად, მიზნებიც უმაღლესი უნდა ჰქონდეს. რეალობა სხვაგვარია - „ლაციო" სკუდეტოს უმიზნებს, „რომა" კი ფაქტობრივად ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც დაემშვიდობა. ეს რომაული პარადოქსია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ ფული ყველა პრობლემას ვერ წყვეტს. კლუბს პირველ რიგში სწორი მართვა, სწორი მენეჯმენტი სჭირდება.

კატანიაში წაგების შემდეგ, „რომას" მთავარი მწვრთნელი **ზდენეკ ზემანი** უჩვეულოდ გაბრაზებული იყო და მთელი აგრესია შეგირდებზე გადაანთხია: *„თამაში პირველივე ტაიმში უნდა დაგვემთავრებინა, მაგრამ რამდენიმე 100%-იანი შანსი გავატანეთ ქარს. ეს იყო ყველაზე სამარცხვინო თამაში, რომელიც მიმდინარე სეზონში ვაჩვენეთ. ესე არ შეიძლება, მთელი სეზონია საგოლე მომენტების 5%-ს თუ ვიყენებთ. მე ვერაფერს გავხდები, თუ ხუთი მეტრიდან ბურთს ცარიელ კარს ავაცილებთ. მეტი თავდაჯერებულობა გვჭირდება, სხვაგვარად არაფერი გამოვა".*

ამ დროს, „ლაციოს" თავკაც **ვლადიმირ პეტკოვიჩს** სულ სხვა თემებზე უწევს საუბარი: *„სკუდეტო? - უკვე მერამდენედ მეკითხებიან საჩემპიონო შანსებზე, მე კი პასუხი უბრალოდ არ მაქვს. ვცდილობთ თითოეულ შეხვედრაში მაღალ დონეზე ვითამაშოთ და ქულათა მაქსიმუმი მოვიპოვოთ, დანარჩენი კი სეზონის ბოლოს გამოჩნდება. დღეს, სკუდეტოზე საუბარი ძალიან ადრეა, რადგან სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში დიდი სიმჭიდროვეა. მართალია, ლიდერამდე ერთი ნაბიჯი გვაშორებს, მაგრამ ასევე ერთი ნაბიჯია ჩემპიონთა ლიგის ზონის დატოვებამდე... ამ ეტაპზე, ცხრილში ყურებაც კი სახიფათოა, ჯობია მომდევნო შეხვედრაზე ვიფიქროთ, რომელიც „პალერმოსთან" გვიწევს".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ზდენეკ ზემანს და ვლადიმირ პეტკოვიჩს სხვადასხვა მიზნები აქვთ

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXII ტურის შეჯამება



სიტიში მიაჩნიათ, რომ ვენსან კომპანის ჯეკ უილშირის წინააღმდეგ საწითელბარათო არაფერი გაუკეთებია

# შეცდომის ფასი

XXII ტურის ცენტრალური მატჩი "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ლივერპულს" შორის გაიმართა. ამ შეხვედრაზე გუშინდელ მიმოხილვაში უკვე ვილაპარაკეთ. თანაც, "ოლდ ტრეფორდზე" 90 წუთის განმავლობაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, რასაც ვერ ვიტყვით კვირა საღამოს მეორე დაპირისპირებაზე. **მაიკ დინმა** "არსენალს" მე-10 წუთზე საეჭვო ვითარებაში გაუძევა **ლორან კოშელნი** და მთელი გეგმები წყალში ჩაუყარა, რადგან **არსენ ვენგერს** გუნდის გადაწყობა მოუხდა. ვერ გეტყვით, დინი ფიქრობდა თუ არა ამაზე, მაგრამ 75-ე წუთზე მან უკვე სტუმართა კაპიტან **ვენსან კომპანის** უჩვენა წითელი ბარათი (აქაც შეიძლებოდა ყვითელი ბარათით დაკმაყოფილება) და ამით, ერთგვარად, ბალანსი ალადგინა.

"არსენალის" წარმომადგენლებს ფრანგი ცენტრალური მცველის გაძევებაზე პრეტენზია არ გამოუთქვამთ, რაც შეეხება "სიტის", ჩემპიონების ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კლუბი შეეცდება ასოციაცია დაარწმუნოს, რომ კომპანის ბარათი გააუქმოს. მაიკ დინის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ მოეწონა **რობერტო მანჩინისაც**. აი, რას ამბობს იტალიელი სპეციალისტი: *"განმეორებით ვნახე კომპანის წითელი ბარათის ეპიზოდი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენი კაპიტნის მხრიდან ჯარიმა, რომელიც ასეთ მკაცრ რეაქციას ითხოვდა, ნამდვილად არ ყოფილა. მიმაჩნია, რომ არბიტრმა სერიოზული შეცდომა დაუშვა. ჩვენ ამის შემდეგაც კარგად ვთამაშობდით, ისევე როგორც "ნორვიჩსა" და "ვესტ ჰემთან", როცა ასევე კაცნაკლულები დავრჩით. "ემირიტსზე" მოგება შესანიშნავი შედეგია. მოხარული ვარ, რომ პრინციპულ მეტოქესთან 37-წლიანი გასვლითი მოუგებელი სერია დავასრულეთ".*

"ტვიტერზე" კომენტარი გააკეთა თავად "ქალაქელთა" ბელგიელმა ვარსკვლავმაც: *"ვულოცავ მთელ გუნდს და ჩვენს გულშემატკივარს ამ მოგებას. ამასთან, მესმის, რომ ურთულესი პროფესიაა და მატჩის არბიტრზე ნაწყენი ამიტომაც არ ვარ. იმის მიუხედავად, თუ როგორ დასრულდება აპელაცია, მე მცველი ვარ და არასოდეს ვიქნები დაზღვეული მსგავსი პრობლემებისგან, თუმცა გარწმუნებთ, რომ წინასწარი განზრახვით არასოდეს მივაყენებ ტრავმას მეტოქეს".*

### ბომბარდირები

17 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
15 - **ლუის სუარესი** (ლივერპული)
13 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **დემბა ბა** (ნიუკასლი/ჩელსი)
10 – **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი), **ედინ ჯეკო** (მანჩესტერ სიტი)

### ასისტენტები

8 - **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული), **ხუან მატა** (ჩელსი)
7- **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
6 - **ედენ აზარი** (ჩელსი), **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ბრაიან რუისი** (ფულჰემი), **თეო უოლკოტი** (არსენალი), **ლუკას პოდოლსკი** (არსენალი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი)

### გოლი+პასი

23 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 17+6
18 - **ლუის სუარესი** (ლივერპული) - 15+3
15 - **ხუან მატა** (ჩელსი) – 7+8
14 - **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი) 7+7, **მიგელ მიჩუ** (სუონსი) - 13+1, **თეო უოლკოტი** (არსენალი) 8+6

### გაფრთხილებები

7 – **კრეიგ გარდნერი** (სანდერლენდი), **ანხელ რანხელი** (სუონსი), **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი), **ლუის სუარესი** (ლივერპული), **ჯეიმს პერჩი** (ნიუკასლი), **მარკ ნოუბლი** (ვესტ ჰემი)
6 –**პოლ სქოულზი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **მაიკ უილიამსონი** (ნიუკასლი), **გარი კოლდუელი** (უიგანი), **ჯეიმს მაკარტური** (უიგანი)

### სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით

1. **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
2. **ხუან მატა** (ჩელსი)
3. **პატრის ევრა** (მანჩესტერ იუნაიტედი)
4. **ლეიტონ ბეინსი** (ევერტონი)
5. **იაია ტურე** (მანჩესტერ სიტი)

### ზოგადი სტატისტიკა ლლეისთვის

218 მატჩი
154 მოგება
64 ფრე
113 მშრალად შენახული კარები
20 უგოლო მატჩი
619 გოლი
6 ჰეთთრიკი
37 პენალტი
19 ჯარიმა
117 თავით
444 ფეხით (+სხვა)
2.83 საშუალო შედეგიანობა
30 ავტოგოლი
473 ფეხბურთელი
26.0 საშუალო ასაკი
309 ლეგიონერი
71 ეროვნების მოთამაშე
661 ყვითელი ბარათი
29 წითელი ბარათი
8 გაძევება ორი ყვითლით
21 გაძევება წითელი ბარათით

### ტურის მნვრთნელი

მიმდინარე სეზონში თამაშების შემობრუნებას ყველაზე მეტად "მანჩესტერ იუნაიტედმა" შეგვაჩვია, მაგრამ ამ ილეთს სხვა გუნდებიც მიმართავენ. ერთი ბურთი კიდევ არაფერი, მაგრამ როცა აუტსაიდერი 8 წუთში ორბურთიან სხვაობას აბათილებს და მერე ამ შეხვედრას იგებს კიდეც, ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. სწორედ ასე მოიქცა **ბრაიან მაკდერმოტის** "რედინგი" "ვესტ ბრომვიჩთან" შეხვედრაში. ჩვენი არჩევანიც ამ ფაქტორმა განაპირობა. აი, რა განაცხადა თამაშის შემდგომ პრესკონფერენციაზე "არისტოკრატთა" 51 წლის დამრიგებელმა: *"შეუძლებელია, რაიმე გავლენა მოვახდინოთ იმაზე, თუ რა ხდება ჩვენი კონკურენტების თამაშებში. ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, ეს საკუთარი საქმის კეთებაა. თქვენი თვალით ნახეთ, რომ ჩემმა გუნდმა ბოლო წუთებში თავისი ნამდვილი ხასიათი გამოავლინა და გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთა. თითოეული ფეხბურთელით ვამაყობ".*

### ტურის გმირი

XXII ტურის გმირად **ფრენკ ლამპარდს** ვირჩევთ. გადაწყვეტილება მხოლოდ იმიტომ არ მიგვიღია, რომ 34 წლის ფეხბურთელი "სტოკ სიტისთან" ფანტასტიკურად გაისარჯა და მოედანზე საუკეთესო იყო. "ბრიტანია სტედიუმზე" მან კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა დედაქალაქური გრანდის ისტორიაში საკუთარი სახელის სამუდამოდ ჩასაწერად. 66-ე წუთზე რეალიზებული პენალტით ის "ჩელსის" ისტორიაში ყველა დროის ბომბარდირთა შორის მე-2 ადგილზე გადავიდა. ლემპსის ანგარიშზე ახლა 194 შედეგიანი დარტყმაა, ერთით მეტი, ვიდრე **კერი დიქსონის** და მხოლოდ 8-ით ნაკლები, ვიდრე პირველადგილოსანი **ბობი ტემბლინგის**.

### ტურის ანტიგმირი

აღნიშნული რუბრიკა ტურის შეჯამებაში აქამდე არ გვქონია და რაიმე გამონაკლისი შემთხვევა თუ არ მოხდა, არც გვექნება, მაგრამ დღეს სწორედ ეს შემთხვევაა. ალბათ უკვე მიხვდით, რომ საქმე "სტოკ სიტის" ირლანდიელ თავდამსხმელს, 29 წლის **ჯონათან უოლტერსს** ეხება. მიმდინარე სეზონში პრემიერლიგელებმა სულ 30-ჯერ დალაშქრეს საკუთარი კარი. აქედან 2-2-ჯერ ეს "საუთჰემპტონის" მცველმა **იოს ჰოიველდმა** და "მანჩესტერ იუნაიტედის" უკანახაზელმა **ჯონი ევანსმა** გააკეთეს. ოღონდ აქ ერთი სხვაობაა: მათ ეს სხვადასხვა თამაშში ჩაიდინეს. დუბლი საკუთარ კარში ჯერ არავის შეუსრულებია და მით უფრო, ზედ გაფუჭებული პენალტიც არავის დაუმატებია. უოლტერსის გარდა "თავის გამოჩენა" ამპლუით კიდევ ორმა თავდამსხმელმა შეძლო **უეინ რუნიმ** ("მანჩესტერ იუნაიტედი") და **დემბა ბამ** ("ნიუკასლის" რიგებში).

### მომდევნო ტური

**19 იანვარი:** ლივერპული-ნორვიჩი, მანჩესტერ სიტი-ფულჰემი, ნიუკასლი-რედინგი, სუონსი-სტოკ სიტი, ვესტ ჰემი-ქუინზ პარკი, უიგანი-სანდერლენდი, ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა
**20 იანვარი:** ჩელსი-არსენალი, ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი
**21 იანვარი:** საუთჰემპტონი-ევერტონი

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ამბები

## მარსელმა დაადასტურა

"მარსელის" 25 წლის თავდამსხმელი **ლოიკ რემი** თითქმის 1,5 წლის განმავლობაში რჩებოდა ინგლისური კლუბების სამიზნეში და როგორც იქნა ფინანსური პრობლემებით შეწუხებულმა კლუბმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა. პროვანსელთა ოფიციალურმა ვებგვერდმა ინფორმაცია რემის "ნიუკასლში" გაყიდვაზე უკვე დაადასტურა. *"ინგლისელებს უკვე ყველაფერზე შევუთანხმდით. ახლა მხოლოდ ფეხბურთელის პირადი კონტრაქტის საკითხია შესათანხმებელი, მაგრამ ეს ჩვენ უკვე აღარ გვეხება,"* – აცხადებს "მარსელის" პრეზიდენტი **ვენსან ლაბრუნი**. ფრანგული წყაროების ინფორმაციით, "კაჭკაჭებს" საფრანგეთის ნაკრების შემტევის გადაბირება 8,3 მილიონი ფუნტი (10 მლნ ევრო) დაუჯდათ.

## ტრავმები იუნაიტედში

"მანჩესტერ იუნაიტედს" "ლივერპულთან" 2:1 მოგება ძვირი დაუჯდა. თამაშის შემდგომ გაირკვა, რომ "ეშმაკებმა" ტრავმების გამო ორი ფეხბურთელი მოისაკლისეს – **ნემანია ვიდიჩი** და **ეშლი იანგი**. "გარდიანის" ცნობით, სერბსაც და ინგლისელსაც მუხლი აწუხებთ. ვიდიჩის მარცხენა მუხლის პრობლემები ახალი ამბავი არ არის. ამის გამო მან უკანასკნელი 13 თვის განმავლობაში მხოლოდ 4 სრულფასოვანი თამაშის ჩატარება შეძლო. ნემანიამ ამჯერადაც რიგით სათამაშო სიტუაციაში მიიღო დაზიანება, რის გამოც 75-ე წუთზე ის **კრის სმოლინგმა** შეცვალა. რაც შეეხება იანგს, **ალექს ფერგიუსონმა** ტრავმირებული გარემარბი პირველი ტაიმის დასრულებისთანავე გამოცვალა. 27 წლის ფეხბურთელმა **დანიელ აგერთან** შეჯახებას ვერ გაუძლო. ხვალ "იუნაიტედს" "ვესტ ჰემთან" ასოციაციის თასის გადათამაშება ელის. ცხადია, ვიდიჩი და იანგი მოედანზე ვერ გავლენ. "ჩაქუჩებთან" ფერგის შესაძლოა კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოაკლდეს – 23 წლის სტოპერმა **ჯონი ევანსმა** მუხლის მყესები თამაშის წინა დღეს დაიზიანა, რის გამოც ის "ლივერპულთან" მატჩის განაცხადშიც კი ვერ მოხვდა. აქვე გეტყვით, რომ "იუნაიტედის" პრესსამსახურმა უარყო ცნობა **ანდერს ლინდეგორის** ტრავმის შესახებ და განმარტა, რომ 28 წლის დანიელი უბრალოდ გაციებულია და ვარჯიშებს ორიოდე დღეში დაუბრუნდება.

## არტეტას სამი კვირა

Sky Sports-ის ინფორმაციით, "არსენალის" 30 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა **მიკელ არტეტამ** "მანჩესტერ სიტისთან" XXII ტურის შეხვედრის წინა დღეს ვარჯიშზე საზარდული დაიზიანა და გუნდს 20 დღით დააკლდება. **არსენ ვენგერის** თქმით კი, ეს მხოლოდ წინასწარი დასკვნაა. რეალურად, ესპანელს შეიძლება უფრო რთული ტრავმაც ჰქონდეს.

## ნასრი მეთოფეთა ფანების გარემოცვაში

"არსენალი"-"მანჩესტერ სიტის" შეხვედრას ტრიბუნებიდან მასპინძელთა ყოფილი ფეხბურთელები **სამირ ნასრი** და **მარუან შამახი** ადევნებდნენ თვალს. მოგეხსენებათ, 25 წლის ფრანგი "ქალაქელებში" 2011 წლის ზაფხულზე სწორედ "არსენალიდან" გადავიდა, რის შემდეგაც ჩრდილოლონდონელთა თაყვანისმცემლები მას, რბილად რომ ვთქვათ, ვერ იტანენ. სამირმა "ემირიტსზე" შესვლამდე გასეირნება გადაწყვიტა და რა გასაკვირია, რომ გზად ყოფილი გუნდის ფანებს შეეჩეხა. უკანასკნელებმა არ დაიზარეს ფეხბურთელისთვის იმის შეხსენება, თუ რას ფიქრობენ მასზე, რამაც ნასრის გაღიზიანება გამოიწვია. ყოფილი თანაგუნდელი ხელჩართულ ჩხუბს შამახმა გადაარჩინა. ტელეფონით გადაღებულ ვიდეოზე კარგად ჩანს, რომ მხარეები ერთმანეთს ხელით რბილად შეეხნენ და ერთმანეთს უცენზურო კომპლიმენტებიც გაუცვალეს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● ინტერვიუ. კრიშტიანო რონალდო

# კრიტიკა ცხოვრების ნაწილია

## რეალში კონტრაქტის ბოლომდე ვრჩები, მერე არ ვიცი...

კრიშტიანო რონალდოს დიდი წარდგენა არ სჭირდება. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, ფიფას ოფიციალურ საიტს, ოქროს ბურთით დაჯილდოების ცერემონიამდე ცოტა ხნით ადრე გაესაუბრა, მაგრამ ინტერვიუ მხოლოდ ახლა გამოქვეყნდა, თუმცა მას აქტუალურობა არ დაუკარგავს.

შეგახსენებთ, რომ 27 წლის რონალდომ ოქროს ბურთი 2008 წელს მოიგო, 2007 წლიდან მოყოლებული კი სამეულში მხოლოდ ერთხელ, 2010 წელს ვერ მოხვდა.



კრიშტიანო: მადრიდში ფეხბურთელებზე დიდი ზეწოლაა

**- კრიშტიანო, ბოლო წლებში ოქროს ბურთის სამ კანდიდატს შორის პრაქტიკულად მუდამ ხვდებით. როგორი შეგრძნებაა, როდესაც მსოფლიოს საფეხბურთო ელიტის ნაწილი ხარ?**

- შესანიშნავი. ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ კიდევ ერთხელ მოვხვდი პრეტენდენტებს შორის. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ისევ უმაღლეს დონეზე ვთამაშობ და ამის გამო ძალიან ბედნიერი ვარ. რა შეიცვალა პირველი დაჯილდოების შემდეგ? ბევრი არაფერი, რადგან ისევ იგივე პიროვნება ვარ. ახლა უფრო მეტი გამოცდილება მაქვს, მაგრამ ზუსტად ისევე ამბიციური ვარ.

**- მაშინ თქვენ „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდით, ახლა კი „რეალის“ მოთამაშე ხართ. რა განსხვავებაა ამ ორ კლუბს შორის?**

- „იუნაიტედი“ და „რეალი“ მსოფლიოს ორი საუკეთესო გუნდია და ამიტომ, ამ კლუბებში თამაში გაცილებით რთულია. ვფიქრობ, ფეხბურთელი „რეალში“ გაცილებით დიდი წნეხს გრძნობს, ვიდრე „იუნაიტედში“. აქ ყველა მხოლოდ მეათე ჩემპიონთა თასის მოგებაზე ფიქრობს, რამაც შეუძლებელია მოთამაშეებზე არ იმოქმედოს.

**- ფიქრობთ თუ არა, რომ არსებული დიდი მოლოდინი, მოთამაშეთა გამოსვლაზე აისახება?**

- რა თქმა უნდა. ხანდახან ზეწოლა იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია ადამიანზე არ აისახოს, მაგრამ ჩვენ უნდა ვცადოთ და ამ ყველაფერს ყურადღება არ მივაქციოთ. განსაკუთრებით იმას, რასაც პრესა წერს, რადგან არა მგონია, რომ იმას რასაც გაზეთებში წერენ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, ამიტომ არ ღირს სიტუაციის ზედმეტად დრამატიზება.

**- როგორ ფიქრობთ, „რეალმა“ ლა ლიგაში ასეთი ცუდი სტარტი, დიდი ზეწოლის გამო აიღო?**

- ჩვენ სეზონი ცუდად დავიწყეთ და ვიცით, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია და ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ამასაც თავი რომ გავანებოთ, ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში და ესპანეთის თასზე ვთამაშობთ, ასე რომ, ტიტულების მოგების საკმაოდ კარგი შანსი გვაქვს.

**- სიტუაციიდან გამომდინარე, ჩემპიონთა ლიგის მოგება თქვენი მთავარი მიზანია?**

- ასეა. მეათე ჩემპიონთა თასის მოგება ყველა „მადრიდისტას“ ოცნება და მიზანია. შარშან ძალიან ცოტა დაგვაკლა, მაგრამ წელს მშვენიერი შანსი გვაქვს. წინ ურთულესი მატჩები გველის. ჩემი აზრით, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ურთულესი დაპირისპირება გველის და შანსები 50/50-ზეა, მაგრამ მე ჩვენი გუნდის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ.

**- თუ „რეალი“ საუკეთესო ფორმაში შევიდა, „იუნაიტედთან“ ფავორიტები იქნებით?**

- დაუმარცხებელი გუნდი არ არსებობს. „რეალი“ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია, ისევე როგორც „იუნაიტედი“. ფერგიუსონის გუნდმა ინგლისის ჩემპიონატი შესანიშნავად დაიწყო და კონკურენტებს დიდი უპირატესობით გაუსწრო, მაგრამ მიუხედავად მათი კარგი ასპარეზობისა, თუ ჩვენ შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვავლენთ, მაშინ მომდევნო ეტაპზე აუცილებლად გავალთ.

**- ბოლო პერიოდში, „რეალის“ გულშემატკივრები ჟოზე მოურინიოს აკრიტიკებენ. ამის შესახებ რას ფიქრობ?**

- ხალხს პროტესტის გამოთქმის უფლება აქვს და ჩვენ მათ აზრს პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ გულშემატკივარმა მეტი მოთმინება უნდა გამოიჩინოს. მოურინიოს კლუბისთვის საუკეთესო სურს და სისხლის ბოლო წვეთამდე „რეალის“ კეთილდღეობისთვის იბრძოლებს. ჩემი აზრით, ჟოზე საუკეთესო მწვრთნელია მსოფლიოში, მას უდიდესი გამოცდილება აქვს და მოგებული აქვს ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლება.

**- გულშემატკივართა მხრიდან კრიტიკა არც თქვენთვის არის უცხო. როგორ ფიქრობთ, რატომ ხვდებით ხოლმე ასეთ სიტუაციაში?**

- ვერ გეტყვით. ასეთი რამ საკუთარი თავისთვის მეც მიკითხავს და პასუხი აქამდე ვერ მიპოვია. იმ ადამიანებმა, რომლებიც მიცნობენ და ვისთან ერთადაც მითამაშია, კარგად იციან როგორი პიროვნება ვარ, ხოლო მათ, ვინც არ მიცნობს, შეუძლიათ იფიქრონ ის, რაც სურთ. მე პატივს ვცემ იმათ, ვინც მე მაკრიტიკებს, რადგან ვიცი, რომ მათ ჩემზე მცდარი წარმოდგენა აქვთ. ზოგადად, ამ ყველაფერს დიდი ყურადღება არ უნდა დაუთმო, რადგან კრიტიკა არა არტო ფეხბურთელის, არამედ აბსოლუტურად ყველა ადამიანის ცხოვრების შემადგენელი ნაწილია.

> არა მგონია, რომ რასაც გაზეთებში წერენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს

**- ბოლო დროს პრესაში თქვენს შესაძლო ტრანსფერზე საუბრობდნენ. აპირებთ კლუბის გამოცვლას?**

- მე „რეალში“ დარჩენა კონტრაქტის ვადის ბოლომდე მსურს და ეს არაერთხელ მითქვამს. კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ კი ნამდვილად არ ვიცი, რა მოხდება.

**- როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი ასეთი წარმატებული კარიერის მთავარი მიზეზი?**

- ჩემი აზრით, ნიჭი და შრომისმოყვარეობა. დასახული მიზნის მისაღწევად ძალიან ბევრს ვშრომობ და უკან არასდროს ვიხევ. ყოველთვის ვცდილობ, რომ ვისწავლო და უკეთესი გავხდე. მე ძალიან ამბიციური ვარ, ყოველთვის გამარჯვება მსურს და ასე იქნება იქამდე, სანამ ბუცებს ლურსმანზე არ ჩამოვკიდებ.

**- გსურთ თუ არა, რომ თქვენი ვაჟი ფეხბურთელი გამოვიდეს?**

- რა თქმა უნდა, მსურს, მაგრამ მას არაფერს დავაძალებ. ფეხბურთისკენ ხელს კი წავკრავ, მაგრამ რაც არ უნდა გადაწყვიტოს, ყველაფერში მხარს დავუჭერ და გვერდში დავუდგები.

**- ფეხბურთის გარდა, რა განიჭებთ სიამოვნებას?**

- მიყვარს თავისუფალი დროის ოჯახთან ერთად გატარება, მოგზაურობა, სეირნობა, კალათბურთის და ჩოგბურთის ყურება და რა თქმა უნდა, ჩემს შვილთან ერთად ყოფნა.

**- პოპულარობა ხომ არ მოგბეზრდათ? ხომ არ გირჩევნიათ, რომ ისევ უცნობი ადამიანი იყოთ?**

- ფეხბურთელობას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. რა თქმა უნდა, არის სიტუაციები, როდესაც გინდა, რომ ცნობილი არ იყო, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ჩემი პროფესია, რომელიც მე ავირჩიე და ეს ყველაფერი მისი შემადგენელი ნაწილია.

**- დაბოლოს, საკუთარი კარიერით კმაყოფილი ხართ?**

- დიახ. მე ვაკეთებ იმას, რაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და ვიცი, რომ ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა. საკუთარ თავს ბედნიერ ადამიანად მივიჩნევ.

● 20-წლამდელთა კოპა ამერიკა. I ჯგუფური ეტაპი. III ტური.

# მასპინძელთა სრული ფიასკო

**A ჯგუფი**

**ჩილე-კოლუმბია 2:1**

**გოლები:** 1:0 კ. კუევასი (8), 2:0 ლიჩნოვსკი (33), 2:1 კინტერო (84-პენ).

**გაძევება:** კ. კუევასი (68), მელო (81) - .

**არგენტინა-ბოლივია 2:2**

**გოლები:** 0:1 ბეხარანო (12), 1:1 მელანო (49), 2:1 ვიეტო (65), 2:2 რ. ვარგასი (87-პენ).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩილე | 3 | 0 | 0 | 0 | 5-1 | 9 |
| 2. კოლუმბია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. პარაგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. არგენტინა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 5. ბოლივია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |

**ბომბარდირები:** 2 – ნ. კასტილიო (ჩილე), კ. კუევასი (ჩილე), ნ. ლოპესი (ურუგვაი), როლანი (ურუგვაი), ვიეტო (არგენტინა).




ჩვეული სურათი – დამწუხრებული არგენტინელები

არგენტინის ახალგაზრდულმა ნაკრებმა სრული ფიასკო განიცადა. პირველ ორ ტურში განცდილი მარცხის შემდეგ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ტურნირის მასპინძლები ბოლივიის ნაკრებს ვერ მოუგებდნენ, მაგრამ ყველაფერი სწორედ ასე მოხდა.

პირველი ტაიმის წაგების შემდეგ, „ალბისელესტე“ მეორე ტაიმში შედარებით გამოცოცხლდა, მაგრამ მათი თამაში, რბილად რომ ვთქვათ, იდეალურისგან შორს იყო. მასპინძლებს ორივე გოლი ბოლივიელთა კიპერმა, **გილერმო ვისკარამ** აჩუქა. პირველ შემთხვევაში მას **ლუკას მელანოს** დარტყმულის აღება მართებდა, 65-ე წუთზე კი, თანაგუნდელისგან მიღებული პასის შემდეგ, მეკარემ ბურთი ხელში აიღო, ბუნებრივია, დაინიშნა თავისუფალი დარტყმა, რომელიც არგენტინელებმა კარგად გაათამაშეს და დასარტყმელ პოზიციაზე **ლუსიანო ვიეტო** დატოვეს, რომლის დარტყმაც უზადო იყო. აქვე აღვნიშნოთ, რომ „რასინგის“ უნიჭიერესი ფეხბურთელი არგენტინის ნაკრებში ერთადერთი ნათელი წერტილია.

დაწინაურების შემდეგ, „ალბისელესტეს“ მესამე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ბურთი ბოლივიის ნაკრების ძელს მოხვდა. დაუწერელი საფეხბურთო კანონი ამჯერადაც ამოქმედდა – მატჩის 86-ე წუთზე, „ველესის“ მცველმა **ლაუტარი ჯანეტიმ**, რატომღაც, საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა. არბიტრმა, რა თქმა უნდა, პენალტი დანიშნა, რომელიც გოლად **როდრიგო ვარგასმა** აქცია და ანგარიში გაათანაბრა.

საბოლოოდ, შეხვედრა ასეც დასრულდა და ახლა, არგენტინის ნაკრებს, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად სასწაული სჭირდება.

ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაში ჩილემ კოლუმბიის ნაკრებს მოუგო და 9 ქულა მოაგროვა. ჩილელთა ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ, **კრისტიან კუევასმა** თავი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კუთხით გამოიჩინა. „ოჰიგინსის“ 17 წლის ნახევარმცველმა, მე-8 წუთზე თავისიანები დააწინაურა, ხოლო ზუსტად ერთ საათში წითელი ბარათი მიიღო და გუნდი კაცნაკლული დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩილემ მატჩი 9 კაცით დაასრულა (81-ე წუთზე **მელოც** გააძევეს), **მარიო სალასის** გუნდმა მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა.

ამ ჯგუფში ყველაფერი შესაძლოა მომდევნო ტურში დასრულდეს. კოლუმბია ბოლივიას ხვდება, პარაგვაი კი უმოტივაციო ჩილეს. თუ კოლუმბია და პარაგვაი მოიგებენ, ჯგუფიდან სწორედ ეს ორი გუნდი და ჩილე გავა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ზაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

## სამეფო თასი. 1/4 ფინალის წინ



მესუთ იოზილი ფერნანდო გაგოს და ტინო კოსტას გარემოცვაში

# რეალი-ვალენსია: დუბლი 1

| დღეს | |
|---|---|
| რეალი-ვალენსია | 00:00 |
| **ხვალ** | |
| სარაგოსა-სევილია | 22:30 |
| ბარსელონა-მალაგა | 00:30 |
| **ზეგ** | |
| ატლეტიკო-ბეტისი | 01:00 |

საპასუხო მატჩები 23 იანვარს

ამაღამ „სამეფო თასის" პირველ მეოთხედფინალურ მატჩში „რეალი" „ვალენსიას" უმასპინძლებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემპიონატში „სამეფო კლუბს" ძალიან უჭირს, ერთადერთი საშინაო ჯილდოს მოპოვება **ჟოზე მოურინიოს** გუნდს სწორედ ამ ასპარეზობაში შეუძლია.

ისე დაემთხვა, რომ დღეიდან ეს გუნდები ზედიზედ სამჯერ შეხვდებიან ერთმანეთს, ორჯერ თასზე, ერთხელ - ჩემპიონატში.

მადრიდელებს დისკვალიფიკაცია მოხდილი **კრიშტიანო რონალდო** და **ანტონიო ადანი** (სკამზე) უბრუნდებათ. **სერხიო რამოსს** კი ჯერ არ მოუხდია სასჯელი - ის „ვალენსიასთან" დაპირისპირების სამივე შეხვედრას გამოტოვებს. შესაძლოა, ოქტომბრის მერე პირველად ვიხილოთ **მარსელო**, რომელმაც მოტეხილი ფეხი მოირჩინა.

„ვალენსიას" კაპიტანი, **დავიდ ალბელდა** დააკლდება, მან ტრავმა „სევილიასთან" მატჩის პირველ ტაიმში მიიღო. **სერხიო კანალესი** და **ჟერემი მატიო** ისევ ლაზარეთში არიან, **სოფიან ფეგული** კი ალჟირის ნაკრებს შეუერთდა.

■ „რეალმა" ყველა შეჯიბრებაში ბოლო 6 მატჩიდან მხოლოდ 2 მოიგო.

■ „რეალს" 32 მატჩია, „სანტიაგო ბერნაბეუზე" არ წაუგია.

■ „ვალენსიამ" ყველა შეჯიბრებაში ბოლო 8 მატჩიდან 7 მოიგო.

■ „ვალენსიას" „რეალთან" ბოლო 7 დაპირისპირებიდან 5 „ღამურებისთვის" მარცხით დასრულდა.

სავარაუდო შემადგენლობები

*რეალი: კასილიასი - არბელოა, ალბიოლი, ვარანი, კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია, იოზილი, რონალდო - ბენზემა.*

*ვალენსია: ალვეში - პერეირა, რამი, რ. კოშტა, გუარდადო - ბანეგა, კოსტა - პარეხო, ჟონასი, პიატი - სოლდადო.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ტრანსფერი

# გუდიონსენი ბრიუგედან... ბრიუგეში

ისლანდიელი **ეიდურ გუდიონსენი**, რომელმაც ეს სეზონი ბელგიის ჩემპიონატის აუტსაიდერ „სერკლ ბრიუგეში" დაიწყო, კარიერას „ბრიუგეში" გააგრძელებს. „ჩელსის" და „ბარსელონას" ყოფილმა ფეხბურთელმა, „სერკლ ბრიუგეს" რიგებში 13 შეხვედრა ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა, მაგრამ მიუხედავად ასეთი კარგი ასპარეზობისა, მისი აწ უკვე ყოფილი კლუბი 22 ტურის შემდეგ, 14 ქულით მაინც ბოლო ადგილს იკავებს.

*„ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან კვლავ მომეცა ძლიერ გუნდში თამაშის საშუალება,"* – განაცხადა 34 წლის ფეხბურთელმა.

გუდიონსენის ახალი გუნდი 39 ქულით მეოთხე პოზიციაზეა და საინტერესოა, რომ ისლანდიელის დებიუტი „ბრიუგეს" რიგებში, შესაძლოა, მომდევნო კვირას შედგეს, როდესაც „ბრიუგე", სტუმრად... „სერკლ ბრიუგეს" შეხვდება.

ალსანიშნავია, რომ ბრიუგეს დერბი ამ სეზონში უკვე ორჯერ შედგა – პირველ წრეში „ბრიუგემ" მეტოქეს 4:0 მოუგო, აი, თასზე კი გამარჯვება „სერკლს" დარჩა (1:0) და შეხვედრის ერთადერთი გოლი სწორედ ვეტერანმა ისლანდიელმა გაიტანა.

**ტატო ბაციკაძე**

## მოსაზრება

# ბენ არფა პსჟ-ში თამაშზე ოცნებობს

„ნიუკასლის" 25 წლის ნახევარმცველი, რომელიც ამჟამად ტრავმირებულია, პარასკევს „პარკ დე პრენსზე" იმყოფებოდა და თვალს პსჟ-"აიაჩოს" მატჩს ადევნებდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელს „ლე პარიზიენი" გაესაუბრა და **ბენ არფამ** არ დამალა, რომ პარიზულ გუნდში თამაში მისი დიდი ხნის ოცნებაა.

*„პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ „ნიუკასლთან" კონტრაქტი მაკავშირებს და იქ ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემი მთავარი მიზანი გუნდის გადარჩენაა, მაგრამ სეზონის შემდეგ არავინ იცის, რა მოხდება,"* – განაცხადა ბენ არფამ.

როგორც გაირკვა, ნახევარმცველი ბავშვობიდან „პარი სენ ჟერმენის" გულშემატკივარი ყოფილა. ისევ მას მოვუსმინოთ:

*„ჩემი უფროსი ძმა პსჟ-ს თავგადაკლული გულშემატკივარი იყო და თამაშს არ ტოვებდა. გუნდის მიმართ სიყვარული მისგან გადმომედო და მას შემდეგ, პსჟ ჩემი გუნდია. როდესაც პატარა ვიყავი, ჩემი ოთახი სავსე იყო ჟინოლას, ვეას და სხვა გენიალური ფეხბურთელების პოსტერებით. ჩემი საყვარელი ფეხბურთელი კი ვალდო იყო, მაგრამ ჯორჯ ვეაც ძალიან მომწონდა".*

ამის შემდეგ, ბუნებრივია, ჟურნალისტმა შესაძლო ტრანსფერზე ჰკითხა, რაზეც ბენ არფამ შემდეგ უპასუხა:

*„ამ გუნდში თამაში ჩემი ბავშვობის ოცნება გახლავთ. თუ მათი მხრიდან შემოთავაზება იქნება, პირობებს დიდი სიამოვნებით გავეცნობი. პსჟ-ში თამაში შესანიშნავი საჩუქარი იქნებოდა".*

გარდა ამისა, „მარსელის" ყოფილმა ფეხბურთელმა ტრავმაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ვარჯიში თებერვლის შუაში უნდა განაახლოს. შეგახსენებთ, რომ ბენ არფა „ნიუკასლში" 2010 წელს გადავიდა და იმ სეზონში, მძიმე ტრავმის გამო, მხოლოდ 4 მატჩი ჩაატარა. შარშან, ფრანგი ფეხბურთელი ჯორდების წარმატებული გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, წელს კი მხოლოდ 13 შეხვედრაში ითამაშა, 11 დეკემბერს კი ტრავმა მიიღო და მას შემდეგ მკურნალობს.

**ტატო ბაციკაძე**

ქართული სპორტი

## ძიუდო. ნაკრები

# უზნაძემ საევროპო კალენდარი დაალაგა

**საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების ახალდანიშნული მთავარი მწვრთნელი ირაკლი უზნაძე აგრძელებს გუნდის მზადებას თბილისის საერთაშორისო ტურნირისთვის, თუმცა ჯერ - ყოველდღიური სავალდებულო ვარჯიშით, ოფიციალურ შეკრებას კი 17 იანვარს თბილისში დაიწყებენ. უზნაძემ მთელი რიგი სიახლეებიც ჩართო ვარჯიშებში, თუმცა ამაზე მასთან საგანგებო ინტერვიუს შემოგთავაზებთ, ამ ეტაპზე კი ნაკრების სეზონის პირველი ნახევრის გეგმებზე ვისაუბროთ.**



ჩვენთვის მთავარი შეჯიბრება 2-3 თებერვალს თბილისში გასამართი ევროპის თასია, როგორც ჩვენი ტურნირი, თუმცა სეზონის პირველ ნაწილში უმნიშვნელოვანესი მაინც ევროპის პირადგუნდური პირველობაა, რომელსაც 25-28 აპრილს ბუდაპეშტი უმასპინძლებს. მანამდე გასამართი ყოველი შეჯიბრება, სადაც კი ჩვენები იჭიდავებენ, იმ პირველობისთვის მზადებას ისახავს მიზნად.

მაშ ასე, საქართველოს ნაკრები სეზონს მშობლიური ტურნირით გახსნის 2-3 თებერვალს, ერთ კვირაში კი პარიზში გადაინაცვლებს „დიდ მუზარადზე" საჭიდაოდ. ამის შემდეგ ისინი ერთ შეჯიბრებას გამოტოვებენ - 16-17 თებერვალს ბუდაპეშტში გასამართ ევროპის თასს - ცხადია, იქ ვინმე საკუთარი ხარჯით თუ არ წავა, ნაკრები კი 23-24 თებერვალს დიუსელდორფში „დიდ პრიზზე" გამოვა. პარიზის მსგავსად, ჩვენები იქაც დარჩებიან ერთობლივ ვარჯიშებზე, კვირის ბოლოს კი გერმანიიდან მეზობელ პოლონეთში გადავლენ და 2-3 მარტს ვარშავაში იჭიდავებენ ასევე ევროპის თასზე. ამის შემდეგ ნაკრები სატურნირო პაუზას აიღებს და ცოტა ხნით საშეკრებო მზადებაზე გადავა. სავარაუდოდ, ეს შეჯიბრებები უკვე გამოავლენს ევროპის პირველობაზე წამსვლელი გუნდის ძირითად ბირთვს და მწვრთნელთა კორპუსი მათ დახვეწას მიხედავს - რა ხარვეზები აქვთ მათ, რისი გამოსწორება სჭირდებათ, კონკრეტულად იმუშავებენ მათ სტრატეგიულ მეტოქეებზე და ასე შემდეგ (ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს და გვჯერა, იმედი არ გაგვიცრუვდება). ევროპის ჩემპიონატამდე ისინი კიდევ ერთ ტურნირში გამოვლენ - 30-31 მარტს თურქულ სამსუნში „დიდ პრიზზე" იჭიდავებენ, რომელიც საკონტროლოსთან ერთად შესარჩევიც იქნება იმ წონებში, სადაც ჯერ კიდევ გვექნება ვაკანსიები და გადაუჭრელი კონკურენცია. ამის შემდეგ ნაკრები ისევ შეკრებებით გააგრძელებს მზადებას ევროპის პირველობისთვის და 25 აპრილს ბუდაპეშტში უკვე ჩაებმება ამ ტურნირში.

რაც შეეხება თბილისში გასამართ ევროპის თასს, იქ წონაში კვლავ 4 კაცის გამოყვანის უფლება გვექნება. უზნაძემ კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ ტურნირში იჭიდავებს საქართველოს პირველობის ყველა მედალოსანი, თუმცა, შესაძლოა, რამდენიმე ლიდერიც დაასვენოს. ასე მაგალითად, ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66) რომ არ იასპარეზებს, ეს ახლავეა ცნობილი - ის პარიზში გამოვა. შესაძლოა, ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა **ვალერი ლიპარტელიანმაც** (90) დაისვენოს, თუმცა შავდათუაშვილის გარდა, დანარჩენთა საკითხი შეკრების მიმდინარეობისას გაირკვევა.

შეგახსენებთ, რომ წლეულს მსოფლიოს პირველობა 26 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე ბრაზილიურ რიო დე ჟანეიროში ტარდება, თუმცა იმაზე აქცენტს ევროპის პირველობის მომთავრების შემდეგ გადაიტანენ. ცხადია, მწვრთნელთა შტაბს რიოსთვის მოსამზადებელი გეგმაც ძირითადად შემუშავებული ექნება, მაგრამ ამაზეც მოგვიანებით ვისაუბროთ.

**ირაკლი თავაძე**

## ძიუდო. მეტოქე

# ტადაჰირო ნომურა ბრუნდება?

**სიმართლე გითხრათ, როცა ძიუდოს ერთ-ერთი უკრაინული პორტალი გავხსენი და თავფურცელზე ეს სათაური წავიკითხე, დაჯერება გამიჭირდა. ნაწერი ტექსტის გაცნობისასაც ხუმრობა მეგონა, ვიდრე ბოლო ფრაზა არ წავიკითხე, ტადაჰირო ნომურა დაბრუნების შემდეგ პირველ ტურნირში ჭიდაობას აგვისტოში გეგმავსო!**

მაშ ასე, მსოფლიოს ძიუდოს ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, ერთადერთი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სპორტის ამ სახეობაში, იაპონელი ტადაჰირო ნომურა (60) ძიუდოში დაბრუნებას გეგმავს! ამის შესახებ ცოცხალმა ლეგენდამ ხუთშაბათს ოსაკაში კომპანია „მიკის სახლის" მიერ ორგანიზებულ საახალწლო წვეულებაზე განაცხადა. თურმე ნუ იტყვით და, ლონდონის ოლიმპიადაზე თანამემამულეთა უნიათო გამოსვლას ყველაზე წარმატებული ძიუდოისტი ისე ალუშფოთებია, რომ ამგვარი გადაწყვეტილებაც მიუღია. მან თქვა, რომ მზადაა, გვერდით გადადოს ყველა ტიტული, ყველა მიღწევა და ძიუდოს მისცეს მაქსიმუმი, რაც შეუძლია.

ამ განცხადებას იქნებ სხვა დროს ამდენი ყურადღება არც მიექცია, რომ არა ნომურას ასაკი - ის 10 დეკემბერს 38 წლის გახდა! მისი კარიერის ალმავალი ნაწილი ატლანტას ოლიმპიადაზე დაიწყო 1996 წელს, როცა პირველად გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. მეორე წელს - 1997-ში მორიგი დიდი გამარჯვება პარიზში იზეიმა, როცა კარიერაში პირველად და უკანასკნელად მოიგო მსოფლიოს პირველობა. ბედის ირონიით, ეს ერთადერთი გამარჯვებაც ქართველთა ხარჯზე მოიპოვა - ფინალში ჩვენი ნაკრების დღევანდელი მწვრთნელი **გიორგი ვაზაგაშვილი** დაამარცხა. მან ქართველებს კიდევ ერთხელ მოგვიგო დიდი ფინალი - 2004 წელს ათენის ოლიმპიადის გადამწყვეტ პაექრობაში **ნესტორ ხერგიანს** აჯობა და მესამედ მოიპოვა ოლიმპიური ოქრო, შუალედში კი ანალოგიურ წარმატებას სიდნეიშიც მიაღწია 2000 წელს. მას პეკინში მოხვედრის დიდი შანსიც ჰქონდა და ინტერესითაც ველოდით, გააუმჯობესებდა თუ არა ის რეკორდს, მაგრამ არ დასცალდა - ჯერ ჯვარედინი მყესების ტრავმამ შეაფერხა მისი კარიერა, ოპერაციის შემდეგ დაბრუნებული კი იაპონიის ჩემპიონატში ახალგაზრდა **დაისუკე ასანოსთან** დამარცხდა და მესამეზე დარჩა. ამით ლიცენზიისთვის მებრძოლთა რიგებსაც გამოაკლდა და მწვრთნელებმაც არჩევანი საბოლოოდ მეორე ახალგაზრდაზე, იმხანად უტიტულო, თუმცა სადღეისოდ მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან **ჰიროაკი ჰიროაკაზე** შეაჩერეს. ჰიროაკას ახლანდელი მედლებისადმი პატივისცემის მიუხედავად, მწვრთნელებმა მაშინდელი გადაწყვეტილება იქნებ ინანეს კიდეც, რადგან ის პირველივე შეხვედრაში დამარცხდა ვინმე ამერიკელ **ტარაია ვილიამს-მურაისთან** და უსახელოდ გავარდა. არადა, როგორც ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირაკლი უზნაძე** ამბობს, მაშინ ნომურა კარგ ფორმაში იყო და მისი წაყვანა აჯობებდა. უზნაძე იმხანად ჯერ კიდევ თურქეთში ცხოვრობდა და კონტრაქტით ერთ-ერთ იაპონურ კლუბში გამოდიოდა, რომელსაც კიდევ ერთი ცოცხალი ლეგენდა **შინიჩი შინოჰარა** წვრთნიდა, ხოლო შემადგენლობაში ნომურაც გამოდიოდა. უზნაძის თქმით, მაშინ ტადაჰირო ბევრს და გულმოდგინედ ვარჯიშობდა. შესაბამისად, კარგ ფორმაშიც იყო. ამის მიუხედავად, მწვრთნელებმა შანსი მაინც არ მისცეს.

ნომურა პეკინის თამაშების შემდეგაც აგრძელებდა კარიერას, მაგრამ ეს ის ნომურა აღარ იყო - ჯერ იყო და, 2009 წლის ნოემბერში ყველა გააოცა, როცა ბაქოში, მასტერსზე სასწაულად წააგო მასპინძელ **ვუგარ შირინლისთან**, 2010 წლის ივლისში მეორეზე გავიდა მონღოლეთში, მსოფლიოს თასზეც, კარიერა კი იმავე 2010 წელს დაასრულა, როცა ოქტომბერში რომში გამართულ მსოფლიოს თასზე მერვედფინალში ბრაზილიელთა მომავალ ოლიმპიურ პრიზიორ **ფელიპე კიტადაისთან** დამარცხდა.

როგორც გითხარით, ნომურა აგვისტოში აპირებს დაბრუნებას - 31 აგვისტოს კობეში დასაწყებ ხიოგოს პრეფექტურის ჩემპიონატში სურს ასპარეზობა. ვნახოთ, მოევლინება თუ არა ის ძიუდოს **როჟე მილად** - ალბათ, გემახსოვრებათ ეს ლეგენდარული კამერუნელი ფეხბურთელი, რომელიც 43 წლამდე დასდევდა ბურთს მწვანე მინდვრებზე.

**ირაკლი თავაძე**



ტადაჰირო ნომურა

● რეგიონი. ცურვა


გიორგი ბუხრიკიძე

# გორში კარგად ცურავენ

**გორის მუნიციპალიტეტის საცურაო აუზზე მომეცადინე სპორტსმენები აშკარა პროგრესს განიცდიან. დეკემბერში აუზის დირექტორი შეიცვალა და ხელმძღვანელად მოქმედი სპორტსმენი, ყველაზე წარმატებული ადგილობრივი მოცურავე, 22 წლის გიორგი ბუხრიკიძე დაინიშნა. იგი თავისუფალი სტილით 50 და 100 მეტრზე ცურვაში ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონია და ბოლო წლებში საქართველოს საუკეთესო სპრინტერია. ახალ დირექტორს კიევის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ეროვნულ უნივერსიტეტში აქვს განათლება მიღებული. იგი მიიჩნევს, რომ აქტიური სპორტული კარიერისა და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობას ნაყოფიერად შეძლებს.**

**- რა შეცვალეთ აუზის მუშაობაში?**

- პირველ ყოვლისა დისციპლინა, რომელიც აქამდე ძალიან მოიკოჭლებდა. ბევრი რამ იყო მოუწესრიგებელი. მთავარი გამოსასწორებელი საკითხი კი აუზის რემონტია. მართალია, წყალი სუფთაა და პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ უშუალოდ შენობის რემონტია საჭირო. პირველ ეტაპზე მუნიციპალიტეტისგან უკვე მიღებული თანხით სახურავს განვაახლებთ.

**- მომეცადინეთა და მწვრთნელთა კონტინგენტზე, შედეგებზე რას იტყვით?**

- ოცდაათზე მეტ მოცურავეს ხუთი მწვრთნელი ავარჯიშებს. შარშან 18 პირველი, 17 - მეორე და 24 მესამე ადგილია მოპოვებული. ჩემ გარდა უფროსებში შედეგებით გამოირჩეოდნენ გვანცა ხინჩეგაშვილი, ნინი მეზვრიშვილი, გიგა აფციაური, ვაჟა ჭიოტაშვილი, გიორგი დუდაშვილი, ლადო ტერლეცკი და სხვები. წლეულს პირველი სტარტი თებერვალში თბილისში, საქართველოს ღია პირველობაზე გვექნება, მარტში უკვე უმცროსი ასაკის მოცურავეთა ქვეყნის ჩემპიონატია, ხოლო შემდეგ „მაქსიმალის" თასზე ასპარეზობა გველის. სულ სეზონში 10 შეჯიბრებაში მონაწილეობა გვაქვს დაგეგმილი.

**- შარშანდელი საკუთარი შედეგებით თუ ხარ კმაყოფილი?**

- რადგან პირადი შედეგების მხოლოდ გამეორების და 50 მეტრზე გაუმჯობესება შევძელი - კმაყოფილი ვერ ვიქნები. 100 მეტრზე ოლიმპიადის ლიცენზიის მოსაპოვებლადაც 1,7 წამი დამაკლდა. მიზეზი მხრის ტრავმა იყო. ახლა საქართველოს ღია პირველობისთვის ვემზადები, სადაც ქართველების გარდა, უკრაინელი და ბელორუსი მოცურავეებიც გამოვლენ. სეზონის მთავარი შეჯიბრება კი ზაფხულში ბარსელონას საერთაშორისო ტურნირია.

**- ადრე მუნიციპალიტეტიდან დაუფინანსებლობას უჩიოდით გორელი მოცურავეები.**

- შარშან უკეთესი ვითარება იყო. ვიმედოვნებთ, წლეულს უფრო უკეთესი იქნება. მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით მეცადინეობა სპორტულ ჯგუფებში უფასოა, შეჯიბრებებზე გვაფინანსებენ. საახალწლოდ წარმატებულმა სპორტსმენებმა და მწვრთნელებმა გარკვეული პრემიაც მიიღეს. ზაფხულისთვის, აუზზე მომსვლელთა რიცხვისა და შემოსავლის ზრდის ხარჯზე ვგეგმავთ, რომ წარმატებული სპორტსმენები პრემიებით კიდევ წავახალისოთ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● ჭადრაკი

# აუტსაიდერებში

ერევანში დღეს დასრულდება ანდრანიკ მარგარიანის მემორიალი, რომელშიც 5 ქვეყნის 10 მოჭადრაკე წრიული სისტემით ეცილება ერთმანეთს პირველობას. ტურნირში 2 ქართველი საერთაშორისო ოსტატიც მონაწილეობს, თუმცა ჩვენებურებმა განვლილ რვა ტურში დიდი ვერაფრით გამოიჩინეს თავი და აუტსაიდერთა შორის არიან.

გუშინ მე-8 ტურში **შოთა აზალაძე** ჰოვანეს გაბუზიანს (სომხეთი) დაუზავდა, **დავით ბენიძემ** კი კარენ გრიგორიანთან (სომხეთი) დათმო პარტია. წარმატებით ითამაშა ერთპიროვნულმა ლიდერმა მარტინ კრავციემა (უკრაინა), რომელმაც შავი ფიგურებით მასპინძელ ლევონ ბაბუჯიანს აჯობა და 6,5 ქულით მეწინავეობა შეინარჩუნა. ტურნირის დანარჩენი ორი შეხვედრაც შედეგიანი აღმოჩნდა: ალექსეი გოგანოვი (რუსეთი) - შტეფან ჟილკა (ჩეხეთი) 0:1, ანდრეი ბარიშპოლეცი (უკრაინა ) - ტიგრან ჰარუთიუნიანი (სომხეთი) 1:0.

რვა ტურის შემდეგ: კრავციევი - 6,5, გრიგორიანი - 6, ბარიშპოლეცი, გოგანოვი - 5-5, გაბუზიანი - 3,5, ჟილკა, აზალაძე, ბაბუჯიანი - 3-3, ჰარუთიუნიანი, ბენიძე - 2,5-2,5 ქულა. დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: აზალაძე - ბაბუჯიანი, ბენიძე - გაბუზიანი, ჰარუთიუნიანი - გრიგორიანი, ჟილკა - ბარიშპოლეცი, კრავცივი - გოგანოვი.

**ვაჟა დანელია**

● სპორტი და ახალგაზრდობა - 2012




გასული წელი ქართული სპორტისთვის საკმაოდ უხვმოსავლიანი გამოდგა, რაზეც ჩვენი ათლეტების მიერ მოხვეჭილი მედლებიც მეტყველებს. შეგახსენებთ, რომ ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს ჯილდო **ლაშა შავდათუაშვილმა** (ძიუდო) მოიპოვა. მეორე ადგილებზე გავიდნენ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, დავით მოძმანაშვილი (ორივე - თავისუფალი ჭიდაობა) და რევაზ ლაშხი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მესამე ადგილები დავით მარსაგიშვილმა, გიორგი გოგშელიძემ („თავისუფალი") და მანუჩარ ცხადაიამ („ბერძნულ-რომაული") დაიკავეს. მსოფლიოს ჩემპიონატები მოიგეს გიორგი ბაინდურომვმა (სამბო) და გენადი კვიკვინიამ (მკლავჭიდი), ევროპის ჩემპიონატების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ დავით მარსაგიშვილი, ვარლამ ლიპარტელიანი (ძიუდო), რაულ ცირეკიძე (ძალოსნობა), უშანგი კუზანაშვილი, ნოდარ მეტრეველი (ორივე - სამბო) და გენადი კვიკვინია (მკლავჭიდი). უფრო მეტი გვყავს ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები, რომ არაფერი ვთქვათ ახალგაზრდებისა და ჭაბუკების მონაგარზე. ერთ პატარა ინფორმაციაში მათი ჩამოთვლა შეუძლებელია, სამაგიეროდ, გულშემატკივრებს 2012 წლის სპორტული სეზონის შედეგების სრულად გაცნობა შეუძლიათ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ყოველწლიურ ჟურნალში „სპორტი და ახალგაზრდობა" (რედაქტორი ელგუჯა ბერიშვილი), რომელიც გამოსაცემად საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ მოამზადა. ჟურნალი სპორტის მინისტრ **ლევან ყიფიანის** ინტერვიუთი იხსნება. რესპონდენტი ყურადღებას ამახვილებს ახალ გეგმებსა და სტრატეგიებზე. ვრცლად ეხება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის აღდგენის საკითხს. ბატონი ლევანი მიიჩნევს, რომ აკადემია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯი; ბათუმის, ქუთაისის, გორისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში სპორტული ფაკულტეტები და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის კათედრები ვილაცვილაცებმა საკუთარ ამბიციებს გადააყოლეს - მათი გაუქმებით ქართულ სპორტს დიდი დარტყმა მიაყენეს და დღეს ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყოს.

დაინტერესებული მკითხველი ჟურნალში 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მთავარ ამბებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გაეცნობა, წაიკითხავს ინტერვიუებს ოლიმპიურ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებთან და პრიზიორებთან, ასევე, კალათბურთის, რაგბის, ფეხბურთის, ალპინიზმის, ავტოსპორტის საინტერესო ამბებს, სტუდენტურ ინიციატივებს. „სპორტი და ახალგაზრდობა" უხვად არის ილუსტრირებული.

**ვაჟა დანელია**

● სუმო. ჰაცუ ბაშო. 13-27 იანვარი

# ქართული დერბი ტოჩინოშინმა მოიგო



ტოკიოში, სუმოს ლეგენდარულ დარბაზ „კოკუგიკანში" კარიერაში მეხუთედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** და **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**. აქამდე ანგარიში მათ შორის 2:2 იყო. გაგამარუ მე-4 მაეგაშირაა, ტოჩინოშინი მე-6, ჯუღელი 212 კილოგრამს იწონის, გორგაძე კი - 161-ს. მიუხედავად ამ ორი უპირატესობისა, გამარჯვებული ტოჩინოშინი დარჩა, მან უვატედაშინაგეს ილეთით რამდენიმე წამში იმარჯვა.

ტოჩინოშინი, რომელსაც 2-0 ბალანსი აქვს, ბაშოს III დღეს **მასუნოიამას** დაუპირისპირდება, რომელსაც პირველად ნოემბერში შეხვდა და დამარცხდა. **გაგამარუს** (1-1) მეტოქე მონღოლი ვეტერანი **კიოკუტენჰოა**. ქართველისთვის ის ძალზე მოუხელთებელი მეტოქეა, 7 დაპირისპირებიდან 5 მოუგო.

**II დღე**

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები):** ჰარუმაფუჯი-მიოგირიუ (უვატენაგე), ჰაკუჰო-ამინიშიკი (უვატენაგე), ტოჩიოძანი-კაკურიუ (ოშიდაში), კოტოოშუ-შოჰოზანი (უვატენაგე), კოტოშოგიკუ-ბარუტო (იორიკირი), კისენოსატო-კიოკუტენჰო (იორიკირი), ტოიონოშიმა-გოეიდო (იორიკირი), კაისეი-ტოიოჰიბიკი (ცუკიოტოში), იკიოი-არანი (შიტატენაგე), **ტოჩინოშინი-გაგამარუ** (უვატედაშინაგე).

**III დღე**

**(მნიშვნელოვანი წყვილები):** ჰაკუჰო-მიოგირიუ, ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა, კოტოოშუ-ამინიშიკი, კოტოშოგიკუ-ტოიოჰიბიკი, კისენოსატო-ტოჩიოძანი, კაკურიუ-შოჰოზანი, ბარუტო-გოეიდო, **გაგამარუ**-კიოკუტენჰო, კაისეი-არანი, **ტოჩინოშინი**-მასუნოიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ყაზახშა ყურესი

# ქართველმა სამბისტმა ყაზახურში იყოჩაღა

ყაზახური ჭიდაობა „ყაზახშა ყურესი" განსაკუთრებით პოპულარულია აზიაში. 2005 წლიდან ტარდება აზიის, 2006 წლიდან კი - მსოფლიოს პირველობები.

ახლახან ყაზახეთის ქალაქ ყარაგანდაში გაიმართა მსოფლიოს თასის მეორე გათამაშება ჭიდაობის ამ ეროვნულ სახეობაში. ამჯერად ასპარეზობაში ქართველი მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ.

კარგად იასპარეზა ზუგდიდელმა სამბისტმა, მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორმა **ბესარიონ ბერულავამ** (80 კგ), რომელმაც მსოფლიოს თასზე პირველი ადგილი დაიკავა.

ეს ყაზახურ ჭიდაობაში ქართველთა პირველი გამოსვლა და პირველი წარმატებაა.

**გაბრიელ ბარჯაძე**


ბესარიონ ბერულავა

● პროფესიული კრივი


მარცხნივ ლევან ღარიბაშვილი

# ქამარს ვერ შესწვდა

რაც დრო გადის, პროფესიული კრივი საქართველოში სულ უფრო პოპულარული ხდება. შარშან დავით მაკარიძემ (66 კგ) WBU-ს (მსოფლიო კრივის კავშირი) ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონობაც მოიპოვა. ამგვარი წარმატების მიუხედავად, ტყავის ხელთათმნის ქართველ ოსტატებს საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლის გამოცდილება ჯერ კიდევ აკლიათ, ამიტომაც ხშირად დამარცხებულებიც ტოვებენ რინგს.

გასულ უქმეებზე საფრანგეთის პროფესიულ სარბიელზე ორმა ქართველმა მოკრივემ მოსინჯა ძალები. WBO-ს (მსოფლიო კრივის ორგანიზაცია) ევროპის ქამრისთვის ნიცაში 12-რაუნდიან პაექრობაში იბრძოდა 27 წლის გორელი **ნიკოლოზ ბერკაცაშვილი** (58 კგ), საქართველოს ჩემპიონი და ქამრის მფლობელი, რომელსაც პროფესიულ რინგზე 26 შეხვედრიდან 19 მოგება ჰქონდა 7 მარცხის წილ. ჩვენებურის მეტოქე გახლდათ მასპინძელი **ალი ჰალაბი** (პროფესიულ რინგზე 14 პაექრობიდან 13 მოგება და ერთი ფრე). 2010 წლის EBA-ს (ევროპის კრივის ასოციაციის) და 2012 წლის WBO-ს ევროპის ქამრის მფლობელი შინ სწორედ ამ ბოლო ტიტულს იცავდა და გულშემატკივრების აქტიური მხარდაჭერით მოახერხა კიდეც - ვადამდე დაამარცხა ქართველი მეტოქე.

იმავე რინგზე გამოდიოდა თბილისელი **ლევან ღარიბაშვილი** (58 კგ), რომელმაც 6-რაუნდიანი სარეიტინგო შეხვედრა გამართა მასპინძელ სოფიან თაქუჩისთან. ფრანგი უფრო წარმატებული მოკრივეა, რადგან პროფესიულ რინგზე 27 პაექრობიდან 25 მოგება და 2 წაგება აქვს. შედეგით ჩვენებური საგრძნობლად ჩამორჩება მოწინააღმდეგეს - 29 შეხვედრიდან 12 გამარჯვება, 15 მარცხი და 2 ფრე. ეს უპირატესობა ნიცის რინგზეც ნათელი გახდა - თაქუჩიმ ტექნიკური ნოკაუტით მე-3 რაუნდში მიაღწია წარმატებას.

კიდევ ერთი ქართველი მოკრივე - **გოგიტა გორგილაძე** (90 კგ, 12 პაექრობა, ყველა მოგება) 16 თებერვალს იოჰანესბურგში IBE-ს (საერთაშორისო კრივის ფედერაცია) ახალგაზრდული ქამრისთვის სამხრეთაფრიკელ ილუნგა მაკაბუს (12 ბრძოლიდან 11 მოგება და ერთი მარცხი) გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

**განცხადება**

საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაცია 17 იანვარს სასტუმრო „რედისონში" (ყოფილი „ივერია") განმეორებით ატარებს ფედერაციის ყრილობას.

საკონტაქტო ტელეფონი: 597 000 018.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

● ლეგიონის კვირა

# დუბლ-მეტრეველი



მანუჩარ მარკოიშვილმა ბოლონიელებს 11 ქულა „უძღვნა“



გიორგი ცინცაძე ქიმიკოსთა ალყაში

### იტალია

იტალიის ჩემპიონატში კვირას ღამით **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ“ **ვიქტორ სანიკიძის** ყოფილ გუნდ „ვირტუსს“ უმასპინძლა და დამაჯერებლად სძლია - 79:64. მანუჩარმა 4-4 ორქულიან-სამქულიანიდან 2 სამიანი და 1 ორიანი გამოიყენა და საბოლოოდ 11 ქულა მიითვალა. მისი თამაში გამოცემა „დეილიბასკეტზე“ 6.5 ბალით იყო შეფასებული. ყველაზე მაღალი, 7.5 ქულა **მაარტენ ლეუნენს** დაუწერეს, რომელმაც 16 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა.

გუშინ ღამით ითამაშა ვიქტორ სანიკიძის „მონტეპასკიმ“, რომელსაც „დინამო სასარისთან“ ურთიერთშეხვედრამდე მასთან მოგებათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდა (11-11). მათ შორის მოგებული სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციაზე განმტკიცდებოდა, წაგებული კი „კანტუსთან“ გაიყოფდა მესამე-მეოთხე ადგილებს.

■ ■ ■

იტალიის რიგით მესამე ლიგაში (ნაციონალე A) „ომენას“ მაისურით ეფექტურად ირჯება **ნიკა მეტრეველი**, რომელმაც „ჩიეტისთან“ მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა - 15 ქულა, 16 მოხსნა. დღესვე შეიძლება ითქვას, რომ მან სწორედ ისეთ გუნდს მიაგნო, როგორიც სჭირდებოდა. შეგახსენებთ, შარშან მეტრეველი იტალიის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელ „დინამო სასარიში“ გამოდიოდა და დრო შეზღუდული ჰქონდა. არადა, ახალგაზრდა ქართველს ამ ეტაპზე საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად უმთავრესად სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. „ომენაში“ მას მწვრთნელის სრული ნდობა აქვს და პირველმა მატჩებმაც დაგვანახა, რა შეუძლია ნიკას. სეზონის ორმაგი დუბლებით ჩამთავრების შემთხვევაში, მეტრეველი ორ კურდღელს დაიჭერს: შეემატება თვითრწმენა და სათამაშო პრაქტიკა და მეორე - დააინტერესებს უფრო მაღალი ლიგის წარმომადგენელ კლუბებს.



ბექა ბურჯანაძის ემოცია მალაგაში



ნიკა მეტრეველი ჩიეტისთან მატჩის შემდეგ

სადღეისოდ ნაციონალე A-ში „ომენას“ 17-დან 9 მატჩი აქვს მოგებული და ცხრილში მერვე ადგილზეა.

### უკრაინა

განვლილ კვირას ევროთასის ტოპ-16-ში ჩაერთო **გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკი“. უკრაინელებს პირველი შეხვედრა წარმატებული გამოუვიდათ - თურქულ „ბანვიტს“ სძლიეს. ცინცაძემ 12 ქულა მიითვალა.

ერთდღიანი შესვენების შემდეგ კიეველებმა უკრაინის ჩემპიონატში „ოდესას“ უმასპინძლეს და დამარცხდნენ. ამ მატჩის შემდეგ „ბუდიველნიკის“ კალათბურთელებმა ასევე შიდა ასპარეზზე იუჟნის „ხიმიკი“ მიიღეს, დაამარცხეს და სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი განიმტკიცეს - 19 მოგება, 7 მარცხი. მეორეადგილოსან „ფეროს“ 17 გამარჯვება უწერია.

ხვალ ცინცაძის თანაგუნდელებს ევროთასზე მეტად საპასუხისმგებლო მატჩი ელით - რუსულ „ტრიუმფს“ ესტუმრებიან.

### ესპანეთი

ესპანეთის ჩემპიონატის სტარტი წარუმატებელი გამოდგა **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლისთვის“, რომელიც თამაშს ნელ-ნელა აუმჯობესებს, გასავარდნ ზონასაც დააღწია თავი და საპლეიოფო რვაეულის წარმომადგენლებს მხოლოდ სამი მოგებით ჩამორჩება.

ბოლო ტურში სევილიელებმა ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვეს კუნძულ მალაგაზე „უნიკახასთან“ - 81:70. 18 წლის ბექამ 2 წუთი ითამაშა და მატჩი 3 ქულით დაასრულა. მან მეტოქის კალათის მიმართულებით ერთი სამქულიანი ისროლა და ისიც მიზანში მოარტყა.

● ინტერვიუ კოტე ტულუშთან



# არმია ბოისამაც დატოვა

## მიზანი არ შეცვლილა, მისკენ სავალი გზა გართულდა

ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, რომ საქართველოს ჩემპიონის, „არმიას“ ოთხივე ლეგიონერი მეორე წრიდან კარიერას საქართველოში აღარ გააგრძელებს - კურტის მილეიჯი, ლემეინ უილსონი, იოაკიმ შელბომი და მარკუს ფეისონი. მათთან ერთად გუნდი დატოვა **ვლადიმერ ბოისამ.** ამის მიზეზი ისაა, რომ ვოვას პირველ წრესთან შედარებით ნაკლები ხელფასი შესთავაზეს.

„არმიაში“ არსებულ სიტუაციაზე მთავარ მწვრთნელ **კოტე ტულუშს** ველაპარაკეთ.

- გუნდი ხუთმა კალათბურთელმა დატოვა. შესაბამისად, ამჟამად ჩვენთან 9 კალათბურთელი ვარჯიშობს და წვრთნისას ხუთი-ხუთზე თამაშის საშუალება არ გვაქვს.

**- ყველაზე გვიან ვლადიმერ ბოისა წავიდა...**

- მას შედარებით დაბალი თანხა შესთავაზეს და სლოვენიაში, საკუთარ ოჯახთან უკვე გაემგზავრა. არადა, მისი „არმიაში“ დარჩენა მეც მსურდა და, ვფიქრობ, ვოვასთვისაც კარგი იქნებოდა.

**- შემადგენლობის შევსებას არ აპირებთ?**

- განაცხადში ორი ადგილილა გვაქვს. ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე ვახტანგ მინაშვილი დაგვეხმარება, რომელიც გუნდში შარშან თამაშობდა. სუპერლიგისთვის დაგვემატება თუ არა, ეს ოფიციალურად მოგვიანებით გადაწყდება. მინაშვილის განაცხადში შეყვანის შემთხვევაში დაგვრჩება ერთი ადგილი, რომელსაც სავარაუდოდ, ქართველით შევავსებთ.

**- როცა ბიუჯეტი იკვეცებოდა, ალბათ, მიზნების შეკვეცაზეც ფიქრობდნენ.**

- შემადგენლობაში ცვლილებები ფინანსური მიზეზით განხორციელდა, თუმცა, ამავე დროს იყო გუნდის ინტერესებიც. ეს ყველაფერი იმ იმედით მოხდა, რომ „არმია“ არა მხოლოდ მაისის ბოლომდე, არამედ სამომავლოდაც იარსებებს. რაც შეეხება მიზნებს, ისევე როგორც აქამდე, ახლაც ყველა შეჯიბრებაში მაქსიმუმის მიღწევას ვეცდებით, ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე, საქართველო თასზე, სუპერლიგაში... უბრალოდ მიზნის მისაღწევი გზა გართულდა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 8.01 | NBA | მინესოტა VS | 108:103 | 24 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 |
| | | 9.01 | NBA | კლივლენდი VS | 99:83 | 26 | 8 | 10 | 1 | 0 | 1 |
| | | 11.01 | NBA | VS იუტა | 103:95 | 20 | 12 | 3 | 1 | 1 | 0 |
| | | 12.01 | NBA | ვაშინგტონი VS | 93:83 | 17 | 5 | 6 | 0 | 0 | 0 |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 8.01 | NBA | ფილადელფია VS | 89:109 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 |
| | | 11.01 | NBA | VS ფინიქსი | 99:79 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 |
| | | 13.01 | NBA | VS ინდიანა | 97:86 | არ უთამაშია | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | კანტუ (იტ) | 13.01 | იტალიის ჩემპ. | VS ვირტუსი | 79:64 | 24 | 11 | 3 | 3 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტ) | 11.01 | ევროლიგა | VS ხიმკი (რუს) | 82:76 | 27 | 11 | 9 | 0 | 1 | 1 |
| | | 14.01 | იტალიის ჩემპ. | სასარი VS | 96:66 | 18 | 12 | 4 | 1 | 1 | 0 |
| ნიკა მეტრეველი | ომენა (იტ) | 13.01 | იტალიის ჩემპ. | ჩიეტი VS | 90:92 | 34 | 15 | 16 | 1 | 2 | 1 |
| გიორგი შერმადინი | ოლიმპიაკოსი (საბ) | 11.01 | ევროლიგა | ბარსელონა (ესპ) VS | 76:68 | 7 | 6 | 3 | 0 | 0 | 1 |
| | | 14.01 | საბერძნეთის ჩემპ. | VS პანიონიოსი | 87:73 | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 9.01 | ევროთასი | VS ბანვიტი (თურ) | 76:69 | 26 | 12 | 2 | 4 | 0 | 0 |
| | | 11.01 | უკრაინის ჩემპ. | VS ოდესა | 78:80 | 24 | 3 | 4 | 6 | 0 | 1 |
| | | 13.01 | უკრაინის ჩემპ. | VS ხიმიკი | 89:67 | 24 | 11 | 1 | 2 | 2 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპ) | 13.01 | ესპანეთის ჩემპ. | უნიკახა VS | 70:81 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | ეშტეღლალი (ირანი) | 10.12 | ირანის ჩემპ. | ალ ბადრი VS | 59:57:00 | 36 | 16 | 13 | 0 | 1 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# პლეი ოფისთვის ბრძოლას ექვსი განაგრძობს

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში საშობაო არდადეგების გამო შეწყვეტილი შეჯიბრება მე-12 ტურის შეხვედრებით განახლდა. შეგახსენებთ, რომ ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან ექვსი ლიდერთა შორისაა და პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს.**


ბურთით თედო ზიბზიბაძე

A ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდი ასპარეზობს. ამათგან მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის სამი იბრძვის. ლიდერებს „ლილსა" და „ბურგ ან ბრესს" პლეი ოფი, ფაქტობრივად, განაღდებული აქვთ. დარჩენილია ორი საგზური, რომლებსაც, სავარაუდოდ, სწორედ ჩვენებურთა გუნდები გაითამაშებენ.

ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი **შოთა მელიქიძისა** და **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონს" აქვს, რომელმაც 38 ქულა დააგროვა და ახლა მესამე ადგილზეა. მაკონელებმა მე-12 ტურში სტუმრად მოუგეს უახლოეს მდევარს **ზერო პეტრიაშვილის** „ვიენს" - 20:9. ქართველთაგან მხოლოდ კოპალიანმა ითამაშა. ვიენელები „მაკონს" 11 ქულით ჩამორჩებიან და მე-4 ადგილზე იმყოფებიან.

„ვიენზე" ერთი ქულით ნაკლები დაუგროვდა და მეხუთე ადგილზეა **გიორგი ჯაშიტაშვილის** „შალონი", რომელმაც სტუმრად მოუგო აუტსაიდერს, **გიორგი სულუაშვილის** „სტრასბურს" - 35:20.

ლიდერთა ჯგუფთან ახლოს იმყოფება **გიორგი გაბელიას** „სენტ ეტიენი", რომელიც „შალონს" სამი ქულით ჩამორჩება და მე-7 ადგილზეა. ჩვენებურის ამ გუნდმა შინ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა „დიჟონი" - 25:23.

„სტრასბურთან" ერთად აუტსაიდერთა შორისაა **ელიზბარ ყუფარაძისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონი", რომელმაც სტუმრად წააგო გათამაშების ლიდერ „ბურგ ან ბრესთან" - 12:35. მონლუსონელებს ახლა 22 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზე არიან.

## ფედერალ 1

### A ჯგუფი

ბობინი-ლილი 17:20, ბურგ ან ბრესი-მონლუსონი 35:12, ვიენი-მაკონი 9:20, სტრასბური-შალონი 20:35, სენტ ეტიენი-დიჟონი 25:23.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ბურგ ან ბრესი - 49 ქულა, 2. ლილი - 49, 3. მაკონი - 38, 4. ვიენი - 27, 5. შალონი - 26, 6. ბობინი - 23, 7. სენტ ეტიენი - 23, 8. მონლუსონი - 22, 9. დიჟონი - 21, 10. სტრასბური - 1.

### XIII ტური

ლილი-ბურგ ან ბრესი, მაკონი-ბობინი, სტრასბური-სენტ ეტიენი, შალონი-ვიენი, მონლუსონი-დიჟონი.

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი ასპარეზობს. აქედან მონინავე ოთხეულში მხოლოდ ერთია, **ირაკლი ნინიძის** „რომანი", რომელმაც 29 ქულა დააგროვა და მესამე ადგილზეა. ჩვენებურის ამ გუნდმა შინ დაამარცხა „ლა სეინი" - 26:13.

პლეი ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს **თენგიზ გელანტიასა** და **ბექა ურჯუკაშვილის** „ობენაც", რომლის გასვლითი მატჩი **დავით კაჭარავას** „როდეზთან" გადაიდო. ობენელებს 24 ქულა აქვთ მეშვიდე ადგილზე არიან, „როდეზი" კი 17 ქულით აუტსაიდერია.

23 ქულით ბოლოსწინა, მეცხრე ადგილზეა **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარი", რომელიც შინ დამარცხდა გათამაშების ლიდერ „ბურგუენთან" - 6:14. ბურგუენელები დაუმარცხებლად ასპარეზობენ.

### B ჯგუფი

შატორენარი-ბურგუენი 6:14, ბლანიაკი-აგდი 15:12, ვალანსი-ლავორი 18:19, რომანი-ლა სეინი 26:13, როდეზი-ობენა (გადაიდო).

### სატურნირო მდგომარეობა

1. ბურგუენი - 51 ქულა, 2. ვალანსი - 35, 3. რომანი - 29, 4. ლავორი - 27, 5. ლა სეინი - 26, 6. ბლანიაკი - 25, 7. ობენა - 24, 8. აგდი - 24, 9. შატორენარი - 23, 10. როდეზი - 17.

### XIII ტური

ბურგუენი-ვალანსი, ლა სეინი-შატორენარი, ლავორი-ბლანიაკი, რომანი-როდეზი, აგდი-ობენა.

C ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა სამი გუნდიდან ორი ლიდერთა შორისაა და მიუხედავად იმისა, რომ მე-12 ტურში ორივე დამარცხდა, პლეი ოფში გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებენ. ჩვენებურთა გუნდებიდან საუკეთესო მაჩვენებელი **შოთა ცხოვრებაშვილისა** და **ბაჩუკი გუჯარაიძის** „სენ ნაზერს" აქვს, რომელიც სტუმრად დამარცხდა „სენ ჟან დე ლუზთან" - 12:24. გუჯარაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ცხოვრებაშვილი განაცხადში არ იყო.

„სენ ნაზერს" ახლა 40 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა, მას ერთი ქულით ჩამორჩება და მესამეა **თედო ზიბზიბაძის** „პერიგო", რომელიც შინ გათამაშების ლიდერს, „ტიროსს" დაუპირისპირდა და მინიმალური სხვაობით წააგო - 14;15. ზიბზიბაძემ სრულად ითამაშა.

18 ქულით ბოლოსწინა მე-11 ადგილზეა **ნიკოლოზ მალალდაძის** „მარმანდი", რომელიც ფრეს დასჯერდა სტუმრად „ნუართან" - 12;12.

### C ჯგუფი

პერიგო-ტიროსი 14:15, ნუარი-მარმანდი 12:12, ლანჟონი-სენ ჟან დანჟელი 23:8, სენ ჟან დე ლუზი-სენ ნაზერი 24:12, ვანი-აგეტმო 29:10.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტიროსი - 53 ქულა, 2. სენ ნაზერი - 40, 3. პერიგო - 39, 4. სენ ჟან დე ლუზი - 29, 5. ლანჟონი - 29, 6. ვანი - 28, 7. აგეტმო - 18, 8. სენ ჟან დანჟელი - 18, 9. მარმანდი - 18, 10. ნუარი - 14.

### XIII ტური

მარმანდი-პერიგო, აგეტმო-ნუარი, ტიროსი-ლანჟონი, სენ ჟან დანჟელი-სენ ნაზერი, ვანი-სენ ჟან დე ლუზი.

D ჯგუფში ქართველ მორაგბეთა გუნდები კვლავ წარუმატებლად თამაშობენ. **მერაბ კვირიკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „სენ ჟუნიენმა", რომელიც 18 ქულით ბოლოსწინა, მე-9 ადგილზეა, სტუმრად დიდი ანგარიშით დამარცხდა მესამეადგილოსან „ოლორონთან" - 12:56.

ჩვენებურთა ამ გუნდის მსგავსად 18 ქულა დაუგროვდა და მე-8 ადგილზეა **ლაშა მალალურაძისა** და **სიმონ მაისურაძის** „ბაგნერე", რომელმაც ასევე სტუმრად წააგო „ლურდთან" - 12:19.

### D ჯგუფი

ლიმოჟი-კასტანე 15:21, ლურდი-ბაგნერე 19:12, ოლორონი-სენ ჟუნიენი 56:12, ლანამეზანი-ნევერი 9:14, სენ მედარი-მონტობანი 8:21.

### სატურნირო მდგომარეობა

1. მონტობანი - 49 ქულა, 2. ნევერი - 43, 3. ოლორონი - 31, 4. კასტანე - 30, 5. ლიმოჟი - 30, 6. ლურდი - 27, 7. ლანამეზანი - 23, 8. ბაგნერე - 18, 9. სენ ჟუნიენი - 18, 10. სენ მედარი - 15.

### XIII ტური

ბაგნერე-ლიმოჟი, სენ ჟუნიენი-ლურდი, ნევერი-ოლორონი, ლანამეზანი-სენ მედარი, კასტანე-მონტობანი.


შეტევაშია რეზო გიგაური

ტრანსფერი


ბურთით ლადო გუნიავა

# გუნიავა ბაგნერეში გადაბარგდა

საფრანგეთის ფრანგულ ლეგიონს ახლახან კიდევ ერთი მორაგბე შეემატა. „ლოკომოტივის" მორკინალი **ლადო გუნიავა** საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ბაგნერეში" ჩაირიცხა. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში, რომელიც ფედერალ 1 დივიზიონში წლეულს ალზევდა, უკვე თამაშობს ორი ქართველი **ლაშა მალალურაძე** და **სიმონ მაისურაძე**. ჩვენებურთა ეს გუნდი D ჯგუფში 12 ტურის შემდეგ 18 ქულით სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზეა.

აი, რას წერია „ბაგნერეს" ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ კომუნიკეში.

*„ჩვენმა კლუბმა ახლახან საჭირო შევსება მიიღო. საქართველოდან ჩამოვიდა შერკინების ბურჯი ლადო გუნიავა, რომელიც აქამდე ამ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის, თბილისის „ლოკომოტივის" ღირსებას იცავდა. უფრო ადრე კი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების წევრი იყო.*

*აეროპორტში ლადოს გულითადი შეხვედრა მოუწყვეს თანამემამულეებმა სიმონ მაისურაძემ, ლაშა მალალურაძემ და „ტულუზის" შერკინების ბურჯმა ვასილ კაკოვინმა. გუნიავა ახლა 23 წლისაა. მან უკვე მოასწრო გუნდთან ერთად ვარჯიში. ეს ახალგაზრდა ბიჭი საკმაოდ ზორბაა, სწრაფია და ბურთის ფლობის შესანიშნავი ტექნიკა აქვს. მალე გუნიავა ლიცენზიას მიიღებს, რათა მომდევნო ტურში „ლიმოჟთან" მატჩში აუცილებლად ითამაშოს."*

მეტოქეები



# რუსები სამხრეთ აფრიკაში

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე რუსეთის ეროვნული გუნდი სამხრეთ აფრიკაში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება, სადაც „რუსი დათვები" ორ საკონტროლო მატჩს გამართავენ.

პირველ შეხვედრაში „ბორჯლალოსანთა" პრინციპული მეტოქეები იოჰანესბურგის უნივერსიტეტის გუნდს დაუპირისპირდებიან. რუსთა უელსელმა თავკაცმა **კინგლსი ჯოუნზმა** საასპარეზოდ ექსპერიმენტული შემადგენლობა დააყენა, რომელშიც რვა ნომრის პოზიციაზე პაველ **კვერნაძე მოხვდა**. სხვა ქართული წარმოშობის მორაგბეები, ძმები **ვალერი** და **გრიგორი ცნობილაძეები** სათადარიგოთა შორის არიან. თამაში სამი 30-წუთიანი ტაიმისგან შედგება.

მომდევნო შეხვედრას რუსეთის ნაკრები იოჰანესბურგის „ლაიონზთან" გამართავს, რომელიც შარშან ზე რაგბის გათამაშებაში ასპარეზობდა.

### რუსეთის ნაკრები

15. იგორ კურაშოვი, 14. იგორ კლუჩნიკოვი, 13. მიხაილ ბაბაევი, 12. ალექსანდრ მაკოვეცკი, 11. იაროლავ რეჩნევი, 10. სერგეი იანუშკინი, 9. ალექსეი შერბანი. 1. სერგეი ნოვოსელოვი, 2. სერგეი ჩერნიშევი, 3. ინოკენტი ზიკოვი, 4. მაქსიმ კისილევი, 5. რუსლან შირინოვი, 6. პაველ ბუტენკო, 7. ანდრეი გარბუზოვი, 8. პაველ კვერნაძე.

# ლობუშები ერთა თასისთვის ემზადებიან

ერთა თასის გათამაშებაში, რომელიც სტარტს 2 თებერვალს აიღებს, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი პოტუგალიის ნაკრებია. „ლობუშებმა" ამ უმნიშვნელოვანესი ტურნირისთვის მოსამზადებლად ორი საწვრთნელი შეხვედრა დაგეგმეს.

პორტუგალიის ნაკრები 19 იანვარს საფრანგეთის სტუდენტურ ნაკრებს დაუპირისპირდებიან, ერთი კვირის თავზე კი მეტოქედ ინგლისის სტუდენტური ნაკრები ეყოლებათ. შეგახსენებთ, რომ ნოემბრის ტესტებზე „ლობუშებმა" ტურნე სამხრეთ ამერიკაში მოაწყვეს, სადაც ურუგვაისა და ჩილეს ნაკრებებს სძლიეს.

ერთა თასის გათამაშებაში, რომელიც იმავდროულად 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპიცაა, საქართველოს ნაკრები პორტუგალიის ეროვნულ გუნდს თბილისში 9 თებერვალს უმასპინძლებს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# პირველი დღე ლოგიკური იყო



ჰიუიტმა ტიპსარევიჩს მიულოცა

## დღის ტენდენცია

მელბურნში დაიწყო რიგით 101-ე ავსტრალიის ღია პირველობა. პირველ დღეს ყველაფერმა კანონზომიერად ჩაიარა. 15:1 - ასეთი ანგარიშით მოიგეს განთესილებმა როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთა ბადეში. ქალებს შორის გამონაკლისი გახდა **მონა ბარტელი**, რომელმაც **ქსენია პერვაკთან** წააგო, კაცებს შორის კი განთესილთაგან ბრძოლას გამოეთიშა არგენტინელი **ხუან მონაკო** - ის რუს **კუზნეცოვთან** დამარცხდა.

## აგნიეშკა ათამდე ავიდა

პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** გააგრძელა 2013 წელს თავისი ბრწყინვალე სერია. მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი ჯერჯერობით დაუმარცხებელია ამ სეზონში და მას უკვე ზედიზედ 10 მოგება დაუგროვდა.

აგნიეშკამ ავსტრალიის ღია მასპინძელ **ბოიანა ბობუშიჩთან** მატჩით გახსნა. საკმაოდ გამოცდილი ავსტრალიელი კარიერაში მეორედ თამაშობდა „დიდი სლემის“ ტურნირზე და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველ სეტში სერიოზული პრობლემები შეუქმნა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს. ბობუშიჩი საწყის პარტიაში სეტზე აწვდიდა, მაგრამ რადვანსკამ შეძლო საჭირო დროს ბრეიკის გაკეთება და იქედან მოყოლებული, ზედიზედ რვა გეიმის აღებით 7:5, 6:0 გაიმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ რადვანსკამ 2013 წელი ზედიზედ ორი ტურნირის მოგებით დაიწყო. მან მთავარი პრიზი მოიპოვა ოკლენდსა და სიდნეიში. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მისი გამარჯვება სიდნეიში, სადაც ფინალში 6:0, 6:0 გაანადგურა სლოვაკი **დომინიკა ციბულკოვა**.

## ჯოკოვიჩი წესრიგშია

გუშინ, საქმეში ვიხილეთ მამაკაცების პირველი ნომერი, მოქმედი ჩემპიონი და მთავარი ფავორიტი - სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. ის ავსტრალიაში ბოლო ორი ტიტულის მფლობელია და შანსი აქვს „ღია ერაში“ იქცეს პირველ ჩოგბურთელად, ვინც აქ ზედიზედ სამჯერ გახდება მთავარი პრიზის მფლობელი.

ჯოკოვიჩმა ამ მიზნისკენ დამაჯერებელი ნაბიჯი გადადგა - სამ სეტში მოუგო გამოცდილ და ყოველთვის სახიფათო ფრანგს **პოლ-ანრი მატიოს** - 6:2, 6:4, 7:5. შესაძლოა, ჯოკოვიჩის გულშემატკივრებს არ მოეწონოთ მატიოს მიერ მოგებული გეიმების რაოდენობა, რადგან სერბისგან უფრო დამაჯერებელ გამარჯვებას ელოდნენ. მაგრამ, ჯერ ერთი, მატიო კარგად აწოდებდა მეორე და მესამე სეტებში და ეს პარტიები ნოვაკმა მხოლოდ თითო ბრეიკის წყალობით მოიგო, გარდა ამისა, ჯოკოვიჩის აღიარებით, ის ბოლომდე არ იხარჯებოდა და მაშინ უმატებდა თამაშს, როცა ეს საჭირო იყო: *"ვფიქრობ, კარგი მატჩი გამოვიდა. ორივენი კარგად ვაწვდიდით მეორე და მესამე სეტებში, მაგრამ მე შევძელი კარგად თამაში მაშინ, როცა ამას თამაშის სცენარი ითხოვდა. ტურნირი ორი კვირა გრძელდება და ეს მხოლოდ პირველი დღე იყო, ასე რომ, ცხადია, ორივენი ვღელავდით. პირადად მე მოხარული ვარ აქ დაბრუნებით. მომწონს აქაური კორტი და იმედია, ასევე გავაგრძელებ თამაშს".*

ჯოკოვიჩის დამაჯერებელ გამარჯვებაზე მეტყველებს ის, რომ მატიოს მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთ გეიმში ჰქონდა ბრეიკ-პოინტები. ეს მოხდა მეორე სეტში და ნოვაკმა სამივე საფრთხე მოიგერია.

## წაგებული ვეტერანები

გუშინ, რამდენიმე სახელოვანი ჩოგბურთელი გამოეთიშა ბრძოლას. სლოვაკმა **დანიელა ჰანტუხოვამ** ვერ გაუძლო ახალგაზრდა ტაივანელი **იუნ-მან ჩანის** შემოტევებს. მართალია, დანიელამ პირველი სეტის წაგებისთვის დამაჯერებელი რევანში აიღო (6:1), მაგრამ მესამე პარტიაში ასეთივე ანგარიშით განადგურდა.

**ლეიტონ ჰიუიტი** ზედიზედ მეჩვიდმეტედ ჩაება ავსტრალიის ღია პირველობაში და ადგილობრივ პუბლიკას მცირე იმედი ჰქონდა, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი და „დიდი სლემის“ ტურნირების ორგზის ჩემპიონი შეძლებდა მერვე ნომრად განთესილი **იანკო ტიპსარევიჩის** დამარცხებას. ამ იმედს იძლეოდა გასულ კვირას, კუიონგის საჩვენებელი ტურნირის მოგება, რომლის დროსაც ჰიუიტმა **დელ პოტროსა** და **ბერდიხის** დამარცხება შეძლო. მაგრამ სასწაული არ მოხდა. მართალია, ლეიტონმა სამი საათი შეაყოვნა კორტზე ტიპსარევიჩი, პირველ ორ სეტში დიდი ბრძოლაც გაუმართა, მაგრამ დღეს, ამ ჩოგბურთელებს შორის კლასში მაინც დიდი გასხვავებაა, რაც საბოლოო ანგარიშშიც აისახა - 7:6(4), 7:5, 6:3.

## დიმიტროვი ფედერერი არ არის

ახალგაზრდა ჩოგბურთელების ლეგენდებთან შედარება ჩვეულებრივი ამბავია. ბულგარელ **გრიგორ დიმიტროვზე** ხშირად უთქვამთ - **როჯერ ფედერერს** ჰგავსო, მაგრამ 21 წლის ჩოგბურთელს გაუჭირდა კარიერაში მომდევნო ნაბიჯის გადადგმა. წელს, ბრისბენის ტურნირის ფინალში გასვლით, ისევ ალაპარაკდნენ დიმიტროვსა და ფედერერს შორის მსგავსებაზე, ამას დაემატა ჭორები **მარია შარაპოვასთან** რომანის შესახებ, რამაც ბულგარელის სოციალური სტატუსი აამაღლა. მაგრამ ავსტრალიის ღიას პირველ წრეში დიმიტროვს მოუწია მასზე გამოცდილ **ჟულიენ ბენეტოსთან** დანებებამ. ფრანგმა ჩააგდო პირველი სეტი და მეტოქეს ბრეიკით დაწინაურების საშუალება მისცა, მაგრამ მალე გაახსენდა, რომ თავადაც კარგად დაიწყო წლევანდელი სეზონი. ბენეტომ გაათანაბრა ანგარიში და ისე აიღო სამი სეტი, გონს მოსვლა არ აცალა მეტოქეს.





# მარიასა და ვენუსის მოთელვა

## შარაპოვას მავნე შუგარპოვასთვის აკრიტიკებენ

ტურნირის გახსნის პატივი წილად ხვდა ქალთა ბადის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს **მარია შარაპოვას**. მსოფლიოს მეორე ჩოგანის სათამაშო ფორმის მიმართ სრული გაურკვევლობა არსებობდა. საქმე ისაა, რომ მარიამ 2013 წელს ვერც ერთი ოფიციალური შეხვედრა ვერ ჩაატარა, რადგან ტრავმის გამო მონაწილეობა არ მიუღია ბრისბენის ტურნირში. ავსტრალიის ღიას წინ რუსი აცხადებდა, რომ ტურნირის მსვლელობისას ფორმის აკრეფა მისთვის პრობლემა არ იქნებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, შარაპოვა უკვე კარგ ფორმაში იმყოფება. მან პირველი წრის მატჩში სასტიკი დღე აყარა თანამემამულე **ოლგა პუჩკოვას**. მარიას პრობლემა მხოლოდ პირველ გეიმში ჰქონდა, როცა ორი ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია, შემდეგ კი პუჩკოვას მეტოქის გეიმის აღების არც ერთი შანსი აღარ ჰქონია, შარაპოვამ კი ექვსი ბრეიკი გააკეთა და 55 წუთში 6:0, 6:0 მოიგო.

სხვათა შორის, ბოლო ერთ წელიწადში მარიამ მეორედ მოიგო "დიდ სლემზე" "მშრალი" ანგარიშით. შარშან, როლან გაროსის პირველ წრეში 6:0, 6:0 დაამარცხა რუმინელი **ალექსანდრა კადანტუ** და შემდეგ ტიტულიც აიღო.

მარიას სავარაუდო მეტოქე მესამე წრეში, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, სახელოვანი ამერიკელი **ვენუს უილიამსი** იქნება. უკვე დიდი ხანია, 32 წლის ვენუსი სერიოზულ საფრთხეს აღარ წარმოადგენს წამყვანი ჩოგბურთელებისთვის. ამერიკელმა შარშან, ოქტომბერში შეწყვიტა სამწლიანი სერია, რომლის დროსაც ის WTA-ის ტურნირის მოგებას ვერ ახერხებდა. მაგრამ, შარაპოვასთვის, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა მესამე რაუნდში რანგით და გამოცდილებით უფრო დაბალ მეტოქეს შეხვედროდა, მით უმეტეს, რომ გუშინ, უფროსმა უილიამსმა შესანიშნავი მზადყოფნა აჩვენა ყაზახი **გალინა ვოსკობოევას** წინააღმდეგ. მარიას მსგავსად, ვენუსმაც ექვსი ბრეიკი გააკეთა, ოდნავ მეტი - ოთხი ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია და ხუთი წუთით მეტი გაატარა კორტზე. საბოლოოდ, ამერიკელმა 6:1, 6:0 გაიმარჯვა და უპრობლემოდ გავიდა მეორე წრეში.

■ ■ ■

მარია შარაპოვა აგრძელებს საკუთარი ტკბილეულის პოპულარიზაციას. ამჯერად, რუსმა ვარსკვლავმა „შუგარპოვა“ ავსტრალიის ქალაქ მელბურნში წარადგინა, მაგრამ ამასთან, კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა მის პროდუქციაში შაქრის მაღალი შემცველობის გამო. ტკბილეულის თითო შეკვრა შეიცავს 84 გრამ შაქარს, რაც დაახლოებით 20 ჩაის კოვზის ან ორი ქილა „კოკა კოლის“ ექვივალენტურია. მარიას მიმართ პრეტენზიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შარაპოვა თავისი ბრენდის წინსვლისთვის საკუთარ პოპულარობას იყენებს, რაც, თავის მხრივ, შეიძლება მეტად ნეგატიურად აისახოს უამრავი ბავშვის ჯანმრთელობაზე. გამოკვლევის თანახმად, მხოლოდ ბრიტანეთში დიაბეტით დაახლოებით 850 ათასი ადამიანია დაავადებული.

ცხოვრების ჯანსაღი წესისთვის მებრძოლი ავსტრალიური კომპანიის წარმომადგენელი **კორინა ლანგელაანი** მიიჩნევს, რომ შარაპოვა ჯანმრთელობისა და ცხოვრების სპორტული სტილის პოპულარიზაციისთვის უნდა იბრძოდეს და არა მავნე საკვებისგან ზედმეტი შემოსავლის მიღებისთვის. *„მარია - ძალიან პოპულარული სპორტსმენია, რომლითაც აღფრთოვანებული არიან როგორც ბავშვები, ასევე მათი მშობლები, - განაცხადა ლანგელაანმა. - ასეთი გავლენის მქონე შარაპოვამ პოპულარიზაცია უნდა გაუწიოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ბავშვებს შორის სიმსუქნე - გლობალური პრობლემაა, რომლის ფონზე საკონდიტრო ნაწარმის რეკლამა, რბილად რომ ვთქვათ, უპასუხისმგებლობაა“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ანა და ადამი დაშორდნენ

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, სერბი **ანა ივანოვიჩი** თავის ბოიფრენდს, ცნობილ ავსტრალიელ გოლფისტს **ადამ სკოტს** დაშორდა.

როგორც ამერიკული სააგენტო AP იუწყება, დაშორების მიზეზი გახდა წყვილს შორის იშვიათი შეხვედრები. სპორტსმენები მუდმივად ტურნირებზე იმყოფებიან და ამის გამო, წლის განმავლობაში მცირე პერიოდი უწევდათ ერთად ყოფნა.

ამჟამად, ანა ივანოვიჩი მელბურნში იმყოფება, სადაც გუშინ, ავსტრალიის ღია პირველობაზე პირველი მატჩი ჩაატარა - 6:2, 6:1 გაანადგურა უნგრელი **მელინდა ჩინკი**.



ერთად აღარ არიან

### I წრე

#### კაცები

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-პოლ-ანრი მატიო (საფ) 6:2, 6:4, 7:5; **რაიან ჰარისონი (აშშ)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 2:6, 6:4, 7:5, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-არნაუ ბრუგესდავი (ესპ) 6:3, 6:2, 6:4; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 31)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 5:7, 4:6, 6:3, 6:3, 7:5; **სემ კუერი (აშშ, 20)**-დანიელ მუნიოს დე ლა ნავა (ესპ) 6:7(2), 6:4, 6:2, 6:4; **ბრაიან ბეიკერი (აშშ)**-ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 7:6(4), 6:3, 6:7(0), 3:6, 6:2; **ტობიას კამკე (გერ)**-ფლავიო ჩიპოლა (იტა) 6:1, 6:4, 6:1; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 15)**-სედრიკ-მარსელ შტებე (გერ) 6:2, 6:4, 6:3; **ანდრეი კუზნეცოვი (რუს)**-ხუან მონაკო (არგ, 11) 7:6(3), 6:1, 6:1; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-პაოლო ლორენცი (იტა) 3:6, 7:6(3), 6:3, 6:4; **ქსავიე მალისე (ბელ)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:3, 6:1, 6:2; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 22)**-დავიდ გოფენი (ბელ) 6:3, 3:6, 4:6, 6:3, 6:4; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 26)**-მიხაილ კუკუშკინი (ყაზ) 6:1, 6:1, 6:2; **რობერტო ბაუტისტა აგუტი (ესპ)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:0, 2:6, 6:4, 3:6, 6:1; **გიიომ რუფენი (საფ)**-იულიან რაისტერი (გერ) 4:6, 7:6(4), 6:1, 6:2; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:3, 7:5, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:3, 6:4, 6:2; **ტიმ შმიჩეკი (აშშ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 6:4, 7:6(5), 7:5; **ტაცუმა იტო (იაპ)**-ჯონ მილმენი (ავსტრა) 6:4, 6:4, 3:6, 0:6, 7:5; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 28)**-ალბერტ რამოსი (ესპ) 6:7(0), 7:6(4), 6:4, 3:6, 6:3; **მიხაილ იუჟნი (რუს, 23)**-მეტიუ ებდენი (ავსტრა) 4:6, 6:7(0), 6:2, 7:6(4), 6:3; **ევგენი დონსკოი (რუს)**-ადრიან უნგური (რუმ) 6:4, 6:4, 6:2; **კარლოს ბერლოკი (არგ)**-მაქსიმ ოტომი (ბელ) 1:6, 7:6(5), 7:6(4), 6:2; **კეი ნიშიკორი (იაპ, 16)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:7(5), 6:3, 6:1, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 10)**-სტივ ჯონსონი (აშშ) 7:5, 6:7(4), 6:2, 6:7(6), 6:2; **დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 6:7(4), 6:4, 6:0, 4:6, 6:4; **სომდევ დევარმანი (ინდ)**-ბიორნ ფაუ (გერ) 6:3, 6:2, 6:3; **იერჟი იანოვიჩი (პოლ, 24)**-სიმონე ბოლელი (იტა) 7:5, 6:4, 6:3; **ჟულიან ბენეტო (საფ, 32)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) 6:4, 6:2, 6:4; **ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ)**-რუბენ ბემელმანსი (ბელ) 6:3, 6:7(5), 2:6, 7:5, 11:9; **ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ)**-ჟილ მიულერი (ლუქ) 6:2, 6:4, 7:6(3); **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 7:6(4), 7:5, 6:3.

#### ქალები

**ნა ლი (ჩინ, 6)**-სესილ კარატანჩევა (ყაზ) 6:1, 6:3; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-პოლინ პარმენტიე (საფ) 2:6, 6:3, 6:2; **კრისტინა პლიშკოვა (ჩეხ)**-საშა ჯონსი (ავსტრა) 6:3, 6:2; **სორანა კირსტეა (რუმ, 27)**-კოკო ვანდევეგე (აშშ) 6:4, 6:2; **ჯულია გორგესი (გერ, 18)**-ვერა დუშევინა (რუს) 7:6, 2:6, 6:4; **რომინა ოპრანდი (შვეიც)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 4:6, 7:5, 6:2; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-იუსუან ჟანგი (ჩინ) 6:1, 3:6, 6:4; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 9)**-კაი-ჩენ ჩანგი (ტაივ) 7:6(3), 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერ, 13)**-მელინდა ჩინკი (უნგ) 6:2, 6:1; **იუნ-მან ჩანი (ტაივ)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 6:1, 1:6, 6:1; **მარია ჟოაო კოლერი (პორ)**-კარინ კნაპი (იტა) 3:6, 6:3, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 22)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:2, 6:2; **ქსენია პერვაკი (ყაზ)**-მონა ბარტელი (გერ, 32) 7:5, 2:6, 6:4; **ჰიზერ უოტსონი (ბრიტ)**-ალექსანდრა კადანტუ (რუმ) 2:6, 6:3, 6:2; **ირინა-კამელია ბეგუ (რუმ)**-არანჩა რუსი (ჰოლ) 6:4, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 4)**-ბოიანა ბობუშიჩი (ავსტრა) 7:5, 6:0; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 5)**-ელინა სვიტოლინა (უკრ) 6:2, 6:4; **ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ)**-კიკი ბერტენსი (ჰოლ) 6:2, 7:6(8); **მედისონ კისი (აშშ)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 6:4, 7:6(0); **ტამირა პაჩეკი (ავსტრია, 30)**-სტეფანი ფოგელი (შვეიც) 4:6, 6:4, 7:5; **ეკატერინა მაკაროვა (რუს, 19)**-მიშელ ლარშერ დე ბრიტუ (პორ) 6:2, 7:5; **სტეფანი ფორეტცი (საფ)**-კამილა ჯორჯი (იტა) 6:2, 6:3; **ვესნა დოლონცი (სერ)**-ოლივია როგოვსკა (ავსტრა) 5:7, 7:5, 8:6; **მარიონ ბარტოლი (საფ, 11)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 6:2, 6:4; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 15)**-ეშლი ბარტი (ავსტრა) 3:6, 6:0, 6:1; **ვალერია სავინიხი (რუს)**-მენდი მინელა (ლუქ) 7:6(4), 6:1; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)**-ნინა ბრატჩიკოვა (რუს) 6:4, 6:3; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 23)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:1, 6:2; **ვენუს უილიამსი (აშშ, 25)**-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 6:1, 6:0; **ალიზ კორნე (საფ)**-მარინა ერაკოვიჩი (ზელ) 7:5, 6:7(3), 10:8; **მისაკი დოი (იაპ)**-ეტრა მარტიჩი (ხორ) 6:3, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-ოლგა პუჩკოვა (რუს) 6:0, 6:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ექვსი ერი

# ნარშავების ათი ახალი სახე

ექვსი ერის გათამაშების შარშანდელი ხელმოცარული, შოტლანდიის ნაკრები წლევანდელ შეჯიბრებას სრულიად სახეცვლილი ხვდება. ნოემბრის ტესტებზე განცდილი ფიასკო ბოლო წვეთი აღმოჩნდა „სკოტების" ინგლისელი თავკაცის **ენდი რობინსონისთვის**, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი 2015 წლის ბოლომდე ჰქონდა, თანამდებობიდან გადადგა.

შოტლანდიის რაგბის კავშირმა ინგლისელთა აპრობირებული მეთოდი გამოიყენა და ეროვნულ გუნდს დროებითი მწვრთნელი დაუნიშნა, რომელიც ნაკრებს ექვსი ერის გათამაშებისთვის მოამზადებს და ტურნირზეც უხელმძღვანელებს. ამ თანამდებობაზე ბევრი უცხოელიც განიხილებოდა, თუმცა შოტლანდიელებმა ნდობა ისევ შინაურს გამოუცხადეს და „ნარშავების" დამრიგებლად **სკოტ ჯონსონი** დანიშნეს. თუ ჯონსონი გაამართლებს და გუნდი თამაშს გააუმჯობესებს, გამორიცხული არ არის, მას კონტრაქტი გაუხანგრძლივონ.

ამასობაში ექვსი ერის გათამაშება ახლოვდება და, ცხადია, ყველას აინტერესებდა, როგორ გუნდს შეკრებდა ჯონსონი. მოლოდინი გამართლდა. მწვრთნელმა 35-კაციანი გაფართოებული სია გამოაცხადა, რომელშიც ათი დებიუტანტია.

ახალბედებს შორის გამორჩეულია ახალზელანდიელი გარემარბი **შონ მეთლანდი**. ის „გლაზგო ვორიორზში" შარშან ოქტომბერში ჩაირიცხა და „სკოტების" რიგებში თამაშის უფლება იმიტომ აქვს, რომ წინაპრები შოტლანდიელები ჰყავს. ასევე დებიუტანტები არიან ფულბეკი **პიტერ მარჩი**, გარემარბი **ტომი სეიმური**, შუამარბები **ალექს დანბარი** და **პიტერ ჰორნი**, ცხრა ნომერი **შონ კენედი**, შერკინების კვაჭი **პეტ მაკარტური**, მეორეხაზელი **გრანტ გილჩრისტი**, მესამეხაზელები **რაიან ვილსონი** და **კრის ფუზარო**. აღსანიშნავია, რომ გრანტ გილჩრისტის გარდა, რომელიც „ედინბურგის" ღირსებას იცავს, ყველა გლაზგოელია.

გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვდა ასევე, ფრანგული „მონპელიეს" მესამეხაზელი **ჯონი ბიტი**, რომელიც ენდი რობინსონმა 2011 წლის მსოფლიოს თასზე არ წაიყვანა. **რიჩი ვერნონი, ალასდაირ დიკინსონი, მურეი ლოუ, რობერტ ჰერლი** და **დანკან ვეიერი** „სკოტების" შემადგენლობაში ნოემბრის ტესტებზე არ იყვნენ.

*„შოტლანდიის ნაკრებისთვის ასეთი რაზმი ორი პარამეტრით შევარჩიეთ. გვაინტერესებს გუნდის ამჟამინდელი მდგომარეობა და ვიყურებით მომავალისკენ. ვფიქრობთ, ამ შემადგენლობაში კონკურენცია დიდი იქნება. ერთ პოზიციაზე, ფაქტობრივად, ორი თანაბარი ძალის მოთამაშე გვყავს.*

*ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს „გლაზგოს" ახალგაზრდა მოთამაშეებმა, რომელთა მუხლჩაუხრელი შრომისა და დიდი ბრძოლისუნარიანობის შედეგია, რომ ეს გუნდი „კელტთა*



*ლიგაში" ამჟამად მეორე ადგილზეა. ამიტომ გადავწყვიტეთ, „გლაზგო" ნაკრების საბაზო გუნდად გაგვეხადა. მომავალ კვირას გუნდს პირველად შევკრებთ სამი დღით. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ შეგვიძლია ნაკრები კიდევ უფრო გავაძლიეროთ",* - თქვა შოტლანდიის ნაკრების დროებითმა მწვრთნელმა.

აღსანიშნავია, რომ ტრავმების გამო გამოძახებულთა შორის არ არიან ცხრა ნომერი **კრის კაზიტერი**, შერკინების ბურჯი **ჯონ ველში**, შუამარბი **ნიკ დე ლუკა**, შერკინების კვაჭი **სკოტ ლაუსონი**, მესამეხაზელები **ჯონ ბარკლი** და **როს რენი**. კიდევ ერთი მესამეხაზელი **ალასდაირ სტროკოში** კი გუნდს ოჯახური პრობლემების გამო დააკლდება.

შოტლანდიის ნაკრები

**შერკინება:** ალასდაირ დიკინსონი, რიჩი გრეი, რიჩი ვერნონი (სამივე - „სეილ შარქსი"), რაიან გრანტი, დუგ ჰალი, პეტ მაკარტური, მურეი ლოუ, ალისტერ კელოკი, რობერტ ჰერლი, რაიან ვილსონი, კრის ფუზარო (ყველა - „გლაზგო"), როს ფორდი, ჯეფ კროსი, გრანტ გილჩრსიტი, დევიდ დენტონი (ოთხივე - „ედინბურგი"), ევან მურეი („ვორსტერი"), ჯიმი ჰამილტონი („გლოსტერი"), კელი ბრაუნი („სარასენზი"), ჯონი ბიტი („მონპელიე");

**უკანა ხაზი:** პიტერ მარჩი, სტიუარტ ჰოგი, შონ მეთლანდი, ტომი სეიმური, შონ ლამონტი, ალექს დანბერი, პიტერ ჰორნი, დანკან ვეირი, რუარიდ ჯექსონი, ჰენრი პირგოსი, შონ კენედი (ყველა - „გლაზგო"), ტიმ ვიზერი, მეთ სკოტი, გრეგ ლაიდლოუ (სამივე - „ედინბურგი"), მაქს ევანსი („კასტრი"), ტომ ჰიჩკოტი („ბასი").

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლეიკერსმა ნავსი გატეხა



კობიმ ძლივს გაიხარა

გუშინდელ დღემდე "ლეიკერსი" რჩებოდა ერთადერთ გუნდად, რომელსაც 2013 წელს გამარჯვება არ ჰქონდა მოპოვებული. შეგახსენებთ, რომ კალიფორნიელებმა ზედიზედ ექვსი მატჩი წააგეს და შესაბამისად, ცუდი განწყობით შეხვდნენ "კლივლენდთან" შეხვედრას. როგორც იქნა, **მაიკ დ'ენტონის** შეგირდებმა ხარისხიანი შეხვედრა ჩაატარეს და მეტოქე კლასის ხარჯზე დაამარცხეს, რაც ამ სეზონში პრაქტიკულად არ მომხდარა. პირველივე წუთებიდან აშკარად ჩანდა, რომ "ლეიკერსის" სირცხვილი აღარ გაგრძელდებოდა. გუნდს დაუბრუნდა **დუაიტ ჰოვარდი**, **ნეში** შესანიშნავად დირიჟორობდა თავისიანების თამაშს და მარტო პირველ მეოთხედში ოთხი შედეგიანი პასი შეასრულა, კიდევ უფრო გუნდურად ითამაშა **ბრაიანტმა** - ხუთი გადაცემა. მოკლედ, "ლეიკერსს" თითქმის ყველაფერი გამოსდიოდა. მხოლოდ 22 შეცდომა იყო მის თამაშში გასაკრიტიკებელი, მაგრამ "კლივლენდმა" ამით დიდად ვერ იხეირა და მეტოქის დაკარგვებზე მხოლოდ 22 ქულა აიღო, თავად კი თავისი 16 შეცდომა 29 ქულად დაუჯდა.

მასპინძლებმა მთელი მატჩი სტაბილურად, ყოველგვარი ჩავარდნის გარეშე ჩაატარეს და ინარჩუნებდნენ 15-ქულიან უპირატესობას, მეოთხე მეოთხედში კი სხვაობამ 30 ქულა შეადგინა. კალიფორნიელთა გუშინდელი სტატისტიკა მოგვაგონებს იმ გუნდს, რომლისგანაც ბევრს ელიან - სამქულიანები (13/25), ხარისხიანი დახმარება სათადარიგოთა სკამიდან (37 ქულა), გუნდური შეტევა (32 პასი). ბრაიანტსა და კომპანიას გუნდური სულის ასამაღლებლად ასეთი მატჩი ძალიან სჭირდებოდა. ახლა, "ლეიკერსი" შინ მიიღებს "მილუოკის", ხუთშაბათს კი კობის სტუმრად ეწვევა **ლებრონ ჯეიმსის** "მაიამი".

■ ■ ■

"ნიუ იორკმა" შეწყვიტა სამმატჩიანი წაგებათა სერია. "ნიქსმა" მოუგო "ნიუ ორლეანს", რომელსაც, თავის მხრივ, ზედიზედ ოთხი შეხვედრა ჰქონდა მოგებული. "ჰორნეტსი" შესანიშნავად გამოიყურებოდა პირველ მეოთხედში, მაგრამ მეორე 12-წუთეულში უპირატესობის განვრცობა ვერ შეძლო, რადგან შეუჩერებელი გახდა **კარმელო ენტონი**, რომელმაც თამაშის ამ მონაკვეთში 18 ქულა დააგროვა. მან არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კომფორტული უპირატესობა მოუტანა თავის გუნდს.

დიდი შესვენების შემდეგ, "ნიუ ორლეანი" ისევ კონკურენტუნარიანი გახდა, მაგრამ მეოთხე მეოთხედში **კოუპლენდის** მიერ ორგანიზებულმა 13:2 გაქცევამ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა.

■ ■ ■

"მინესოტა" კვლავ თავისი მთავარი მწვრთნელის **რიკ ადელმანის** გარეშე თამაშობს და "მგლებმა" ბოლო ოთხ მატჩში მესამედ წააგეს, თუმცა, ამჯერად, ძალიან სერიოზული მეტოქე ჰყავდათ "სან ანტონიოს" სახით. "სპურსმა" კარგად დაინახა "მგლების" დაცვაში გაჩენილი ბზარები და სწრაფი გარღვევებით 32 ქულა დააგროვა. პირველი სამი მეოთხედი "მინესოტა" ასე თუ ისე ეწინააღმდეგებოდა მეტოქეს, მაგრამ ორი ტექნიკურის გამო მოედნიდან **გრეგ პოპოვიჩის** გაძევებამ, მოულოდნელად კარგად იმოქმედა "სან ანტონიოზე" და მან 11:0 გაქცევა შეძლო.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში "მინესოტას" არ მოუგია შეხვედრა, როცა მატჩში 90-ზე ნაკლებ ქულას აგროვებდა.

■ ■ ■

"გოლდენ სტეიტთან" 37 ქულის დაგროვების შემდეგ, "პორტლენდის" ახალბედამ **დამიენ ლილარდმა** ჩააგდო "ოკლაჰომასთან" მატჩი (14-დან მხოლოდ სამი ბურთი მოათავსა კალათში). **ბატუმი** და **ოლდრიჯი** (ორივემ ჯამში 54 ქულა დააგროვა) ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ "თანდერთან" მოსაგებად ამ დუეტის მონდომება საკმარისი არ აღმოჩნდა.

თუმცა ორეგონელები მაინც ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან. ბატუმის სამქულიანით ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა, რასაც **მეტიუზის** ჩაჭრა მოჰყვა, მაგრამ მასპინძლებისთვის სამწუხაროდ, ეს შეტევა არაზუსტი ტყორცნით დასრულდა. **პერკინსმა** ბურთი მოხსნა, მასზე დაჯარიმდნენ და "ოკლაჰომას" ცენტრმა ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო. "პორტლენდს" რვა წამი რჩებოდა ორქულიანი ჩამორჩენის გასაბათილებლად, მაგრამ ოლდრიჯმა ვერ ჩააგდო და "პორტლენდმაც" შეწყვიტა შვიდმატჩიანი საშინაო მოგებათა სერია.

## ნიუ იორკი-ნიუ ორლეანი 100:87

22:29, 27:12, 22:25, 29:21

**ნ-ი:** ენტონი (27+7 მოხსნა), კოუპლენდი (22), სტაუდმაიერი (12), ჩენდლერი (5+14 მოხსნა+3 დაფარება).

**ნ-ო:** გორდონი (22), დევისი (13+8 მოხსნა), ვასკესი (11+6 პასი), ლოპესი (10), ამინუ (2+11 მოხსნა).

## ტორონტო-მილუოკი 96:107

34:16, 15:31, 29:27, 18:33

**ტ:** დეროზანი (23), ჯონსონი (22+14 მოხსნა+3 ჩაჭრა), კალდერონი (21+8 პასი), დევისი (20+12 მოხსნა).

**მ:** ჯენინგსი (19+10 პასი), ჰენსონი (19+6 მოხსნა), ელისი (17), დანლივი (15+5 პასი), სანდერსი (11+8 მოხსნა).

## ბრუკლინი-ინდიანა 97:86

27:21, 19:28, 23:26, 28:11

**ბ:** უილიამსი (22+9 პასი), ჯონსონი (20), ლოპესი (15+9 მოხსნა), ჰემფრიზი (10+9 მოხსნა).

**ი:** უესტი (27+6 მოხსნა), ჯორჯი (15+12 მოხსნა+6 ჩაჭრა), გრინი (15), ჰილი (13).

## დენვერი-გ. სტეიტი 116:105

27:25, 25:29, 27:33, 37:18

**დ:** გალინარი (21+8 მოხსნა+6 პასი), ლოუსონი (20+5 პასი), ჩენდლერი (14+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბრიუერი (13), მილერი (12+6 მოხსნა+8 პასი), იგუოდალა (10+6 პასი+5 ჩაჭრა), ფარიდი (9+10 მოხსნა).

**გ-ს:** კარი (29+7 პასი), ლი (23+13 მოხსნა+6 პასი), ჰ. ბარნსი (21+6 მოხსნა), ტომპსონი (13+6 მოხსნა), ჯეკი (10+8 პასი).

## სან ანტონიო-მინესოტა 106:88

24:21, 31:29, 23:21, 28:17

**ს-ა:** პარკერი (20+6 პასი), ნოა (15), დანკანი (12+9 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა+7 დაფარება), ჯინობილი (12+5 პასი), სპლიტერი (10).

**მ:** ბარეა (15+6 პასი), პეკოვიჩი (14), რიდნური (13+6 პასი), კანინგემი (11), სტიმსმა (10), კირილენკო (9+11 მოხსნა+3 ჩაჭრა).

## პორტლენდი-ოკლაჰომა 83:87

19:22, 24:20, 16:26, 24:19

**პ:** ოლდრიჯი (33+11 მოხსნა), ბატუმი (21+7 მოხსნა).

**ო:** დურანტი (33+6 პასი), უესტბრუკი (18+8 მოხსნა+9 პასი), ლიგინსი (11+9 მოხსნა), პერკინსი (3+12 მოხსნა).

## ლეიკერსი-კლივლენდი 113:93

37:20, 20:25, 29:24, 27:24

**ლ:** ბრაიანტი (23+6 პასი), ჰოვარდი (22+14 მოხსნა), ჯეიმისონი (16), მორისი (14), კლარკი (13+9 მოხსნა+3 დაფარება), ნეში (10+9 პასი).

**კ:** ირვინგი (15+7 პასი+3 ჩაჭრა), უეიტერსი (15), გი (14+3 ჩაჭრა), ტომპსონი (10+8 მოხსნა).

**გია თვალაბეიშვილი**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| **ნაკრებები** | |
| კოტ დ'ივუარი-ეგვიპტე | 4:2 |
| **კლუბები** | |
| აალენი-კარლსრუე | 1:3 |
| პადერბორნი-შალკე | 1:2 |
| ოსნაბრიუკი-ვერდერი | 1:2 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/A** | |
| რეჯანა-კაპრი | 2:1 |
| **ესპანეთი** | |
| ხეტაფე-გრანადა | 2:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მონაკო-ლავალი | 1:1 |
| **პორტუგალია** | |
| ბეირა მარი-ეშტორილი | 0:1 |
| **საბერძნეთი** | |
| კერკირა-ასტერასი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ირაკლისი-კალითეა | 0:0 |
| **[illegible]** | |
| ალკი-ანორთოსისი | 0:3 |
| აპოლონი-აპოელ | 1:2 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (ბ-შ) | 4:0 |
| **კალათბურთი** | |
| **იტალია** | |
| სასარი-მონტეპასკი | 96:66 |
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი | 87:73 |
| **თურქეთი** | |
| გაზიანთეფი-ეფესი | 82:92 |
| **საფრანგეთი** | |
| ლე მანი-ვილერბანი | 64:60 |
| **ხელბურთი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| სლოვენია-კორეა | 34:27 |
| ხორვატია-ალჟირი | 31:20 |
| სერბეთი-ბელარუსი | 34:28 |
| ესპანეთი-ეგვიპტე | 29:24 |
| პოლონეთი-ს. არაბეთი | 28:14 |
| უნგრეთი-ავსტრალია | 43:13 |

TV პროგრამა

**15 იანვარი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლადიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ვიტესი.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. არსენალი.
14:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მეტალისტი-ლევერკუზენი.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გალათასარაი-მანჩესტერ იუნ.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ჰოლადიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ფეიენოორდი.
20:30 ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ჩელსი.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური. არსენალი-მანჩესტერ სიტი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. შალკე.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. სპარტაკი-ბარსელონა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-გოლდენ სტეიტი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჰარლიკვინსი-კონახტი.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა.
22:00 ბრძოლა წესების გარეშე. K1.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ატლანტა.
01:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბრისბენი. ავსტრალია.
13:10 სპორტ-NEWS.
13:40 რაგბი. ჰეინეკენის თასი.
15:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბრისბენი. ავსტრალია.
17:30 სპორტ-NEWS.
18:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ლაციო-ტოტენჰემი.
20:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჩიკაგო.
22:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. შენჟენი. ჩინეთი.

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -2 | 5 | (მცირე თოვლი) |
| ქუთაისი | -1 | 7 | (მზე) |
| ბათუმი | 1 | 9 | (მზე) |
| ფოთი | 3 | 8 | (მზე) |
| ზუგდიდი | -2 | 6 | (მზე) |
| გორი | -4 | 5 | (მზე) |
| თელავი | -3 | 5 | (თოვლი) |
| სიღნაღი | -1 | 3 | (მზე) |
| ბაკურიანი | -10 | -1 | (მზე) |
| ბორჯომი | -7 | 2 | (მზე) |
| მესტია | -15 | -6 | (მზე) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2139 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6566 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6688 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4744 |

# ფრანგი მგლებში მიდის

ესპანეთის "ვალენსიას" ფორვარდმა **მიკაელ ჟელაბალმა** პრაქტიკულად მიაღწია შეთანხმებას "მინესოტა ტიმბერვულვზთან" კონტრაქტზე, - წერს ESPN-ის ოფიციალური ვებგვერდი.

ჟელაბალი "ვალენსიაში" დეკემბერში გადავიდა, მაგრამ მის კონტრაქტში არის პუნქტი, რომელიც ფრანგს უფლებას აძლევს 30 იანვრამდე გადავიდეს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში.

ფრანგი კალათბურთელი 2005 წლის დრაფტზე "სიეტლმა" 48-ე ნომრად აირჩია. ფორვარდმა "სონიქსის" რიგებში ორი სეზონი გაატარა და საშუალოდ 4.5 ქულა და 2.1 მოხსნა დააგროვა.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი



ტინა მაზე

# ტინა ისტორიაში...

გასულ უქმეებზე სამთო თხილამურებში მსოფლიოს თასზე მორიგი ეტაპი გაიმართა. შვეიცარიის კურორტ ადელბოდენში კვლავ გამოიჩინა თავი მსოფლიოს თასის ლიდერმა და მოქმედმა ჩემპიონმა, ავსტრიელმა **მარსელ ჰირშერმა** - მან მესამედ მოიგო ამ სეზონში სპეციალური სლალომის სტარტი.

არადა, წინა დღეს, ავსტრიელმა უხეში შეცდომა დაუშვა გიგანტური სლალომის ტრასაზე და ძალიან დაბალი შედეგი აჩვენა. იყო საშიშროება იმისა, რომ ჰირშერი ვერც მომდევნო დღეს ავიდოდა სლალომის პოდიუმზე, რადგან პირველი ცდის შემდეგ, მხოლოდ მერვე ადგილზე იმყოფებოდა. მაგრამ, მეორე დაშვებისას ავსტრიელმა ფანტასტიკური ტემპი განავითარა. საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველი ცდის ლიდერი, იტალიელი **მანფრედ მოელგი** ჰირშერს თითქმის წამს უგებდა, მეორე ცდაზე კი მარსელმა არა მარტო გააბათილა ეს ჩამორჩენა, არამედ, ფინიშზე ექვსი მეათედი წამი მოუგო მოელგს.

ჰირშერმა წელს მოიგო სლალომი მადონა დი კამპილიოში, ზაგრებსა და ადელბოდენში, კიდევ ორ სტარტზე პოდიუმზე ავიდა, რითაც ამ დისციპლინაში ძალიან დამაჯერებლად ლიდერობს საერთო ჩათვლას, რაც შეეხება გენერალურ კლასიფიკაციას, აქ ჰირშერის უპირატესობა უახლოეს მდევართან, ნორვეგიელ **აქსელ ლუნდ სვინდალთან** 126 ქულამდე გაიზარდა.

**სლალომი**

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 1:51.75 (56.52+55.23); 2. **მარიო მატი** (ავსტრია) - 1:52.05 (55.70+56.35); 3. **მანფრედ მოელგი** (იტალია) - 1:52.37 (55.65+56.72); 4. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორვატია) --1:52.87 (56.21+56.66); 5. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერმანია) - 1:52.91 (56.11+56.80); 6. **ალექსის პინტურო** (საფ) - 1:52.94 (56.66+56.28)...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 855 ქულა; 2. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორვეგია) - 729; 3. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 676; 4. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერმანია) - 546; 5. **მანფრედ მოელგი** (იტალია) - 427; 6. **ალექსის პინტურო** (საფ) - 354...

ქალები ავსტრიის კურორტ სენტ ანტონში შეიკრიბნენ და იქ ორი დღის განმავლობაში ჩქაროსნულ დისციპლინებში ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ავსტრიაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა დაფიქსირდა. აქამდე, ქალებს შორის ისტორიაში მხოლოდ ხუთ მოთხილამურეს ჰქონდა მოგებული მსოფლიოს თასის ეტაპი ხუთივე დისციპლინაში. ესენი არიან: **ლინდსი ვონი, იანიცა კოსტელიჩი, ანია პერსონი, პერნილა ვიბერგი** და **პეტრა კრონბერგერი**. ახლა, ამ ხუთეულს წლევანდელი სეზონის უდავო ლიდერი, სლოვენიელი **ტინა მაზე** შეუერთდა. 29 წლის მოთხილამურის კოლექციას აკლდა მოგება სუპერგიგანტში და მაზემ ნავსი სწორედ სენტ ანტონში გატეხა. არადა, ეს გამარჯვება შეიძლება არც შემდგარიყო, რადგან მაზეს სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა ავსტრიელი **ანა ფენინგერისგან**. საბოლოოდ, მათ შორის სხვაობამ 0.04 წამი შეადგინა.

ასევე რთული იყო ამ ეტაპის მოგება იმ მხრივაც, რომ დაახლოებით ერთთვიანი შესვენების შემდეგ, ტრასას დაუბრუნდა ამერიკელი **ლინდსი ვონი**. თუმცა მსოფლიოს თასის მოქმედი ჩემპიონი ჯერ არ იმყოფება სპორტულ ფორმაში. მან წინა დღეს, სწრაფდაშვებაში მხოლოდ მეექვსე დრო აჩვენა, სუპერგიგანტში კი 0.01 წამი დააკლდა პოდიუმამდე.

რაც შეეხება ტინა მაზეს, მან წლევანდელ სეზონში უკვე მეექვსე ეტაპი მოიგო და კომფორტულად ლიდერობს საერთო ჩათვლას - მას 1289 ქულა აქვს და 545-ით უსწრებს უახლოეს მდევარ **მარია რიშს**.

**სუპერ-გიგანტი**

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1:16.55; 2. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 1:16.59; 3. ფაბიან სუტერი (შვეიც) - 1:17.54; 4. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1:17.55; 5. **მარია რიში** (გერმანია) - 1:17.64; 6. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 1:17.75...

**საერთო ჩათვლა**

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1289 ქულა; 2. **მარია რიში** (გერმანია) - 744; 3. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 597; 4. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 590; 5. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 504; 6. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერმანია) - 467...

კალათბურთი

# კობი ცოლს შეურიგდა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** და მისმა მეუღლემ **ვანესამ** განქორწინების პროცესის გაუქმება გადაწყვიტეს, - წერს NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი.

ვანესა ბრაიანტმა განქორწინებაზე განაცხადი 2011 წლის დეკემბერში მას შემდეგ შეიტანა, რაც კობის ბრალი წარუდგინეს 19 წლის კოლორადოელი გოგონას მიმართ სექსუალურ ძალადობაში. სავარაუდოდ, ბრაიანტი თავს დაესხა ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს კონსიერჟს. კობის მეორე დღეს ქალაქ ვეილის კლინიკაში მუხლზე ოპერაცია ელოდა. რაც შეეხება ბრალდებას, მსხვერპლის ადვოკატთა განცხადებაში ეწერა: *"კობი ბრაიანტმა შეგნებულად და უკანონოდ სცადა სექსუალური კონტაქტის დამყარება. ეს გაკეთდა მსხვერპლის სურვილის საწინააღმდეგოდ"*. ერთი წლის შემდეგ, პროკურატურამ კობის ყველა ბრალდება მოუხსნა, რადგან გოგონა სასამართლოზე არ გამოცხადდა.

NBA-ის ვარსკვლავი 18 წლის ვანესა ლაინეს 1999 წელს დაუახლოვდა. 10-წლიანი ქორწინების განმავლობაში, ბრაიანტების ოჯახში ორი ბავშვი გაჩნდა - **ნატალია** და **გაიანა**. ბოლო დროს, ცოლ-ქმარის ურთიერთობა აშკარად გამოკეთდა. *"ბედნიერები ვართ გაცნობოთ, რომ ჩვენ შევრიგდით. განქორწინება არ შედგება. კობი და ვანესა"*, - წერია ვანესას მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებაში.



ვანესა და კობი

თავად კობიმაც ვერ დამალა სიხარული აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით: *"მე და ვანესა ერთ ოჯახად ვაგრძელებთ ცხოვრებას. მადლობა ყველას მხარდაჭერისა და ჩვენთვის ლოცვისთვის"*.

ფორმულა 1

# ფორს ინდიას შეფი ვეღარ იფრენს

„ფორს ინდიას" ბოსს **ვიჯეი მალიას** კვლავაც პრობლემები აქვს თავისი ავიაკომპანიის - Kingfisher-ის ფინანსური სირთულეების გამო. კომპანიამ რამდენიმე თვის წინ შეწყვიტა ფრენა.

საგადასახადო ორგანოებმა კონფისკაცია გაუკეთეს მალიას პირად თვითმფრინავს, რომელიც ასევე ავიაკომპანიას ეკუთვნოდა. ლაპარაკია Airbus A319 ACJ-ზე. ადრე იტყობინებოდნენ, რომ კომპანიის ვალი 2 მილიარდ დოლარს აღწევს. Kingfisher-ს მოუწია ფრენების შეჩერებამ, რამდენიმე თვითმფრინავი კი ლიზინგურ კომპანიებს დაუბრუნდა. ამ სირთულეების მიუხედავად, მალია აგრძელებს თავისი კერძო თვითმფრინავით ფრენას, სანამ მას საგადასახადო ორგანოები არ ჩამოართმევენ.



ვიჯეი მალია

2012 წლის ბოლოს, კომპანიას ლიცენზია ჩამოართვეს, მაგრამ ინდოელმა ბიზნესმენმა თანამშრომლებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აცხადებს, რომ კვლავინდებურად აპირებს ავიაკომპანიის რეანიმირებას.

ოლიმპიზმი

# ჩიტის ფრთა სოჭისთვის



სოჭის ჩირაღდანი

რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩირაღდნის პრეზენტაცია გაიმართა. ჩირაღდანი წითელ ფერშია გადაწყვეტილი და მას ჩიტის ფრთის ფორმა აქვს. სოჭის პარალიმპიური თამაშების ჩირაღდანი ზუსტად იგივე ფორმის იქნება, ოლონდ ის ცისფერში იქნება გადაწყვეტილი.

სოჭის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი **დმიტრი ჩერნიშენკო** აღნიშნავს, რომ ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა ყველაზე მასშტაბური იქნება ისტორიაში. ის 2900 დასახლებულ პუნქტში ჩაივლის. *"ჩვენი სურვილია, რომ მოსახლეობის 90 პროცენტი იყოს ჩართული ოლიმპიურ ესტაფეტაში"*, - განაცხადა საორგანიზაციო კომიტეტის შეფმა. მისი თქმით, ჩირაღდანი იმოგზაურებს ჩრდილოეთ პოლუსზე, იალბუზზე, კოსმოსში...

ესტაფეტაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 14 ათასი ადამიანი, რომელთა შერჩევა 2013 წლის 15 იანვარს დაიწყება.

ამბები

ჰოკეი

## ბუკმეიკერთა ფავორიტები: რეინჯერსი და პიტსბურგი

ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატის წინ, ბუკმეიკერებმა მომავალი სეზონის ფავორიტები დაასახელეს.

მათი აზრით, აღმოსავლეთ კონფერენციაში ფავორიტებად მიიჩნევიან: "რეინჯერსი" (4.75), "პიტსბურგი" (5.25), "ბოსტონი" (7.5) და "ფილადელფია" (8.0), ხოლო მთავარი აუთსაიდერია - "აილენდერსი" (36.0).

დასავლეთ კონფერენციაში უპირატესობას ანიჭებენ "ვანკუვერს" (5.5), "ჩიკაგოს" (7.5), "ლოს ანჯელესს" (7.5) და "სენტ ლუისს" (8.0). რაც შეეხება დასავლეთის აუტსაიდერს, ეს არის "კოლამბუსი" (61.0).

2013 წელს, სტენლის თასის მოპოვებაზე ბუკმეიკერები ფავორიტად მიიჩნევენ "რეინჯერსსა" (8.5) და "პიტსბურგს" (9.0). შემდეგ მოდიან "ვანკუვერი" (11.0), "ბოსტონი" (13.0) და "ლოს ანჯელესი" (13.0). პლეი ოფის მოგების ყველაზე ნაკლები შანსი აქვს "კოლამბუსს" (101.0).

კრივი

## მეივეზერი და ალვარესი შეთანხმდნენ

ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონი, 35 წლის ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერი** ბრძოლაზე შეუთანხმდა WBC-ის ვერსიით პირველ საშუალო წონაში ჩემპიონს, 22 წლის მექსიკელ **საულ ალვარესს**. კომპანია Golden Boy-ის მეშვეობით, ალვარესმა მიიღო გარანტია, რომ სექტემბერში დაუპირისპირდება მეივეზერს.

მანამდე, ორივე მოკრივე 4 მაისს, ლას ვეგასში ჩაატარებს ბრძოლას. მათი მეტოქეების ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი. სხვათა შორის, ალვარესმა და მეივეზერმა მოილაპარაკეს იმ საღამოს შემოსული თანხის განაწილებაზე.

*"Golden Boy-ის ვიცე-პრეზიდენტი ერიკ გომესი გვადალახარაში ჩამოვიდა და ჩვენ უკვე მივაღწიეთ ფინანსურ შეთანხმებას მაისისთვის, აგრეთვე მივიღეთ გარანტია, რომ მეივეზერთან სექტემბერში ჩავატარებთ ბრძოლას"*, - ამბობს ალვარესის მენეჯერი **ხოსე რეინოსო**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3627
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია თვალაბეიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:35
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608